# ალია

## „საყდრისი, უხეშად რომ ვთქვათ, ძალით „გაძეგლებული“ ობიექტია“

„ჩვენ არაერთხელ წავედით კომპრომისსა და დათმობაზე, მაგრამ ახლა ერთი გზა დაგვრჩა — სამართლებრივი გზა“




N4 (2934) 14 იანვარი 2014 წ ფასი 1 ლ

ორშაბათი თბილისი | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

# უხილავი ძალა მთავრობაში...



## ვინ ახორციელებს ღარიბაშვილის წინააღმდეგ საბოტაჟს?

ვინ აიძულებს „ქართული ოცნების“ თანამდებობის პირებს პოსტების დატოვებას? რა ხერხს მიმართავენ „ნაციონალები“ თავის გადასარჩენად? ვინ ღალატობს ირაკლი ღარიბაშვილს? რის გამო შეიძლება დაიწყოს კოალიციაში დაპირისპირება?

ვრცლად 3 გვ.

## რა ფარული ბრძოლა დაიწყეს კოალიციაში შემავალმა პარტიებმა?



რა ხდება პარტია „ქართულ ოცნებაში“? რატომ არ გადადიან მისი ლიდერები და წევრები გადამწყვეტ შეტევაზე თუნდაც „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ? რატომ არ მიდის პარტიის გაძლიერება და რატომ არ იწყება ადგილობრივი არჩევნების წინ თუნდაც ფორმალური პიარკამპანია?

ვრცლად 2 გვ.



## ემუქრება თუ არა ლარს დევალვაცია?

ვინ იგებს ლარის კურსის ვარდნით? რა ინფორმაციებს მალავენ ეროვნული ბანკი და მთავრობა? არსებობს თუ არა რეალური ეკონომიკური სტატისტიკა? რა პროცესებმა შეიძლება შეიწიროს ღარიბაშვილის მთავრობა?

ვრცლად 9 გვ.




## რა დასკვნა დადო „ნაციონალმა“ თორდიამ ნიკა რურუას წინააღმდეგ?



## რატომ გადაიფიქრა ღარიბაშვილმა მთავარი პროკურორის წარდგენა?



## მარკეტებში ტყვიის, ვერცხლისწყლისა და დარიშხანის შემცველი მარილი აღმოაჩინეს



ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პროკურატურა დათა ახალაიას საქმეს იძიებს




პროკურატურის ცნობით, „ნავთლუღის“ ტერიტორიაზე სპეცოპერაცია, რასაც სამი ახალგაზრდა ემსხვერპლა, კუდ-ის მიერ მისი მაშინდელი დირექტორის დათა ახალაიას ხელმძღვანელობით დაიგეგმა და ჩატარდა.

გარდა ამისა, გამოძიების ცნობით, პატიმართა მასობრივი გაქცევის მომზადების აღიარების მისაღებად პატიმრების წამების ფაქტზე პასუხისმგებაში მიეცნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაშინდელი უფროსი ბაჩო ახალაია და თბილისის №7 საპყრობილის ყოფილი დირექტორი მეგის ქარდავა.

„გამოძიებით დგინდება შემდეგი – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პირველი დაწესებულების პატიმარმა გია გორგაძემ დაწესებულების დირექტორს აცნობა, რომ ერთ-ერთი პატიმრისგან მიიღო შეთავაზება ციხიდან გაქცევაზე და მზადყოფნა გამოთქვა, ეთანამშრომლა ციხის ადმინისტრაციასთან. ამ საკითხზე გ. გორგაძეს ციხეში უშუალოდ შეხვდა ბაჩანა ახალაია და შეუთანხმდა, რომ ციხიდან შესაძლო გაქცევის მომზადების აღკვეთაში მას დაეხმარებოდა გია გორგაძის ძმა შოთა გორგაძე. ბ. ახალაიას დავალებით გ. გორგაძემ ციხიდან დაურეკა თავის ძმას, რომელიც მეგობრებთან რომან სურმანიძესთან და მარად ართმელიძესთან ერთად წალკაში ნათესავის ნათლობაში იმყოფებოდა. ძმის თხოვნით შოთა გორგაძე თავის მეგობრებთან ერთად თბილისში ჩამოვიდა“. (პირველი)

## „სიღარიბემ მიჩვევა იცის, რაც ადამიანმა არ უნდა დაუშვას“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი სამების ახალგაზრდულ ცენტრში იმ მოსახლეობას შეხვდა, რომლებსაც უმუშევრობა აწუხებთ და მათ დასაქმების პრობლემაზე ესაუბრა.

უწმინდესის თქმით, მნიშვნელოვანია სწორი იდეები, მით უმეტეს, როცა ქართველ ადამიანს საკვების მოპოვება საკუთარ მიწა-წყალზე შეუძლია.

„ძალიან ხშირად გვესმის, რომ „მე წავალ უცხოეთში, იქ ვიმუშავებ, აქ სამუშაო ადგილები არ არის“.

მინდა, მოგახსენოთ, რომ ჩვენ შეჩვეული ვართ უსაქმურობას, ადამიანი ეჩვევა უსაქმურობას, სიღარიბესაც. თუ თავს არ მივხედავთ, არც უცხოეთში წასვლა გვიშველის და არც არაფერი. ჩვენ თვითონ უნდა ვიფიქროთ საკუთარ თავზე, უნდა ვიფიქროთ, რას ვაკეთებთ და რა სარგებელი მოგვაქვს ჩვენი ქვეყნისთვის. ვილოცოთ, ვიფიქროთ, ახალი იდეები ვშვათ და ვიშრომოთ“, – ბრძანა უწმინდესმა. (პირველი)

## ნარმანია ბანკებს ლიბერალურ მიდგომებს სთხოვს



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ბანკებს უზრუნველყოფის გარანტიებთან დაკავშირებულ პროცედურებში ლიბერალურ მიდგომებს სთხოვს. დავით ნარმანიას განცხადებით, ეს საჭიროა იმისთვის, რომ ქართული კომპანიები, რომლებიც ფინანსურად ძლიერები ვერ არიან, პროექტების განხორციელების პროცესში პრობლემების წინაშე არ აღმოჩნდნენ.

„უზრუნველყოფის გარანტიებთან დაკავშირებულ პროცედურებში ჩვენი თხოვნაა ბანკების მიმართ, ცოტა ლიბერალური გახდეს მათი მიდგომა ამ თვალსაზრისით. მესმის, რომ არსებობს საბანკო რისკები, რომლებსაც საბანკო სექტორი ითვალისწინებს, მაგრამ განსაკუთრებით ქართული კომპანიები, რომლებიც ფინანსურად ძლიერები ვერ არიან, პროექტების განხორციელების პროცესში პრობლემების წინაშე აღმოჩნდებიან. შემდეგ მათ უჭირთ საბრუნავი სახსრები“, – განაცხადა ნარმანიამ.

მინისტრის განმარტებით, კომერციული ბანკები სამინისტროსგან მიიღებენ ინფორმაციას, სად რა პროექტია დაგეგმილი რეგიონების მიხედვით და აქედან გამომდინარე, შეძლებენ ფინანსური პოლიტიკის დაგეგმვას.

„900 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების პროექტები გვექნება წელს განსახორციელებელი. ერთი მხრივ, ეს ინფორმაცია მიეწოდება საბანკო სექტორს, მეორე მხრივ, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი 135 მილიონი ლარის მოცულობით დავამტკიცეთ მთავრობის სხდომაზე და ეს ინფორმაციაც საინტერესოა მათთვის“, – აღნიშნა ნარმანიამ. (ინტერპრესნიუსი)

# რა ფარული ბრძოლა დაიწყეს კოალიციაში შემავალმა პარტიებმა?

ალბათ, გახსოვთ, ჩვენ გვპირდებოდნენ, რომ ბოლო ყრილობის შემდეგ აუცილებლად დაიწყებოდა „ქართული ოცნების“ არა მხოლოდ გაძლიერება, ასევე არნახული გააქტიურებაც. როგორც ჩანს, ამ მხრივ, ისევ პრობლემებია... ერთნი ამის მიზეზად პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მოუცლელობას ასახელებენ, ხოლო მეორენი – კოალიციაში მიმდინარე პროცესებს. ირაკლი ღარიბაშვილს რომ დრო არ ეყოფა პარტიის გამოსაცოცხლებლად და საამისო დრო არც კახი კალაძეს ექნება, ეს ცხადია, მაგრამ რატომ არიან მხართეძოზე წამოწოლილი სხვები? მე ყოველთვის ვამბობდი, არმაზ ახვლედიანის ყოფნას ამ პარტიის სათავეებთან აზრი არა აქვს-მეთქი... ეს დრომაც დაადასტურა და ფაქტებმაც – სწორედ ამაზე იტყვიან, გინდა მკვდარი, გინდა შინმოუსვლელიო.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები კარს მოგვადგა, 4 თვე მალე გაირბენს... ამ დროს პარტიას არ ჰყავს რეგიონული მდივანი, ანუ ადამიანი, რომელიც რეგიონებს მიხედავს. ამ დროს რა ხდება? რა და კოალიციაში შემავალი ხუთი პარტია ადგილობრივი არჩევნებისთვის ინტენსიურად ემზადება, უკვე დაწყებულია გავლენის სფეროების გადანაწილება რეგიონებში... მიდის გარიგებები „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებთან და სამწუხაროდ, უახლოეს ხანში „ქართული ოცნება“ დადგება ფაქტის წინაშე. როგორც „ალიას“ ინკოგნიტო წყარო უყვება, ორიოდე თვეში, მაგალითად, „რესპუბლიკელები“ იტყვიან, ჩვენ ესა და ეს რაიონი უკვე დავაკომპლექტეთ, ძმაო, ეს უკვე ჩვენი გავლენის ქვეშააო. დღეს „ქართულ ოცნებას“ სასწრაფოდ სჭირდება ადამიანი, რომელიც რეგიონების პულსზე ხელს დაადებს და გადაწყვეტილებებსაც მიიღებს.

ჩვენ ვნახეთ, როგორ ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები, აქტივობა იყო ძალიან დაბალი. ამას დავანებოთ თავი, კოალიციის საარჩევნო შტაბების ხელმძღვანელების უმეტესობა ელოდებოდა მაღალ თანამდებობებს... მე არ ვიცი, როგორც ჩანს, მაშინ ვიღაცა მართლაც იძლეოდა ასეთ დაპირებებს, მაგრამ მათგან ერთმაც კი ვერ მიიღო გუბერნატორის პოსტი (ახლა ამბობენ, სწორედ ამ თანამდებობებს გვპირდებოდნენო). ახლა არა მხოლოდ შტაბების ხელმძღვანელები არიან განაწყენებულები, არამედ წევრებიც. არც ის დაგვავიწყდეს, რომ შტაბების ყოფილ ხელმძღვანელებს ყველგან ჰყავთ თავიანთი მხარდამჭერები. მაგალითად, იმერეთის გუბერნატორობა ძალიან უნდოდა ქუთაისის შტაბის უფროსს, ზაზა მარუაშვილს. ის უკვე ემზადებოდა კაბინეტში შესასვლელად, მაგრამ ამ დროს გუბერნატორად დანიშნეს მეფარიშვილი.

ახლა ისაა გასარკვევი, ვინ იძლეოდა ცრუ დაპირებებს? როგორც ვიცით, საპრეზიდენტო არჩევნების დროს შტაბები ებარა დავით საგანელიძეს და ბუნებრივია, დაპირებებს სხვა ვერ გასცემდა. ინკოგნიტო წყაროს ინფორმაციით, თუ რეგიონები სასწრაფოდ არ გაიწმინდა მავნე ელემენტებისგან, ისევ დაიწყება შიშიანობა, შანტაჟი, ტერორი და ასე შემდეგ, რასაც ხელს შეუწყობენ „ნაციონალები“ და თვითონვე იხეირებენ:

„როგორც ჩანს, ირაკლი ღარიბაშვილს თავისი ხელქვეითები არწმუნებენ, რომ პარტიაში ყველაფერი კარგადაა, მაგრამ ეს ასე არ არის. ქვედა რგოლებში სრული უძრაობაა. ამას რაც უფრო მალე გაიგებენ კახი კალაძე და ირაკლი ღარიბაშვილი, მით უკეთესი იქნება. მე პირადად, ძალიან მინდა, რომ პრემიერ-მინისტრი ძლიერი იყოს, მაგრამ მას ირგვლივ ისეთი ადამიანები ახვევია... ცოტა რბილად ვიტყვი, მას ნამდვილად არ გულშემატკივრობენ. სხვათა შორის, დღეს უკვე ვიღაცების დაქვეითება ან გვერდზე გაწევა არ არის საკმარისი, ზოგიერთი კინწისკვრით უნდა გამოაგდოს იქიდან, რომ საზოგადოებამ კარგად დაინახოს. ადამიანები, რომლებიც ცოტა ხნის წინ იძახდნენ, ჩვენ პოლიტიკიდან მივდივართო, იმათ საერთოდ უნდა „ააცმევინოს“ პარტიიდან. ეგენი ადრე უნდა წასულიყვნენ, მაგრამ ბოლო დროს ისევ გამოცოცხლდნენ“.



„ალია“ ერთი თვის წინ იმაზეც წერდა, რომ ბევრ რეგიონში „ქართულ ოცნებას“, რაიონული ოფისებიც კი არ გააჩნია. მეტიც, როგორც პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მერაბ შათირიშვილი ამბობს, საპრეზიდენტო არჩევნების დროს ქვემო ქართლში „ქართულ ოცნებას“ ორგანიზაცია საერთოდ არ ჰქონდა. შეიძლება ასეთი რამ თითოკაციან პარტიებს ეპატიებათ და არც გვაინტერესებს, მაგრამ მმართველი პარტია, რომლის ვალდებულებაცაა, ქვეყანა „ნაციონალური“ ნარჩენებისგან გაწმინდოს, ასეთ უპასუხისმგებლობას არ უნდა იჩენდეს. მერაბ შათირიშვილის თქმით, სასწრაფოდაა დასაკომპლექტებელი რაიონული ორგანიზაციები და ფართომასშტაბიანი მუშაობაა ჩასატარებელი თითოეულ სოფელში, წინააღმდეგ შემთხვევაში, „ნაციონალები“ თავიანთი აპრობირებული მეთოდების წყალობით, ხელში ჩაიგდებენ რეგიონებს. პრინციპში, „ნაციონალებს“ თბილისი ისედაც არასოდეს სწყალობდა, ისინი ყოველთვის საზრდოობდნენ სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის გაყალბებული ხმებით. ახლა „ნაცები“ მარტონი არ არიან, მათ ემატებიან ერთპროცენტიანი („რესპუბლიკელები“) და თითოკაციანი პარტიები, რომლებიც სააკაშვილის ნარჩენებს სიამის ტყუპებივით შეერწყნენ... ისინი არც ადრე იკლავდნენ დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლით თავს, მაგრამ ახლა თოფითაც რომ დაადგე, აუგს ვერ ათქმევინებ.

კულუარებში ჩნდება ინფორმაციები, რომ ზოგიერთი პარტიის ლიდერს ამბიციები მოეძალა და სურვილი აქვს, ადგილობრივ არჩევნებში დამოუკიდებლად გამოვიდეს. თუმცა ეს დამოუკიდებლობა არ ნიშნავს კოალიციიდან გასვლას... სხვათა შორის, როგორც „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი, სერგო ჯავახიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, კოალიციაში შემავალი პარტიების დამოუკიდებლად გამოსვლა დამოკიდებული იქნება იმაზე, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებენ ინტერფრაქციულ ჯგუფში, ანუ მიეცემა თუ არა ყველა პოლიტიკურ სუბიექტს დაფინანსება. ყოველ შემთხვევაში, დღეს კოალიციაში შემავალი პარტიების ლიდერები („ქართული ოცნების“ გარდა) გააფთრებით იბრძვიან, რომ ყველა სუბიექტი ცალ-ცალკე დაფინანსდეს. შესაძლოა, მათ ცალკე გასვლა ნებით არ მოინდომონ, მაგრამ არ არის გამორიცხული, ღარიბაშვილმა ყველას მისცეს „შანსი“, საკუთარი რეიტინგით გაქაჩოს. კი ვიცით, ესენი რისი გამქაჩავები არიან და ამიტომაც უნდათ, ბიუჯეტიდან მსუყე ლუკმა „დაითრიონ“. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები... ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, გაძლიერდება თუ არა „ქართული ოცნება“.

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მთავრობამ დასაფინანსებელი პროექტები დაამტკიცა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის დავით ნარმანიას განცხადებით, წელს რეგიონებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 180 მილიონ ლარზე მეტი გამოიყოფა, საიდანაც პირველ ეტაპზე 135 მილიონი ლარის 430 პროექტია დამტკიცებული.

„საპროექტო სამუშაოებს მუნიციპალიტეტები უახლოეს პერიოდში დაიწყებენ. რაც შეეხება პრიორიტეტებს, მიმდინარე წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდით დასაფინანსებელი პროექტებიდან პრიორიტეტულად გამოიყო გზის საფარის მოწესრიგება, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის მართვა, ეზოების კეთილმოწყობა, საფეხბურთო სტადიონების, საფეხმავლო ბილიკების, საბავშვო ბაღებისა და სხვა შენობების რეაბილიტაცია, ამხანაგობების მიერ შემუშავებული წინადადებების თანადაფინანსება და სხვა“, – განაცხადა მინისტრმა.

უფრო კონკრეტულად, საქართველოს რეგიონებში განხორციელდება შემდეგი პროექტები: კახეთში 17 549 065 ლარის ღირებულების 85 პროექტი, საიდანაც 43 გზებისა და ხიდების რეაბილიტაციას შეეხება, 3 პროექტი კულტურის სახლისა და სხვა შენობების რეაბილიტაციას, 26 პროექტი – წყლისა და კანალიზაციის მოწესრიგებას, 13 პროექტი კი ნაპირსამაგრ სამუშაოებს, სანიაღვრე არხებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.

მცხეთა-მთიანეთში 10 238 971 ლარის ღირებულების 40 პროექტი დამტკიცდა: 5 პროექტი შეეხება – გზებისა და ხიდების რეაბილიტაციას, 28 – წყლის სისტემების რეაბილიტაციას, 2 ნაპირსამაგრ სამუშაოებს, სანიაღვრე არხების მოწესრიგებას, 5 კი კულტურის სახლისა და სხვა შენობების რეაბილიტაციას.

ქვემო ქართლში 15 660 072 ლარის ღირებულების 49 პროექტი დამტკიცდა: 14 პროექტი – გზებისა და ხიდების რეაბილიტაციას მოიცავს, 4 – საბავშვო ბაღებისა და სხვა შენობების რეაბილიტაციას, 29 – წყლისა და კანალიზაციის მოწესრიგებას, 2 კი სხვადასხვა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.

შიდა ქართლში 12 662 862 ლარის ღირებულების 19 პროექტი დამტკიცდა: 9 პროექტი გულისხმობს გზებისა და ხიდების რეაბილიტაციას, 7 პროექტი – სარწყავი და სასმელი წყლის, ასევე კანალიზაციის მოწესრიგებას, 3 კი – სხვადასხვა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.



სამცხე-ჯავახეთში დამტკიცდა 11 570 015 ლარის ღირებულების 25 პროექტი: 18 პროექტი გზებისა და ხიდების რეაბილიტაციას მოიცავს, 2- წყლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, 5 კი – ეზოებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.

იმერეთში 31 133 875 ლარის ღირებულების 114 პროექტი დამტკიცდა: 87 პროექტი მოიცავს გზებისა და ხიდების რეაბილიტაციას, 14 – საბავშვო ბაღებისა და სხვა შენობების რეაბილიტაციას, 3 – წყლისა და კანალიზაციის მოწესრიგებას, 2 – ნაპირსამაგრ სამუშაოებს, 8 – დასასვენებელი პარკების, გარეგანათებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.

რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში 4 548 315 ლარის ღირებულების 31 პროექტი დამტკიცდა: 2 – გზების რეაბილიტაციას გულისხმობს; 16 – საბავშვო ბაღების, ბიბლიოთეკისა და კულტურის სახლის რეაბილიტაციას; 10 – წყლისა და კანალიზაციის მოწესრიგებას; 3 – ნაპირსამაგრ და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებას.

სამეგრელო-ზემო სვანეთში 19 941 389 ლარის ღირებულების 39 პროექტი დამტკიცდა: 18 პროექტი – გზებისა და ხიდების რეაბილიტაციას მოიცავს; 7 წყლის, სანიაღვრე არხებისა და კანალიზაციის მოწესრიგებას; 3 – საბავშვო ბაღებისა და კულტურის სახლების რეაბილიტაციას; 5 – კორპუსების გადახურვას, ლიფტებისა და ეზოების კეთილმოწყობას; 6 – სხვადასხვა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.

გურიაში 8 490 627 ლარის ღირებულების 28 პროექტი დამტკიცდა. 15 პროექტით გათვალისწინებულია გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია; 4 – წყლისა და სანიაღვრე არხების მოწესრიგება; 8 – საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია; 1 კი გარეგანათების მოწესრიგება. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





ხმები გადანაწილდება პოლიტიკურ სუბიექტებზე, ანუ „ქართულ ოცნებაზე“, „კონსერვატორებზე“ და ა.შ. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერთა ხმები არ დაიკარგება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუ ერთ რეგიონში „კონსერვატორები“ არიან ძლიერები, მეორე რეგიონში „ქართული ოცნება“ ლიდერობს. ამიტომ წავა ერთმანეთის შევსება და ჯამურად დატურებს ხალხი მხარს არ დაუჭერს. ასევე საკრებულოებშიც დაკარგავენ ძალიან ბევრ ადგილს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ 2010 წელს ადგილობრივი არჩევნები არ ჩატარებულა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საკრებულოს წევრები დანიშნა. მაგალითად, ჩემს რაიონში – ვანში, 30-კაციანი საკრებულო „ნაციონალებმა“ 27 კაცით დააკომპლექტეს, ეს იყო გრანდიოზული დანიშვნების პროცესი, მხოლოდ სამი ადამიანი ვიყავით არასახელისუფლებო პარტიიდან. ახალი არ არის ის ფაქტიც, რომ „ნაციონალებმა“ რეგიონებში გამოიჩინეს დიდი „გამჭრიახობა“ და გადაბარგდნენ კოალიციის რიგებში. ზოგიერთ რაიონში „ნაციონალებს“ წარმომადგენლები ჰყავთ უკვე სიმბოლურად.

**„ვინც ამ საქმეშია გარეული, ის ნამდვილად არ აკეთებს „ქართული ოცნების“ საქმეს. მე არ ვაპირებ გაჩერებას. მესმის, რომ ერთი გუნდი ვართ და ერთი თამაში უნდა ვითამაშოთ, მაგრამ, თუ დავინახავ, რომ ღალატს აქვს ადგილი, ნამდვილად არ მოვითმენ“**

მოახერხა მხოლოდ და მხოლოდ შანტაჟისა და მუქარის შედეგად. მეტიც, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გულის შეტევით აღმოჩნდა საავადმყოფოში. ამ ყველაფრის შესახებ მივმართე მთავარ პროკურატურას, ოფიციალურადაც მივწერე არჩილ კბილაშვილს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ამის შემდეგ კბილაშვილი გადადგა, მოვიდა ფარცხალაძე და რაც მთავარია, წავიდა ლაშა ნაცვლიშვილი, ანუ ადამიანი, რომელიც იყო მთავარი პროკურორის მოადგილე და მისი სახელით მოხდა ეს ყველაფერი. ამის შემდეგ მე შევხვდი ფარცხალაძეს, ვფიქრობდი, ეს საკითხი სწრაფად იქნებოდა გამოძიებული, მაგრამ შემდგომში მოვლენები როგორ განვითარ-

ამ განთავისუფლებულმა გამგებელმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ის აღადგინეს თანამდებობაზე, ახლა ეუბნებიან, – დაგაბრუნებთ, მაგრამ შენი ნებით უნდა დატოვო თანამდებობაო. ესე იგი სასამართლომ აღადგინა, საკრებულოც აღადგენს, ოღონდ მეორე დღესვე უნდა დაწეროს განცხადება წასვლის თაობაზე. ხედავ, რა მომენტია?

— **ამ პირობას ვინ უყენებს?**

– ამ პირობას უყენებს ვიღაც უხილავი ადამიანი, რომლის შესახებაც თავად არ ლაპარაკობს. მე ახლა ვამზადებ ახალ წერილს, უნდა მივმართო პროკურატურას, აუცილებელია იმის გამოძიება, ვინ მოქმედებს ასე ფარულად.

# უხილავი ძალა მთავრობაში...

## ვინ ახორციელებს ღარიბაშვილის წინააღმდეგ საბოტაჟს?

**ვინ აიძულებს „ქართული ოცნების“ თანამდებობის პირებს პოსტების დატოვებას? რა ხერხს მიმართავენ „ნაციონალები“ თავის გადასარჩენად? ვინ ღალატობს ირაკლი ღარიბაშვილს? რის გამო შეიძლება დაიწყოს კოალიციაში დაპირისპირება?**

**„ალიას“ ესაუბრება საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, დათო ლორთქიფანიძე:**

— **ბატონო დავით, შეიძლება ზოგიერთი ექსპერტის პროგნოზი მარჩიელობას ემსგავსება, მაგრამ სიმართლის მარცვალი მაინც არის... რა ხდება კოალიციაში, ცალკე ძალების მოსინჯვა ხომ არ იქნება ამ გაერთიანების დაშლის პროცესის დასაწყისი?**

– ჩემი აზრით, ექსპერტები ამოდიან იმ მოსაზრებიდან, რომ წელს ადგილობრივი არჩევნებია და დიდწილად ამაზეა დამოკიდებული 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები. როგორ დააყენებ დღეს რეგიონებში საქმეს, ისეთივე შედეგს მიიღებ შემდგომ არჩევნებში. ბუნებრივია, დღეს პოლიტიკური ძალები ხილულად თუ ფარულად, ცდილობენ, თავიანთი გავლენის სფეროები გადაინაწილონ. კოალიციაში არის ექვსი პოლიტიკური სუბიექტი და რა თქმა უნდა ყველას აქვს ხვალინდელ დღეზე გათვლილი ინტერესები. ჩვენ ჯერ არ ვიცით როგორ იქნება, მაგრამ გვარწმუნებენ, რომ კოალიცია ადგილობრივ არჩევნებში ერთიანი ძალით გამოვა, თუმცა ჩვენ გვახსოვს ზოგიერთი პოლიტიკოსის განცხადებები, ისინი არც იმას გამორიცხავენ, რომ ცალ-ცალკე მოხდეს ამ არჩევნებში გასვლა.

— **დავუშვათ, კოალიციაში შემავალი პარტიები არჩევნებში ცალ-ცალკე გამოვიდნენ, ასეთი დაქსაქსულობის შემდეგ, რა შედეგს მიიღებს კოალიცია? მაგალითად, არავის არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ „რესპუბლიკური პარტია“ რაიმე განსაკუთრებულ შედეგს მიაღწევს.**

– შენი მოსაზრება სიმართლესთან ახლოსაა, მაგრამ თუ „რესპუბლიკელები“ ვერ მიიღებენ კარგ შედეგს, მაშინ მივიღებთ იგივეს. დღეს ბევრია უკმაყოფილო იმის გამო, რომ „ნაციონალებიც“ აქტიურობენ და გაჩნდა შიში, რათა მათ რეგიონებში არ მიაღწიონ წარმატებას. მე თუ მკითხავთ, უკვე დაწყებულია „ნაციონალების“ დასასრულის დასაწყისი...

— **რას ჰქვია დაწყებულია დასასრული, როცა 50 „ნაციონალი“ ისევ პარლამენტში ზის და ღმერთმა იცის, რას მოიმოქმედებენ... ჩემი აზრით, უგულავას გადაყენება-გადმოყენება, არ ნიშნავს „ნაციონალური მოძრაობის“ დასასრულს.**

– მაგათი დასასრულის დასაწყისი იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, ისინი ვერ მიიღებენ მნიშვნელოვან მანდატებს საკრებულოებში. თუ ახალი საარჩევნო კოდექსის მიღება მოესწრება, მათ უფრო გაურთულდებათ საქმე.

— **რატომ?**

– იმიტომ, რომ გამგებლები უნდა ავირჩიოთ პირდაპირი წესით და ამ შემთხვევაში „ნაციონალებს“ ძალიან ნაკლები შანსი აქვთ, მათ კანდი-



— **ეს უკვე მეორე ტრაგედიაა, როცა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები გაწბილებულები დარჩნენ, ხოლო „ნაციონალების“ წარმომადგენლები კოალიციაში გადაბარგდნენ.**

– ჩვენ ხალხს კარგად უნდა განვუმარტოთ, – უბრალოდ, სხვა არჩევანი არ ჰქონდა, საკრებულოების შემადგენლობების შეცვლის შესაძლებლობა ჩვენ კანონით არ გვქონდა, ამიტომ როგორმე უნდა მოგვეტანა საქმე 2014 წლამდე. ვინ გადავიდა, ვინ გადმოვიდა, ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ კიდევ 4 თვით უნდა ავიტანოთ. ახლა ჩვენმა ამომრჩეველმაც უნდა იაქტიუროს, რათა ამ არჩევნებში ყველაფერი დალაგდეს და გაიწმინდოს. არაერთხელ მითქვამს შენთან ინტერვიუში, რომ ვანის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა – პაატა ლეჟავამ, ლაშა ნაცვლიშვილის სახელით მოახერხა გამგებლის გადაყენება. ეს მან

**„დეპუტატმა პაატა ლეჟავამ, ლაშა ნაცვლიშვილის სახელით მოახერხა გამგებლის გადაყენება შანტაჟისა და მუქარის შედეგად. მეტიც, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გულის შეტევით აღმოჩნდა საავადმყოფოში“**

და, უკვე იცით. ამით იმის თქმა მინდა, რომ რეგიონის მოსახლეობა გაოგნებულია, შეიცვალა ხელისუფლება, მაგრამ მიშას ნარჩენები ჯერ კიდევ იღებენ გადაწყვეტილებებს. მეტსაც გეტყვი, ამის შესახებ არსად მისაუბრია, –

— **თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს უხილავი ძალა კოალიციაშია, თუ „ნაციონალურ მოძრაობაში“?**

– ეს უხილავი ძალა არსე-

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ზოგად უნარებში ცვლილებები იგეგმება



ზოგადი უნარების ვერბალური ნაწილის ზოგიერთ დავალებას შესაძლოა, მეხუთე სავარაუდო პასუხი დაემატოს. გამოცდების ეროვნული ცენტრის ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელის სოფო დოლიძის განმარტებით, აღნიშნული სიახლე აბიტურიენტის მიერ სწორი პასუხის ბრმად შემოხაზვის ალბათობის შემცირებით არის განპირობებული. მისი თქმით, მეხუთე სავარაუდო პასუხი, შესაძლოა, ანალოგიის ტიპის დავალებებსა და ლოგიკას დაემატოს. წინადადების შევსებასა და წაკითხული ტექსტის გააზრებასთან დაკავშირებულ დავალებებს კი სავარაუდო პასუხები არ დაემატება.

„ეს არ იყო აქტუალური მაშინ, როდესაც უმაღლეს სასწავლებლებში კონკურსი იყო. ახლა ბევრ უმაღლეს სასწავლებელში თავისუფალი ადგილი რჩება, სტუდენტი შეიძლება გახდეს აბიტურიენტი, რომელსაც ტესტი არც კი წაუკითხავს და პასუხები ბრმად შემოხაზა. მეხუთე პასუხი დაბრკოლებას წარმოადგენს მათთვის, ვინც ბრმად ხაზავს პასუხებს და დავალებებს არც კი კითხულობს. რეალურად უსამართლოა, ასეთი ადამიანები კონკურსში დარჩნენ, რადგან ძალიან მაღალია ალბათობა იმისა, შემთხვევით პასუხების შემოხაზვით მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადალახონ“, – აღნიშნა დოლიძემ.

მისივე ინფორმაციით, საკითხთან დაკავშირებით, საცდელი ტესტირება ჩატარდა, რომლის ანალიზი ჯერ დასრულებული არ არის. მეხუთე სავარაუდო პასუხის დამატებასთან დაკავშირებით დეტალებზე საბოლოო გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, იანვრის ბოლოს გახდება ცნობილი. (ინტერპრესნიუსი)

### პატრიარქი ბიზნესით დაინტერესებულ პირებს შეხვდა




საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით დაინტერესებული პირებისთვის შეხვედრა გაიმართა.

პატრიარქმა უცხოეთში სხვადასხვა დროს ვიზიტებისას ნანახი საწარმოების შესახებ ისაუბრა, რომელთა მფლობელებმაც ბიზნესის განვითარება მცირე თანხებით დაიწყეს. კერძოდ, ეს იყო რძის, მეფრინველეობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მწარმოებელი საწარმოები.

შეხვედრის მონაწილეებს პატრიარქმა ასევე მიმართა, ჰქონდა თუ არა რომელიმე მათგანს საკუთარი მცირე ბიზნესი და რაიმე გამოცდილება ამ მხრივ. რამდენიმე გამომსვლელმა სოფლებში მიწის ნაკვეთის დამტკიცების, ასევე ბანკებიდან 10 000 ლარამდე სესხების მიღებისა და გადამამუშავებელი საწარმოების შესაქმნელად პრობლემების შესახებ ისაუბრა.

მსგავსი ტიპის შეხვედრები პერიოდულად გაიმართება და მცირე ბიზნესის დაწყების მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ, გამოცდილ ბიზნესმენებს შეხვდნენ, რათა გაარკვიონ როგორ დაიწყეს მათ საკუთარი ბიზნესის წარმოება. (ინტერპრესნიუსი)

## ზაზა ხატიაშვილმა კონფერენცია გამართა



ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ზაზა ხატიაშვილის ინიციატივით, კონფერენცია თემაზე „პროკურატურაში გატარებული კანონსაწინააღმდეგო პოლიტიკა და ძალადობრივი ფაქტები პროკურორებთან მიმართებაში“ გაიმართა.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა.

ხატიაშვილის განცხადებით, ის შეშფოთებულია იმით, თუ რა ძალადობრივი მეთოდებით უსწორდებიან პროკურატურაში ახლად დანიშნული კადრები პროკურორებს. მისი თქმით, უფლებადამცველები არც ერთ ასეთ ფაქტზე არ გაჩერდებიან და იბრძოლებენ, რომ ამ ქვეყანაში ძალადობრივი გზით არ მოხდეს არც ერთი ადამიანის დასჯა.

ხატიაშვილის თქმით, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ისინი ელოდებოდნენ სამართლიანობის აღდგენას, რაც პირველ რიგში, პროკურატურის რეფორმით უნდა მომხდარიყო. პროკურატურაში მივიდნენ ახალი კადრები, რომელთაც სამოქალაქო საზოგადოება ენდობოდა, თუმცა მათი სამარცხვინოდ გამოყრა ხდება, მათ აიძულებენ, რომ განცხადებები დაწერონ და თანამდებობა დატოვონ, რაც მათი უფლებების უხეში დარღვევაა.

„ჩვენ დავდექით ერთად უფლებადამცველები და არასამთავრობო სექტორი და ყველა ძალადობას დავუპირისპირდებით, არ აქვს მნიშვნელობა, ძალადობა სად განხორციელდება“, – აღნიშნა ხატიაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

მესამე გვერდიდან

ბობს დღევანდელ მთავრობაში და ეს არის ხელისუფლების წინააღმდეგ განხორციელებული საბოტაჟი. თუ ჩვენ ასეთ რაღაცებს არ შევარჩენთ მოღალატეებს, მაშინ ხალხი აუცილებლად დაგვიჭერს მხარს. თუ ისევ ძველებურად გაგრძელდა ყველაფერი, მაშინ გაუგებარია, ჩვენ რით უნდა წარვდგეთ ამომრჩევლების წინაშე?.. მე ახლა ველოდები, რა გადაწყვეტილებას მიიღებს პროკურატურა და ამის შემდეგ, არ არის გამორიცხული, მართლა მოხდეს კოალიციაში დაპირისპირება და ამის კატალიზატორი გახდეს ვანის რაიონი. მე ხმამაღლა ვაცხადებ, – ვინც ამ საქმეშია გარეული, ის ნამდვილად არ აკეთებს „ქართული ოცნების“ საქმეს. ყოველ შემთხვევაში მე არ ვაპირებ გაჩერებას. მესმის, რომ ერთი გუნდი ვართ და ერთი თამაში უნდა ვითამაშოთ, მაგრამ თუ დავინახავ, რომ ღალატს აქვს ადგილი, ნამდვილად არ მოვითმენ.

**— ბატონო დავით, ამ ყოველივედან გამომდინარე, 2014 წელს კვლავაც აქტუალური იქნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხი.**

– ჩვენს რიგებში არიან ადამიანები, რომლებიც ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით თანხმობას აცხადებენ, მათ შორის ვარ მეც. თუ ქვეყნისთვის ეს საჭირო იქნება, ნამდვილად არ მაქვს პრობლემა...

**— მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო უმრავლესობის ბევრმა წევრმა ვერ გაამართლა, აქ დიდი პრობლემაა „ნაციონალური მოძრაობის“ საკითხიც.**

– „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაკავშირებით იქმნება ძალიან დიდი პრობლემები, თავის დროზე ისეთი კანონები აქვთ მიღებული და ისეთი რაღაცები აქვთ გაკეთებული, ცვლილებებზე ატეხენ ერთ ამბავს. მაგალითად, შენ კარგად იცი, რის გაკეთება უნდოდათ, როცა დაიწყეს ლაპარაკი სასამართლოში მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით. სანამ ისინი ხელისუფლებაში იყვნენ, მოწმეების დაკითხვა მიმდინარეობდა პოლიციასა და პროკურატურაში, ხოლო ახლა ამ ყველაფრის გადატანა მოინ-



**„დღეს ვინც ირაკლი ღარიბაშვილს უდგას მხარში, უნდა ილაპარაკოს მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე. თვალთმაქცობა, ვაზელინის წასმა, პირში სიცილი და ზურგსუკან სამარის გათხრა, არ არის გვერდში დგომა“**

# უხილავი ძალა მთავრობაში...

## ვინ ახორციელებს ღარიბაშვილის წინააღმდეგ საბოტაჟს?

დომეს კუბლაშვილის სასამართლოში, რათა თავი დაიხსნან პასუხისმგებლობისგან. შეიძლება მთავრობის მხრიდან ამ საკითხის გადავადება არ არის პოპულარული, მაგრამ „ნაციონალებს“ ბედნიერება არ უნდა მივანიჭოთ. მე და ჩემს კოლეგებს გვაქვს უამრავი მიზეზი იმისთვის, რომ არ ვენდოთ კოტე კუბლაშვილის სასამართლოს. მეტიც, მე პირადად არ ვენდობი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. ადრეც გითხარი და ახლაც ვიმეორებ, – როდესაც სასამართლო დარბაზიდან მანდატურებმა გამომაძევეს, მივმართე იუსტიციის საბჭოს, მას შემდეგ 6 თვე გავიდა, მაგრამ არავითარი რეაგირება. როცა დარბაზიდან გაძევებულ პარლამენტის წევრს არავინ უსმენს, ხომ წარმოგიდგენია, რას გაუკეთებენ სხვებს?!. მე სხვა რამეზეც მტკივა გული, ვერ ვხედავ რაღაც საკითხებში გუნდურობის პრინციპს. ადამიანები, რომლებიც არიან ლიდერები, მათ ნება უნდა იბოძონ და დაინტერესდნენ თავიანთი ამქრის წევრებით. როცა შენი ამქრის წევრი იჩაგრება, ვალდებული ხარ, გვერდში დაუდგე და ვიღაცას პასუხი მოსთხოვო. ამჟერად, კონკრეტულად არავის ვასახელებ, მე კაცურად არავის დახმარება არ მჭირდება, მაგრამ ოფიციალურად ეს საკითხი ვიღაც-ვიღაცებს ევალებათ. დღეს თუ დათოსთან დაკავშირებით მოხდება ასეთი რაღაცა, ხვალ სხვას მიადგებიან. ამ ყველაფერს ხედავენ ექსპერტები და შემდეგ, აკეთებენ დასკვნებს, რომ უახლოეს ხანში, კოალიციაში მოსალოდნელია დაპირისპირება.

ყველა ნორმალურმა ექსპერტმა იცის, რომ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს, სადამდეც პოლიტიკური წონადობა იქნება ასატანი, შენარჩუნდება სტაბილურობა, მაგრამ როცა მოთმინების ფიალა აივსება, ამის შემდეგ მართლაც მოსალონდელი იქნება განხეთქილება. კი, ჩვენ გვეუბნებიან, რომ თმენის მეტი უნარი უნდა გვქონდეს, ეს ჩვენი ვალდებულებაა, მაგრამ გააჩნია, რა უნდა მოითმინო და რა უნდა აიტანო.

ჩემი აზრით, დღეს ვინც ირაკლი ღარიბაშვილს უდგას მხარში, უნდა ილაპარაკოს მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე. თვალთმაქცობა, ვაზელინის წასმა, პირში სიცილი და ზურგსუკან სამარის გათხრა, არავითარ შემთხვევაში არ არის ახალი პრემიერ-მინისტრის არც გვერდში დგომა და არც საქვეყნო საქმის კეთება. მე მჯერა ამ ადამიანის და ყველაფერს გავაკეთებ, რომ მოვლენები ნორმალურად განვითარდეს.



**„სანამ „ნაციონალები“ ხელისუფლებაში იყვნენ, მოწმეების დაკითხვა მიმდინარეობდა პოლიციასა და პროკურატურაში, ხოლო ახლა ამ ყველაფრის გადატანა მოინდომეს კუბლაშვილის სასამართლოში, რათა თავი დაიხსნან პასუხისმგებლობისგან“**




**„ნაციონალებმა“ რეგიონებში გამოიჩინეს დიდი „გამჭრიახობა“ და გადაბარგდნენ კოალიციის რიგებში. ზოგიერთ რაიონში „ნაციონალებს“ წარმომადგენლები ჰყავთ უკვე სიმბოლურად“**

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნავთობ-გაზის კორპორაცია განმარტებას აკეთებს




საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია ძვირადღირებული ავტომობილების შეძენასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციაზე განმარტებას აკეთებს.

„საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ოფიციალური განმარტება კორპორაციის მიერ „ტოიოტა ცენტრ თბილისთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით ქართულ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომლის თანახმადაც კორპორაციამ 2013 წლის 21 ნოემბერს სედანისა და ჯიპის ტიპის ავტომობილების შესაძენად 1 135 130 ლარი დახარჯა.

ავტოსატრანსპორტო საშუალებები საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიერ 2013 წლის ნოემბერში შეძენილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს სპეციალური ღონისძიებების მთავარი სამმართველოს შესაბამისი დანაყოფისთვის, რომელიც კორპორაციაში ახორციელებს კორპორაციის კუთვნილი სტრატეგიული ობიექტების (გაზსადენების სისტემა, ნავთობსადენები, ნავთობის საბადოები) დაცვას.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენამდე კორპორაციის მიერ მიღებულ იქნა ყველა საჭირო თანხმობა საქართველოს მთავრობის შესაბამისი უწყებების მხრიდან ამ შესყიდვის ჩასატარებლად. აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების შეძენა მოხდა ღია ტენდერის საფუძველზე“. – აღნიშნულია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## ფარცხალაძის გადადგომა არ მოეწონა




თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი ოთარ ფარცხალაძის თანამდებობიდან გადადგომას გამოეხმაურა. მისი თქმით:

„მთავარ პროკურატურაში ოთარ ფარცხალაძის მისვლისთანავე, პროკურატურამ ძალიან აქტიური მუშაობა დაიწყო, განსაკუთრებით იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომელთა მიმართ საზოგადოების მაღალი ინტერესი არსებობს. ამან გარკვეული შედეგიც გამოიღო და პროკურატურაში საქმეების განხილვა ძალიან სწრაფად და ეფექტურად ხდებოდა. შესაბამისად, ის, რაზეც ფარცხალაძე საუბრობს, რომ ამან „ნაციონალურ მოძრაობაში“ გარკვეული შიში და მოლოდინი გამოიწვია იმისა, რომ მათთან დაკავშირებული საქმეები გაიხსნებოდა და ლიდერებს პასუხი მოეთხოვებოდათ, აბსოლუტურად რეალისტური შეფასებაა. ის, რომ ფარცხალაძე გახდა თავდასხმის ობიექტი, ლოგიკურია. სამწუხაროა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს ამის საფუძველი მიეცათ. გულწრფელად გეტყვით, არ მომეწონა, რომ ფარცხალაძე გადადგა, რადგან ვთვლიდი, რომ ძალიან ძლიერი პროკურორი იყო, მაგრამ მან ეს გადაწყვეტილება თავად მიიღო, სწორედ იმის გამო, რომ მთავარი პროკურორის მიმართ საზოგადოებას არ ჰქონოდა გარკვეული პრეტენზია და პროკურატურას გაეგრძელებინა მუშაობა მთავარი მიზნის მისაღწევად“, – განაცხადა სესიაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK



# „საყდრისი, უხეშად რომ ვთქვათ, ძალით „გაძეგლებული“ ობიექტია“

## „ჩვენ არაერთხელ წავედით კომპრომისსა და დათმობაზე, მაგრამ ახლა ერთი გზა დაგვრჩა — სამართლებრივი გზა“

ამ ამბავს ოქროს ციებ-ცხელებას დავარქმევდით, რომლის ერთ მხარესაც არქეოლოგების გარკვეული ჯგუფი დგას, მეორე მხარეს კი – ბიზნესი. კერძოდ, რამდენიმე წლის წინათ ქართველმა და გერმანელმა არქეოლოგებმა ქვემო ქართლში, საყდრისში აღმოაჩინეს, მათი განცხადებით, მსოფლიოში უძველესი ოქროსმომპოვებელი მაღარო, რომელიც ძველი წელთაღრიცხვით მეოთხე ათასწლეულით არის დათარი□ღებული. არქეოლოგ ირინა ღამბაშიძის განცხადებით, საქართველოს ისტორია, როგორც წარმოუდგენელია დმანისის აღმოჩენების გარეშე, ასეთივე მნიშვნელობისაა საყდრისიცო. მაგრამ აქ ერთი მომენტია გასათვალისწინებელი: თავად ტერიტორიაზე წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ეკუთვნის „RMG“ ჯგუფს, რომელმაც თავისი უფლებების დაცვა გადაწყვიტა.

**საუბრობს „RMG“ ჯგუფის ერთ-ერთი დირექტორი სოსო ცაბაძე:**

– ჩვენმა კომპანიამ 2012 წელს შეიძინა შპს „მადნეული“, რომელსაც საყდრისზე წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ჰქონდა. ჩვენ თავიდანვე საყდრისის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის საკითხი ეჭვქვეშ არ დაგვიყენებია და გადავწყვიტეთ, ისე გვემუშავა დანარჩენ ფართობზე, რომ ძეგლი არ დაგვეზიანებინა. ამიტომ დავავალეთ სპეციალისტებს, გაერკვიათ, შესაძლებელი იყო თუ არა ამ ძეგლის გამაგრება და კონსერვაცია. ჩატარდა კვლევა, სადაც ჩავრთეთ არქეოლოგები, გეოფიზიკოსები, გეოსაინჟინრო ექსპერტები. გავეცანით ყველა არსებულ დოკუმენტს და აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი არსებობს. ასევე, დავინტერესდით საკანონმდებლო საკითხებითაც და ვნახეთ, რომ საყდრისი, უხეშად რომ ვთქვათ, ძალით „გაძეგლებული“ ობიექტია. ამიტომ მთავრობის წინაშე დავსვით საკითხი: გადაგვიწყვიტეთ, ჩვენ აქ ან ვმუშაობთ, ან – არა. თუმცა წასვლა საკმაოდ მძიმე იყო კომპანიისთვისაც და ბიუჯეტისთვისაც, რომ არაფერი ვთქვათ საწარმოში დასაქმებულ ადგილობრივ კადრებზე. მთავრობამაც გადაწყვიტა, რომ საკითხი შეესწავლა და ამიტომაც მოხდა კულტურის სამინისტროში კომისიის შექმნა. კომისიამ კი დაადგინა, რომ საყდრისი ნამდვილად „შეპარებულია“ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხაში. შესაბამისი დოკუმენტი (ნუსხა) კი ფალსიფიცირებულია.

**— რას ნიშნავს, „შეპარებულია“?**

– 2006 წელს კულტურის მაშინდელი მინისტრის გოკა გაბაშვილის მიერ საყდრისისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭება ასე მოხდა: 1997 წლამდე მოქმედებდა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვისა და გამოყენების კანონი, რომელიც 1999 წელს ახალმა კანონმა გააუქმა, მაგრამ არავის გახსენებია, რომ 1997 წელს გაუქმდა ასევე ყველა საკანონმდებლო აქტი, რომელიც კანონის ფარგლებში იყო მიღებული, ანუ საქართველოში ამ დროს ყველა ძეგლს სტატუსი მოხსნილი ჰქონდა. 2006 წელს, მინისტრის ბრძანებით, უკვე ხელახლა მოხდა კომუნისტების პერიოდში 1978-1989 წ.წ. არსებული ძეგლებისთვის სტატუსების აღდგენა და სწორედ ამ ნუსხაში რატომღაც მოხვდა 2004 წელს „აღმოჩენილი“ საყდრისი, რომელიც მანამდე წესიერად შესწავლილიც კი არ ყოფილა. დარწმუნებული ვარ, ამ დროს სამინისტროში გაიჟღერა ფრაზამ: თუ საყდრისს სტატუსი ექნება, გერმანელები ამაში გრანტს იძლევიან, და მოდი, რა, მივანიჭოთ მას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსიო. ყოველ შემთხვევაში, შემდგომში კომისიამ დაადგინა, რომ საყდრისს ძეგლის სტატუსი აშკარად კანონდარღვევით აქვს მინიჭებული! ამას დღემდე ვერავინ აპროტესტებს, რადგანაც ეს ჭეშმარიტებაა. თავად მოტივი, რითაც ძეგლს სტატუსი მიენიჭა, იყო ის, რომ საყდრისში არსებობდა მსოფლიოში უძველესი მაღარო, სადაც ხდებოდა ოქროს მიღება სამთო მოპოვების წესით. აქვე ვიტყვი, რომ თავად ობიექტი არის საკმაოდ სპეციფიკური, რადგანაც აქ გეოლოგიურმა კვლევამ უნდა დაადასტუროს არქეოლოგიური აღმოჩენა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამაზე მსჯელობაც კი გამორიცხულია. არქეოლოგების თქმით, ჩვენი წინაპარი თურმე ქვით ანგრევდა კლდეს, მიღებულ მასას წყლით რეცხავდა და ასე იღებდა ოქროს. ესეც საეჭვოა, რადგანაც დღესაც კი ჩვენი ტექნოლოგიით, საყდრისში ოქროს მოპოვება შეიძლება მხოლოდ ქიმიური წესით, რაც მაშინ, ცხადია, არ არსებობდა. თანაც გაითვალისწინეთ ის ფაქტი, რომ, როგორც წესი, ოქროს სამთო დამუშავება ხდებოდა მხოლოდ იქ, სადაც არ არსებობს მდინარის ხეობები. რაც შეეხება საყდრისს: აქ ქვაშია ჩაწინწკლული ოქრო, რომელიც შეუიარაღებელი თვალისთვის არ ჩანს.

**— და ჩვენი წინაპარი როგორ ცნობდა ამ ძვირფას მეტალს?**

– საქმეც ეგაა, ექსპედიციაში მომუშავე გერმანელი მეცნიერი თომას შტოლნერი ამას ვერ ხსნის. მისი პასუხია: საყდრისში ოქროს მომპოვებელს კოსმოსიდან ჰქონდა იმის ცოდნა, რომ აქ იყო ოქროო, მაგრამ ეს ნეოლითური პერიოდია, როცა ადამიანი დადის ტყავში გახვეული და, გამოდის, გაგანია თემური წყობილების დროს ჩვენი წინაპარი მთელი დღე მიმდგარია კლდეს, რომელსაც უკაკუნებს მაშავერის ხეობიდან ამოტანილ ქვას, ტეხს კვარცს, რომელიც ორჯერ უფრო მაგარია ქანზე, მერე ანთებს ცეცხლს 28 მეტრის სიღრმეზე, სადაც ერთი სანათიც კი არ არის ნანახი და ოქროს იღებს? ვიმეორებ, სანათის კვალიც კი არ არის, მაგრამ სამაგიეროდ, ადგილზე ნანახია მე-13 საუკუნის მონეტები, რაზეც არაფერს ამბობს არქეოლოგი ირინა ღამბაშიძე! იმიტომ ხომ არა, რომ მაშინ დათარიღება ეცვლება? რატომ ვერავინ ამბობს, როგორ წყდებოდა კლდეში განათების პრობლემა? დიდ სიღრმეში შუქი საიდან ჩადის? ან როგორ ხდება ვენტილაცია? იქ ხომ თურმე უზარმაზარ კოცონს ანთებდნენ – თანაც 28-30 მეტრის სიღრმეში. მოკლედ, ჩვენი კვლევის შედეგად დავასკვენით, რომ აქ არავითარი ძეგლი არ არის და აბსოლუტურად ყურით არის ეს ყველაფერი მოთრეული. ამის შესახებ საგანგებოდ გამოყოფილმა კომისიამ დადო დასკვნა და ჩვენც ჩვენი ვუთხარით კულტურის სამინისტროს. ასევე, ამასთან დაკავშირებით ოფიციალურად გამოვითხოვეთ დოკუმენტები კულტურის სამინისტროდან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის ეროვნული სააგენტოდან, ასევე მუზეუმიდან და აკადემიიდანაც. აქაც ვნახეთ უცნაურობები: ღამბაშიძის 2005 წლის ანგარიშში დევს ადგილის გეოლოგიური რუკა, რომელიც ჩვენი კომპანიის მიერ არის გაკეთებული 2007 წელს, ხოლო 2007 წ. ანგარიშში შემდგომი 3 წლის კვლევების მასალებია ჩადებული. ანუ, ანგარიშები ფალსიფიცირებულია! იქ სხვა დარღვევებიც იყო, რაც მეცნიერულად ვერ აიხსნა, სამაგიეროდ, არქეოლოგე-



ბის მხრიდან იყო მხოლოდ ისტერიკა. როცა შტოლნერს უსვამდნენ კითხვას, რამდენი ხანი მიმდინარეობდა ოქროს დამუშავება, ის პასუხობდა: დაახლოებით 300 წელი. საინტერესოა, რომ იმ პერიოდის საქართველოში, როცა ოქროს არავინ იყენებს, სად მიდიოდა საყდრისის ოქრო? შტოლნერის პასუხი: ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ეს ოქრო მიდიოდა შუამდინარეთშიო. ანუ, ჩვენი ფოთლებიანი წინაპარი თურმე აიკიდებდა ამ ოქროს და 2000 კილომეტრზე მიდიოდა შუამდინარეთში? არ არის ეს აბსურდი? ჩვენი გათვლებით, 500 წლის მანძილზე დაახლოებით 120 კილოგრამამდე ოქროა მოპოვებული, ე.ი. დღეში მოპოვებულია 0,32 გრამი, ანუ, ისე მცირე რაოდენობა, რასაც თვალითაც ვერ დაინახავთ და, როცა, არქეოლოგების თქმით, ჩვენი წინაპრები ასე წვალობენ ოქროს მოპოვებისას, ამ დროს, 800 მეტრში არსებობს მაშავერის ხეობა, სადაც პირდაპირ ზედაპირზეა ქვიშრობული ოქრო, რომლის მიღებაც ყოველგვარი გვირაბების გაყვანის, ქანების მონგრევისა და სხვა ამგვარი წვალების გარეშე, მხოლოდ გარეცხვით არის შესაძლებელი, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: მაშინ აქ რაღას იკლავდნენ თავს? ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ 800 000 ევრო, ანუ, დაახლოებით მილიონი დოლარი ოფიციალური ანგარიშების მიხედვით, საქართველოში საველე სამუშაოები წელიწადის მანძილზე მიდიოდა მაქსიმუმ მხოლოდ 32 დღე, მაგრამ დაფინანსება, დაგვერწმუნეთ, სერიოზულია. საინტერესოა, აქედან რამდენი დარჩა საქართველოში? ჩვენი ინფორმაციით – პრაქტიკულად არაფერი. სამწუხაროდ, ამით არავინ, მათ შორის არც კულტურის სამინისტრო არ ინტერესდება. ჩვენ ნანახი გვაქვს ქართველებისადმი შტოლნერის მიერ გამოგზავნილი წერილი, სადაც მოგვიწოდებს, მემკვიდრეობის ძეგლებს გაურფთხილდითო, მაგრამ სინამდვი□ლეში არ სჯობდა, კომისიისთვის დაედო სერიოზული არგუმენტები და ამით დაემტკიცებინა თავისი სიმართლე?

**— თქვენ საკმაოდ სერიოზულ ბრალდებას უყენებთ ამ მეცნიერს.**

– შტოლნერს აქვს გადასარევი პოზიცია, რადგანაც არავინ იცის, ვინ იყო კონკრეტული პირი, ვინც გაბაშვილს შეაპარა ეს ფაქტი, კომისიაზე ამ ობიექტს არ გაუვლია და მღვრიე წყალშია დარჩენილი ყველაფერი. რაც შეეხება ღამბაშიძეს, ის ჩვენ არაერთხელ შეგვხვდა და იტირა: კი, ბატონო, არ არის საყდრისი ძეგლი, მაგრამ ნუ შემარცხვენთ და აფერისტს ნუ მიწოდებთო. ირინა ღამბაშიძე არის ჩვენი გეოლოგების გარდაცვლილი მეგობრის და და მაგ ექსპედიციაში ჩვენ მივიყვანეთ. კი, ის ჩვენი კონტრაქტორია, შემდეგ რომ გამოვიდა და საქვეყნოდ საშინელი სიტყვები გვეძახა, რითაც მარტო ჩვენ კი არ მოგვაყენა შეურაცხყოფა, ასევე კომპანიას, რომელმაც, მისი სიტყვებით, თურმე ვიღაცები მოისყიდა.

2012 წლის ივლისში კულტურის სამინისტრომ კომისიის დასკვნის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ გააუქმდეს საყდრისს ძეგლის სტატუსი, პირველი, რადგან ის, თავის დროზე, იურიდიულად არასწორად ექნა მინიჭებული და, მეორე, სტატუსი გააუქმდა, რადგანაც დოკუმენტურად არ მოხერხდა იმის დადასტურება, რომ ნამდვილად აქ ხდებოდა ოქროს მოპოვება. საბოლოო ჯამში კი, მოხდა მთავრობის გადაწყვეტილების მიღება არქეოლოგიური ზონის სტატუსის გაუქმებასთან დაკავშირებით და დღეს საყდრისი არის ისეთივე ჩვეულებრივი ტერიტორია, როგორიც ნებისმიერი სხვა. რაც შეეხება იქ დარჩენილ არტეფაქტებს, ესაა 14 000 რიყის ქვა, რაზეც ოქროს კვალიც კი არ აღმოჩნდა, ეს ადგილობრივ მუზეუმშია გადატანილი. მაგრამ აქვე კომპანიამ მისცა შანსი ირინა ღამბაშიძის ექსპედიციას, რომ მას კიდევ ემუშავა ადგილზე, თუმცა უკვე მონიტორინგის ქვეშ.

**— მახსოვს, თავის დროზე ითქვა, რომ ძეგლს მიენიჭა მოძრავი ძეგლის სტატუსი.**

– არავითარი მოძრავი ძეგლის სტატუსი ამ ობიექტს არ მინიჭებია და ეს არის ჭორი, რადგანაც არ არსებობს სამინისტროს არანაირი საკანონმდებლო აქტი, რომლითაც საყდრისს ანიჭებს მსგავს სტატუსს. სხვათა შორის, მანამდე, თავისი სიმართლის დასამტკიცებლად, ექსპედიციამ ჩაატარა ასეთი ექსპერიმენტი: გაახურეს კლდე, მოანგრიეს ნაწილი, რომელიც დაიფშვნა, მერე წყლით გარეცხეს და მიიღეს 50 კილოგრამი მასა, რისი გარეცხვის შემდეგაც მიიღეს უმცირესი ოქრო. მაგრამ მანდ ერთი მომენტია: არქეოლოგები მანამდე ამტკიცებდნენ, რომ ეს ხდებოდა ქვემოთ, შახტებში, ხოლო ექსპერიმენტი კი რატომღაც მიწის ზემოთ ჩატარდა, სადაც ჟანგბადი დიდი რაოდენობითაა. მაგრამ ვიმეორებ, თუ რატომ ხდება ამ ძეგლის ასე თავგამოდებული დაცვა: რადგანაც საკმაო წლებია, ექსპედიცია იღებს სერიოზულ გრანტს, საიდანაც ოფიციალური გზით საქართველოში ერთი ცენტიც არ არის გადმორიცხული! დიახ, არც ერთი საგრანტო ხელშეკრულება ჩვენთან არ არსებობს. გაუგებარია, რატომ არ ინტერესდება ამით ადგილობრივი თვითმმართველობა, ან შემოსავლების სამსახური, ან სხვა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები. კულტურის სამინისტროს პოზიცია გასაგებია – ის მათ ხელს აფარებდა, აფარებს და მომავალშიც დააფარებს, რადგანაც, როგორც ჩანს, ამ სამინისტროში ქ-ნი მიზანდარი წყვეტს ყველაფერს, რომელიც ირინა ღამბაშიძის მეგობარი და ლობისტია!

**— და ამ შემთხვევაში ქართველებს, რა?**

– არ ვიცი, შეიძლება, ქეშით უხდიდნენ, ვერ გეტყვით. ერთი ის ვიცი, რომ, როცა საუბარი წავიდა, რომ ეს არის ქართულ-გერმანული ექსპედიცია და ვითხოვე ხელშეკრულება, ვერაფერი ვნახე. თუ ეს იყო თანამშრომლობა ჩვენს მუზეუმთან, მაშინ მუზეუმის ბუღალტერიაში ეს უნდა ფიგურირებდეს და არ ჩანს. სხვათა შორის, კომპანიისა და არქეოლოგების დაპირისპირების ამბავს მაშინდელ პრემიერი ივანიშვილიც გამოეხმაურა. რახან იყო საზოგადოების მხრიდან ასეთი დიდი დაინტერესება, პრემიერმა შეკრიბა ყველა დაინტერესებული მხარე და გაიმართა სხდომა ბიზნესცენტრში, სადაც ითქვა შემდეგი, რომ დადეთ არგუმენტები, რაც დაამტკიცებს, რომ საყდრისი ნამდვილად არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლიო. არგუმენტების ნაცვლად ისევ იყო ემოცია და მეტი არაფერი. ივანიშვილმა სიტუაციიდან გამომდინარე, კომპანიას დაავალა, კიდევ ერთხელ დაეფინანსებინა დამატებითი არქეოლოგიური კვლევა, თავის მხრივ, სამინისტროს კი კომპანიისთვის უნდა მიეცა უფლება მუშაობის დაწყებისა, რათა კომპანია არ დაზარალებულიყო. ანუ ივანიშვილმა ცალსახად განაცხადა, რომ კომპანიას ხელი არ უნდა შეშლოდა მუშაობაში. და რა ხდება დღეს? კვლევა ჩავატარეთ, დავამთავრეთ ფართობის შესწავლა, წარვადგინეთ რაპორტი, რომ აბსოლუტურად სტერილურია ტერიტორია, მაგრამ დღეს „ღMჩ“ ჯგუფთან დაკავშირებით კვლავ ჭიანურდება ყველაფერი: სამინისტრო არ ასრულებს საკუთარ ბრძანებებს და არ გასცემს სამუშაოების დაწყების უფლებას! აბსოლუტურად ნათელია, რომ კვლავ ქალბატონი მარინა მიზანდარი მფარველობს მეორე მხარეს, რადგანაც ის სამინისტროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგება და ყოველი გამოსვლის დროს ჯიუტად აცხადებს, რომ საყდრისი არის ძეგლი, მიუხედავად იმისა, რომ მისივე სამინისტროს ბრძანებით ობიექტს ძეგლის სტატუსი უკვე მოხსნილი აქვს. გამოდის, რომ მიზანდარი იცავს მეორე მხარის ინტერესებს, როცა, წესით, უნდა იყოს მიუკერძოებელი და არბიტრი. დიახ, არსებობს კანონი და არსებობს წესები, რაც უნდა იყოს დაცული.

ჩვენ არაერთხელ წავედით კომპრომისზე და დათმობაზე, მაგრამ ახლა ერთი გზა დაგვრჩა, ესაა სამართლებრივი გზა, რომელსაც ყოველთვის მივდევდით. რადგანაც ყველა ვადა ამოწურულია, გადავწყვიტეთ, მივმართოთ მთავრობას და პრემიერ-მინისტრს, აგრეთვე, სამართალდამცავ ორგანოებს კულტურის სამინისტროს უმსგავსო ქმედებებზე რეაგირებისთვის და ეს ასეც იქნება უახლოეს ხანში.

## ანდრო ბარნოვი აქციების ორგანიზებას იწყებს



პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსის განცხადებით? აქციების დასაგეგმად საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრას იწყებს და ის რამდენიმე დიდ ქალაქს მოიცავს.

„სამწუხაროდ, მთავრობის პასიურობის გამო ჩვენ ვიღებთ სიტუაციას, როდესაც სოჭის ოლიმპიადამ შესაძლოა, დამატებით საფრთხე შეუქმნას ჩვენს ევროპულ მომავალს. არა ოლიმპიადამ, არამედ იმ პასიურობამ, რომელსაც მთავრობა აჩვენებს. სავარაუდოდ, ძალიან დიდი ალბათობით, უნდა ველოდოთ, რომ უკვე მარტიდან, პუტინი დაიწყებს ზეწოლის ახალ ტალღას ჩვენზე, რათა უარი ვთქვათ ევროპულ მომავალზე და დავუბრუნდეთ პუტინის სამფლობელოს. ვიცით, რომ ევროპელმა ლიდერებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ოლიმპიადას, თუმცა ჩვენი მთავრობის კატასტროფული უმოქმედობის შედეგად, საქართველოს ოკუპაციაზე არსად არის დღეს ლაპარაკი. საქართველოს ხმა მიჩუმდა. ის აღარ ისმის. ეს არის ძალიან საშიში რეალობა. იმ დამღუპველი შედეგებზე, რომელიც შესაძლოა, ამ უმოქმედობის გამო დაადგეს, ჩვენს მთავრობას მოუწევს ძალიან სერიოზული პასუხისმგებლობის აღება. ეს უმოქმედობა არ არის შემთხვევითი და ჩვენი მთავრობა შეგუებულია, უკან დაიხიოს და უარი თქვას საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვაზე“, – განაცხადა ბარნოვმა. (პირველი)

# რატომ გადაიფიქრა ღარიბაშვილმა მთავარი პროკურორის წარდგენა?





ირაკლი შოთაძე

როდის დაასახელებს მთავარი პროკურორის კანდიდატურას პრემიერი ღარიბაშვილი? ეს კითხვა დღეს საზოგადოების დიდ ნაწილს აწუხებს.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე „ალიასთან“ საუბრისას ამბობს, რომ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილების მიხედვით პრემიერ-მინისტრს არ აქვს განსაზღვრული ვადები, როდის დანიშნავს მთავარ პროკურორს. „კონსტიტუციაში პროკურორის თაობაზე არაფერია ნახსენები, წერია მხოლოდ ის, რომ კანონით განისაზღვრება. არსებობს „კანონი პროკურატურის შესახებ“, თუმცა ამ კანონში არ არის განსაზღვრული, რა პერიოდში შეუძლია იუსტიციის მინისტრს, წარუდგინოს პრემიერს მთავარი პროკურორის კანდიდატურა და რა ვადებში უნდა დაამტკიცოს პრემიერ-მინისტრმა“. – ამბობს ხმალაძე.

„ალია“ გასულ კვირას წერდა, რომ ირაკლი ღარიბაშვილს შერჩეული ჰყავდა მთავარი პროკურორის ორი კანდიდატურა. მათგან ერთ-ერთი მთავარი პროკურორის ამჟამინდელი მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი შოთაძე იყო. ამ პოსტზე შოთაძის კანდიდატურის დასახელებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია მედიაში. მათ შორის „ალიაც“ წერდა, რომ შოთაძე „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, წლების განმავლობაში მუშაობდა პროკურატურის იმ დეპარტამენტში, რომელიც ზედამხედველობას უწევს ფინანსურ პოლიციას, ფინანსური პოლიციის მიერ ჩადენილი უკანონობების შესახებ კი ამჟამად მთავარ პროკურატურაში ასეულობით საჩივარია შესული. ამის გამო, არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ შოთაძეს, ფარცხალაძის მსგავსად, უკანონო ქმედებების ფაქტებს გაუხსენებდნენ. სწორედ ამიტომ, შოთაძის კანდიდატად განხილვა დღის წესრიგიდან მოიხსნა.

„ალიას“ ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრი გასულ შაბათს გეგმავდა მთავარი პროკურორის კანდიდატურის დასახელებას, თუმცა ატეხილი აჟიოტაჟის გამო ეს პროცესი გადაიდო.

აი, რას უყვება „ალიას“ წყარო: „დაგეგმილი იყო კანდიდატურის დასახელება. იყო რამდენიმე კანდიდატზე საუბარი, რომელთაგანაც ერთ-ერთის გვარის გახმოვანებას გეგმავდა ირაკლი ღარიბაშვილი. მაგრამ შოთაძის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით ატეხილმა აჟიოტაჟმა ეს პროცესი შეაფერხა, არა იმის გამო, რომ შოთაძე შეიძლებოდა გამხდარიყო მთავარი პროკურორი, არამედ იმის გამო, რომ დაიწყეს ყველა შესაძლო კანდიდატის ბიოგრაფიის ძირეული გამოკვლევა“. – ამბობს წყარო.

როგორც ჩანს, ხელისუფლება ფრთხილობს, რომ ფარცხალაძის შემთხვევაში დაშვებული შეცდომა აღარ განმეორდეს და „ნაციონალებს“ საპიარო თემა არ მიეცეს, ამიტომაც დაიწყეს კანდიდატთა ბიოგრაფიების საფუძვლიანი შესწავლა.

„ალია“ გასულ კვირას წერდა ერთი უცნობი კანდიდატის შესახებაც, რომლის სახელისა და გვარის გაჟღერების უფლება წყარომ არ მოგვცა, თუმცა ამ ადამიანის ვინაობაც და ბიოგრაფიული შტრიხებიც ჩვენთვის ალტერნატიული წყაროებიდან გახდა ცნობილი.



Reuters

როგორც შევიტყვეთ პრემიერ-მინისტრი მთავარი პროკურორობის ერთ-ერთ კანდიდატად სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსს, ალექსანდრე (ლექსო) ფერიაშვილს განიხილავს.

როგორც „ალიას“ წყარომ განუცხადა, ამჟამად ფერიაშვილი ყველაზე რეალური კანდიდატურაა და არ არის გამორიცხული, პრემიერმა სწორედ მასზე შეაჩეროს არჩევანი.

ფერიაშვილი წარმოშობით კახეთიდან არის, აქვს პროკურორად მუშაობის გამოცდილება, თუმცა ამჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანია. ფერიაშვილი პროკურატურაში 2004-2005 წლებში მუშაობდა და უწყება იუსტიციის ყოფილ მინისტრთან, ზურაბ ადეიშვილთან დაპირისპირების გამო დატოვა.

როდის დაასახელებს პრემიერ-მინისტრი მთავარი პროკურორის კანდიდატურას? ამ კითხვით პრემიერ-მინისტრის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს მაიკო ბიგვავას მივმართეთ. როგორც ბიგვავამ „ალიას“ განუცხადა, ჯერჯერობით უცნობია, როდის წარუდგენს ირაკლი ღარიბაშვილი საზოგადოებას მთავარი პროკურორის კანდიდატურას.

შორენა გოგოლაძე
599 27 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გამგეობას ფინანსური დარღვევები აღმოაჩნდა



თბილისის საკრებულოში შექმნილმა სარევიზიო კომისიამ ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის ფინანსურ დოკუმენტაციებში რიგი დარღვევა აღმოაჩინა. კომისიის თავმჯდომარის, მიხეილ ქავთარაძის განცხადებით, დარღვევების შესახებ მასალები შემდგომი რეაგირებისთვის სამართალდამცავ უწყებებს გადაეცემა.

„ჩვენ შევისწავლეთ ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2012 წლის ფინანსური დოკუმენტაცია და გამოვლინდა შემდეგი სახის დარღვევები – სადარბაზოებში სენსორული სანათების დამონტაჟებისთვის გამოყოფილი იყო 672 655 ლარი, საიდანაც 617 ათასი ლარი დაიხარჯა. ყველა ხელშეკრულება გაფორმებული იყო მხოლოდ ერთ კომპანიასთან – შპს „თბილისი გრუპთან“. ესაა კონკრეტულად გიგი უგულავას ფირმა და მას ხელმძღვანელობს მასთან ძალზე დაახლოებული ადამიანი. ამ შემთხვევაში არსებობდა გამგეობის მიერ გამოცემული დადგენილებების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, რადგან შემსრულებლის მიერ ფინანსური დოკუმენტაცია კანონით გათვალისწინებული ნორმების დარღვევით არის წარმოდგენილი“, – განაცხადა ქავთარაძემ და იქვე დასძინა, რომ შპს „თბილისი გრუპმა“ 2011-2012 წლებში ყოველგვარი ტენდერების გარეშე მილიონობით ლარის სამუშაოები შეასრულა დედაქალაქში.

გარდა ამისა, მისივე განმარტებით, გამოიკვეთა სხვა სახის დარღვევებიც:

„დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როცა გამგეობის მიერ მომსახურების შესყიდვა განხორციელდა „გადაუდებელი აუცილებლობიდან“ გამომდინარე, თუმცა რეალურად ეს აუცილებლობა არ არსებობდა. ამავე დროს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი გამგეობის მხრიდან საერთოდ არ ხდებოდა, მაშინ როცა ეს მისი პირდაპირი ვალდებულება იყო. მაგალითისთვის, „გადაუდებელი აუცილებლობიდან“ გამომდინარე, 2012 წლის აგვისტოში დაიდო ხელშეკრულება შპს „ბლექსი გურპთან“. ესაა ორგანიზაცია, რომელშიც იკვეთება ბატონი გივი თარგამაძის ინტერესები. ხელშეკრულება არის 750-ათასლარიანი და საერთოდ არაა მითითებული შესრულებული სამუშაოების შესახებ. არის შემდეგი სახის დარღვევაც: არსებობდა ე.წ. სპორტული მოედნების კოორდინატორების ინსტიტუტი, სადაც გაფორმებული იყვნენ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები და აქაც საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივად, პოლიტიკური მიზნით გამოყენება ხდებოდა. ესაა დანაშაული და ამას რეაგირების გარეშე არ დავტოვებთ. ეს ყველაფერი გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს“, – აღნიშნა კომისიის თავმჯდომარემ. (ინტერპრესნიუსი)

## ლარის კურსი სტაბილურიაო?



ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით, ლარის კურსი დასტაბილურდა და ბოლო დღეების განმავლობაში, დოლარის კურსის შემცირების ტენდენციაც შეინიშნება. მისი თქმით, ეროვნული ბანკი ლარის კურსის სტაბილურობის მიმართულებით გარკვეულ ღონისძიებებს ატარებს.

„ვფიქრობ, პროცესი დასტაბილურდება და არანაირ გართულებას ადგილი არ ექნება. ვფიქრობ, ეს კურსი არის ახალი წონასწორული კურსი და ეკონომიკური პროცესები ამით არათუ არ შეფერხდება, პირიქით, შესაძლოა, დაჩქარდეს კიდეც“, – განაცხადა ხადურმა. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





ვერ წარმოიდგენთ, რა მოხდა. ყველაზე ნაკლებად რომ ველოდი, სწორედ იმ სტრუქტურიდან, აუდიტის სამსახურიდან მოვიდა ზუსტად ის პასუხი, რასაც ველოდით კინოცენტრში აღმოჩენილი დარღვევების შესახებ. გაოგნებული ვარ, რადგან სულ ვაცხადებდი, ლაშა თორდია არ დახევს ნიკა რურუას ტყავს-მეთქი.

**— ალბათ, იმ შემორჩენილი „ნაციონალებისთვის“, რომლებიც დღესაც იკავებენ თანამდებობას, ნათელი გახდა სხვა პოლიტიკური რეალობა და არჩიეს, ობიექტურები ყოფილიყვნენ.**

– ფაქტია, რომ თორდიამ რურუას არ გადააყოლა თავისი სამსახური. ამის შემდეგ შუამდგომლობით შევიდა სასამართლოში აუდიტის სამსახური და 31 იანვარს სასამართლო პროცესი უკვე ჩაინიშნა. მაქვს იმედი, რომ ამ საქმეს მოვიგებთ.

ბენ ის პროფესიონალები, რომლებიც ელოდებიან სამართლიანობის აღდგენას.

**— როგორ წარმოგიდგენიათ ეს ე.წ. ჩანაცვლების პროცესი ისე, რომ მტკივნეული არ იყოს და ეფექტურადაც მოხერხდეს?**

– ნებისმიერი სახელმწიფო სტრუქტურა სავსეა „ნაციონალებით“, ყველა სამეთვალყურეო საბჭო და ბორდი. მათ დაგვანახეს, რომ შესანიშნავად ფლობენ ერთმანეთის გატანის ტექნიკას, უვლიან ერთმანეთს, რადგან იციან, რომ ძაფით არიან ერთმანეთზე ჩამოკიდებული და ერთს რომ რამე დაემართოს, მეორეც უკან მიჰყვება. აბა, გაიხსენეთ, უმნიშვნელო რამეც რომ ხდება, როგორ გამოვარდებიან ხოლმე და ერთ ხმაში აკეთებენ განცხადებას. ბევრნი კი არ არიან, მაგრამ ერთ მუჭად არიან შეკრულნი. მათ ფონზე კი დღევანდელი ხელისუფლება ქართველი საზოგადოება და ხელისუფლება, რომელიც ამ საზოგადოებამ უმრავლესობით მოიყვანა. რაშია საქმე, ასეთი ძალთა არათანაფარდობის მიუხედავად, ძლიერი რატომ ვერ იმარჯვებს სუსტზე?**

– აქ ქართველი საზოგადოება არაფერ შუაშია, ჩემი აზრით. ჩვენ ვართ მართვადი სახელმწიფო და აქ ქართველ კაცს სიტყვა არ ეთქმის. ჩვენში ყველაფერს რუსეთისა და ამერიკის ინტერესები წყვეტს. ირაკლი ღარიბაშვილის იმედი გამიჩნდა, მისი მომთხოვნი ხასიათის იმედი მაქვს.

**— მანაც ჩვენსავით გამოიარა ეს 9 წელი და იცის, ხალხი რა ფიქრებით სუნთქავს, მაგრამ მათ რა მოვკითხოთ, კოჰაბიტაციის სათავეებთან რომ დგანან და დღევანდელ ხელისუფლებაში „ნაციონალებს“ ამაგრებენ?**

– აი, მაგ ხალხის ნამდვილად არ მესმის და ვერც გავიგებ. ამ ყბადაღებული ზურგით მოვიყვანეთ ეს ხელისუფლება ერთად შეკრებილმა საზოგადოებამ, მერე მოხდა ასეთი რამ – ჩვენი ხელით მოსხეპილი სარეველა ბალახი, ჩვენივე ხელით გვარწყვევინეს და გაბიბინებულები დააბიჯგებენ.

**— რა ოცნება შეგისრულათ თქვენი ზურგით მოყვანილმა ხელისუფლებამ?**

– რა გითხრათ, ქუჩაში გასვლის მე არც მაშინ მეშინოდა და არც ახლა მეშინია, თუმცა იყვნენ ისეთები, ვისაც ეშინოდათ და მათ ნამდვილად შეუსრულდათ ეს ოცნება. ჩემთვის არაფერი შეცვლილა. შეიძლება, იმაზე ვილაპარაკოთ, რომ ხელისუფლება მოვიდა მხოლოდ იმიტომ, რომ ქუჩაში გასვლის არ ეშინიათ ადამიანებს? უხერხული თემაა. ახლა მოდის არჩევნები და ზუსტად ვიცი, რომ ახალი დაპირებებით ქართველი

# რა დასკვნა დადო „ნაციონალმა“ თორდიამ ნიკა რურუას წინააღმდეგ?

**რა დასკვნა დადო აუდიტის სამსახურმა კინოცენტრთან დაკავშირებით და რამდენად შესაძლებელია, „ნაციონალური მოძრაობის“ ბუდედ ქცეული კინოცენტრის განთავისუფლება ისე, რომ გარდამავალმა პერიოდმა ჩავარდნა არ გამოიწვიოს? რა მოლოდინი არსებობს საზოგადოებაში ივანიშვილის „მეორედ მოსვლასთან“ დაკავშირებით და შეძლებს თუ არა სახელმწიფოებრივი ჭაობის გასუფთავებას პრემიერ-მინისტრი?**

**„ალიას“ კინორეჟისორი ლევან ანჯაფარიძე ესაუბრა:**

**— ბატონო ლევან, საქართველოში არც კოჰაბიტაცია დასრულებულა და არც სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაწყებულა. ამდენი ბრძოლა და სისხლი წყალში ხომ არ ჩაიყარა?**

– მე კონკრეტულად ჩემს საქმეზე მოგახსენებთ, როგორ მიდის სამართლიანობის აღდგენის პროცესი კინოცენტრთან მიმართებაში, სადაც „ნაციონალური მოძრაობის“ ასპროცენტიანი დასწრებაა, ხელმძღვანელიდან დაწყებული, დამლაგებლით დამთავრებული ყველა „მამალი“ „ნაციონალია“. ეს არის კრაზანების ბუდე, რომელიც უდავოდ გასაწმენდია. არ მინდა, ხმამაღალი განცხადება გამომივიდეს, მაგრამ, ალბათ, მე მარგუნა ღმერთმა მისია, რომ ეს ბუდე გავწმინდო. ყველა ჩემმა კოლეგამ კარგად იცის, რა ხდება „ქართულ ფილმში“, მაგრამ მე გადავდგი ნაბიჯი, მეშიმშილა. 15-დღიანი შიმშილობა პატრიარქის რჩევით და თხოვნით შევწყვიტე, რადგან მან დამარწმუნა, რომ ფეხზე მდგომი უფრო მეტად გამოვადგებოდი ამ საქმეს და ჩემი ბრძოლაც უფრო წარმატებული იქნებოდა. ყველაფერი გამოვიძიეთ, საბუთები გადავუგზავნეთ ფინანსურ პოლიციას, პროკურატურას, მაგრამ





**„გაოგნებული ვარ, რადგან სულ ვაცხადებდი, ლაშა თორდია არ დახევს ნიკა რურუას ტყავს-მეთქი... ფაქტია, რომ თორდიამ რურუას არ გადააყოლა თავისი სამსახური“**

**— თუ გამართლდით, შედეგი რა იქნება?**

– შედეგი იქნება ის, რომ „ნაციონალები“ დატოვებენ კინოცენტრს და მას დაიკავება ულიმლამოდ გამოიყურება.

**— ერთ მხარეს დგას ერთ მუშტად შეკრული მცირე რაოდენობის „ნაციონალების“ ჯგუფი, მეორე მხარეს კი —** კოჰაბიტაციის გამო ადამიანების გადაჯიშება მოხდა. ამაში ახალი ხელისუფლებაა დამნაშავე. ჩვენ წინა ხელისუფლება ისე მოვსხიპეთ, ჩვენი ხალხი ველარ ისაზრდოებს, აგრესია არსად არ წასულა, ის

*გაგრძელება მერვე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ადვოკატები პრემიერს მიმართავენ



უვადო პატიმრობაში მყოფი პირების, გია გვიჩიანისა და ნიკა ჩემიას ადვოკატები მთავარ პროკურორად ირაკლი შოთაძის შესაძლო დანიშვნას აპროტესტებენ. ადვოკატ მალხაზ ჯანგირაშვილის განცხადებით, ირაკლი შოთაძე მონაწილეა იმ არასამართლიანი სასამართლო პროცესის, რომელიც გია გვიჩიანისა და ნიკა ჩემიას მიმართ 2006-20007 წლებში ჩატარდა და ეს ორი ადამიანი ამჟამად უკანონო პატიმრობაში იმყოფება. ადვოკატი პრემიერ-მინისტრს მიმართავს, რომ გაითვალისწინოს, ირაკლი შოთაძე არის ზურაბ ადეიშვილის პროკურატურის კადრი, ის წლების განმავლობაში მუშაობდა ამ სისტემაში და დევნიდა ადვოკატებს.

ამ საქმესთან დაკავშირებით ისაუბრა ადვოკატმა ირმა ჭკადუამ. მისი თქმით, გია გვიჩიანისა და ნიკა ჩემიას პროცესების გადადება დაკავშირებულია სწორედ შოთაძესთან, ვინაიდან, შოთაძე არის საბრალდებო დასკვნის ავტორი. ჭკადუას განცხადებით, მათ აქვთ კადრები, სადაც შოთაძე უშუალოდ მონაწილეობს გვიჩიანისა და ჩემიას სისხლის სამართლის პროცესის განხილვაში. მისივე თქმით, ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალი ის არის, რომ მთავარ პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება დნმ-ის პასუხის დამალვასთან დაკავშირებით. ადვოკატის შეფასებით, შოთაძე არის ავტორი და თანამონაწილე უვადოდ ორი ადამიანის ციხეში გამოკეტვის, რადგან არანაირი სამართლებრივი საფუძველი ამ ადამიანების დაკავების არ არსებობდა.

„ჩვენ ვიცით შოთაძის პოზიცია, მას აქვს მცდელობა იმისა, რომ სასამართლოზე გარკვეული გავლენა მოახდინოს. მას ისიც კი აქვს ნათქვამი, რომ სამი მოსამართლიდან ორი მისი ახლობელია. ჩვენ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, არ დაუშვას შოთაძის დანიშვნა, ვინაიდან შოთაძე არის ერთ-ერთი დამნაშავეთაგანი და იმ სისტემის წარმომადგენელი, რომელმაც ნახევარი საქართველო ციხეში გამოკეტა“, – განაცხადა ირმა ჭკადუამ. (ინტერპრესნიუსი)

## სარეზერვო ფონდიდან 5 მილიონი გამოიყო




ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და მთავრობის კანცელარიას მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხა გამოეყოთ.

ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განმარტებით, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეუფერხებელი წარმართვის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო მინისტრის აპარატს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 3 მილიონი ლარი გამოეყო.

სარეზერვო ფონდიდან 2 მილიონ 100 ათას ლარს მიიღებს მთავრობის კანცელარია, რომელსაც თანხა საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვისთვის გამოეყო. (ინტერპრესნიუსი)

## სევდია უგრეხელიძე განცხადებას ავრცელებს



თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელი სევდია უგრეხელიძე ვაკის რაიონში სასტუმროს მშენებლობასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. „ვინაიდან ვაკის რაიონში სასტუმროს მშენებლობასთან, დაკავშირებით უნებლიეთ თუ მიზანმიმართულად მოხდა ჩემი პოზიციის დამახინჯებული ინტერპრეტირება, საჭიროდ მიმაჩნია დავაკონკრეტო და საზოგადოებას განვუმარტო, რომ რესტორან „ბუდაპეშტის" ადგილზე აშენდება თუ არა სასტუმრო, დაწყებული ადმინისტრაციული განხილვის ან სასამართლო განხილვის ფარგლებში გადაწყდება. ხოლო, რაც შეეხება ჩემს პირად მოსაზრებას, მიმაჩნია, რომ შეთანხმებული პროექტი თბილისის განვითარებას მეტ სიკეთეს მოუტანს, ვიდრე ზიანს და ის სწორედ ქალაქის ინტერესებს ემსახურება", – აღნიშნულია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## თბილისის ზოოპარკში ზებრა დაიბადა



თბილისის ზოოპარკში ბურჩელის ზებრა დაიბადა. ზოოპარკის ადმინისტრაციის ინფორმაციით, პატარა და დედა თავს კარგად გრძნობენ, მთელი დღე გარეთ არიან და დამთვალიერებლებს მათი ნახვა დღის განმავლობაში, ნებისმიერ დროს შეუძლიათ.

ზოოპარკის თანამშრომლებმა ახლად დაბადებული ზებრის სქესი ჯერჯერობით არ იციან, რადგან დედა მათ, პატარა ზებრასთან ახლოს არ უშვებს. (ინტერპრესნიუსი)

# რა დასკვნა დადო „ნაციონალმა" თორდიამ ნიკა რურუას წინააღმდეგ?



„15-დღიანი შიმშილობა პატრიარქის რჩევით და თხოვნით შევწყვიტე, რადგან მან დამარწმუნა, რომ ფეხზე მდგომი უფრო მეტად გამოვადგებოდი ამ საქმეს და ჩემი ბრძოლაც უფრო წარმატებული იქნებოდა"

წავიდოდა იმ შემთხვევაში, როცა ვიღაცას რაღაც გინდა აპატიო და გააგრძელო მასთან თანაცხოვრება, ამისთვის დამნაშავემ ბოდიში მაინც უნდა მოიხადოს. რომელმა „ნაციონალმა" მოიხადა ბოდიში? პირიქით, ისეთი ჰონორით საუბრობენ, მგონია, რომ არც წასულა მათი დრო, პირიქით, ლამის ყელში გწვდნენ და დაგახრჩონ, ამის უფლება მათ ახალმა ხელისუფლებამ მისცა, ამ ხელისუფლებას კი სხვა დიდმა ქვეყანამ დაავალა.

**— ამითაა გამოწვეული განცდა საზოგადოებაში, რომ „ნაციონალები" დაბრუნდებიან. ცხადია, მათი რეაბილიტაცია არ მოხდება, მაგრამ მცირედი ნაწილის დაბრუნებას ხელისუფლების არაეფექტური მმართველობის გამო რამდენად შესაძლებლად მიიჩნევთ?**

– თვითონ „ნაციონალები" რომ ვერ დაბრუნდებიან ხელისუფლებაში, ამაზე საუბარიც არ გვინდა, მაგრამ მათი „ნაწილაკების" დაბრუნების შესაძლებლობა ნამდვილად არსებობს. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ რეგიონებში პარტიები ისევ იმ ძველი სქემით ამუშავებენ აქტივისტებს, რომლებიც ქამელეონებივით იცვლიან ფერს და ახლა გახდნენ ახალი ხელისუფლების მხარდამჭერები. ეს უპრინციპო ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა პარტიებში არიან ჩანერგილები, სწორედ ამ მიმართულებით მუშაობენ. ეს ადამიანები მაგნიტებივით არიან და ერთმანეთს იზიდავენ, რაც იმის საფუძველია, რომ ეს ნაწილაკები ერთ ბირთვად შეიკვრებიან. ამაში მათ ხელს უწყობენ „რესპუბლიკელებიც", რომლებიც ახლა ხელისუფლებად მოგვევლინნენ. გითხარით, რომ არსებობენ პარტიები, „ნაციონალებით" რომ სულდგმულობდნენ, სწორედ ასეთი პარტიაა „რესპუბლიკელები", ისინი არასდროს მრავალრიცხოვანნი არ ყოფილან, მაგრამ ხელისუფლებაში ყოფნის გამო მათ რიგები გაიმდიდრეს. ეს ადამიანები ყველა სტრუქტურას მოედვნენ და გაძლიერდნენ, რომ ფესვები მყარად გაიდგან. არასდროს სცემდნენ მათ ისე პატივს, რომ ხელისუფლებაში მოგვეყვანა, მაგრამ ახლა ისინი ხელისუფლების ბატონ-პატრონები არიან. ეს მაფიქრებინებს, რომ „რესპუბლიკელები" მუშაობენ ადგილობრივი არჩევნებში წარმატების მისაღწევად, რომ ადგილობრივ დონეზე გაძლიერდნენ. მეშინია ისევ ახალი კრაზანების ბუდე არ შეიქმნას.

**— ღარიბაშვილი ამ პარტიის წარმატებას დაუშვებს?**

– ღარიბაშვილისთვის ეს პარტია იქნება „ჯოხი ბორბალში" მხოლოდ. მე მგონია, რომ „რესპუბლიკელები" ისევ იმ დონეზე უნდა „ჩაიჩოჩდნენ", როგორც აქამდე იყვნენ, მიშვებული სადავეები მათ მუდამ გააძლიერებს. ვერ უარვყოფ, რომ უდავოდ ჭკვიანები არიან, მაგრამ ისინი ისეთი ჭკვიანები არიან, მხოლოდ უბედურების მოტანა რომ შეუძლიათ ჩვენი ქვეყნისთვის, ისინი საქმიანობენ ისე, როგორც მათ სურთ და არა ისე, როგორც ქვეყანას სჭირდება.







**„ნებისმიერი სახელმწიფო სტრუქტურა სავსეა „ნაციონალებით", ყველა სამეთვალყურეო საბჭო და ბორდი... უვლიან ერთმანეთს, რადგან იციან, რომ ძაფით არიან ერთმანეთზე ჩამოკიდებული და ერთს რომ რამე დაემართოს, მეორეც უკან მიჰყვება"**

**— დასავლეთთან საკეკლუცოდ როდემდე აიტანს ღარიბაშვილი ამ ძალას?**

– ღარიბაშვილი კეკლუცი არაა და ამიტომ მომეცა მეც იმედი, რომ ქართული პოლიტიკაც დაასრულებს კეკლუცობას დასავლეთთან. ამიტომ მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილი კიდევ ერთხელ შემოვა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, რათა გააძლიეროს მის მიერ დანიშნული ღარიბაშვილი და უფრო გააქართულოს პოლიტიკური ველი. მე ამის იმედი მაქვს. ვინატრებდი ისეთ გზას, როცა უმაღლესი ხელისუფლება იტყვის, „არც იქით მინდა, არც აქეთ, გაუმარჯოს საქართველოს". დღეს არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა, ყველა სფეროში ინერციით მივდივართ, რა გზითაც მიდიოდა ქვეყანა სააკაშვილის დროს, იგივე გზით მივდივართ. ნებისმიერი უწყება ისევ „ნაციონალების" კადრებით მუშაობს და დაგვცინიან, ამისთვის იბრძოდით, რომ ჩვენ თანამდებობები შეგვენარჩუნებინა და თქვენ ქუჩაში ყოფილიყავითო? არასამთავრობოები ტანზე იხევენ, როგორ მიიპყრონ უცხოეთის ყურადღება, რომ მერე ფული წამოვიდეს იქიდან. ახლა გეის თუ გადაიღებ კინოში, უხვად დაგაფინანსებენ, ქართველი კაცის შესახებ ფილმი ვის რად უნდა? ჯანმრთელ ოჯახზე ფილმი არ უნდა გააკეთო, პათოლოგიაზე კი ბატონო, მაშინვე დაგიფინანსებენ. ასეთი პათოლოგები იყვნენ „ნაციონალები", რომლებიც არსად არ წასულან. არაფერი არ შეიცვლება მანამ, სანამ არ იქნება ბრძანება, რომ კადრები გადაიხედოს. მინისტრების ცვლილება ვერ მოიტანს ცვლილებებს ქვეყანაში. „ნაციონალებს" ეგონათ, რომ თანამდებობაზე სამუდამოდ იქნებოდნენ და ზუსტად ამ მიმართულებით შექმნეს კანონები, მარტო ამ კანონების შეცვლას დასჭირდება დიდი დრო, რომ მერე სხვა რეალობაზე გადავიდეთ, მაგრამ, თუ ეს პროცესი არ დაჩქარდა, ვიმეორებ, საზოგადოებრივი აგრესია არსად წასულა, ის აუცილებლად იფეთქებს.

**ჟანა ასანიძე**

**558 00 16 16**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საგადასახადო საიდუმლოება დაცული იქნებაო...



ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით, საგადასახადო კოდექსში ცვლილებები ბევრი მიმართულებით ძალიან ლოგიკურია. მისი თქმით, სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონი ითვალისწინებს, რომ სახალხო დამცველს უფლება აქვს, მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის კომერციული საიდუმლოება.

„შესაბამისად, ეს გაწერილი უნდა იყოს იმ კანონში, რომელიც ამ ტიპის საიდუმლოებას განსაზღვრავს. იგივე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გადაწყვეტილებების მიღებისას სჭირდება იმ ტიპის ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ შემოსავლების სამსახურს აქვს და მისი გაცემის უფლება არ აქვს. ამიტომ, ძალიან ლოგიკურად დაისვა საკითხი, რომ, თუ სამინისტროს აქვს მის სფეროში შემავალ საკითხებზე ინფორმაციის მიღების უფლება, მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მოითხოვოს ფინანსთა სამინისტროსგან და მიიღოს ეს ინფორმაცია. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ ბაზებზე წვდომა ექნებათ", – განაცხადა ხადურმა.

მისი განმარტებით, უწყებებს მიეცემათ კონკრეტული ინფორმაცია, რომელიც საქმიანობისთვის დასჭირდებათ და ამ ინფორმაციის გასაჯაროების უფლება არ ექნებათ. „შესაბამისად, დაცული იქნება საგადასახადო საიდუმლოება", – აღნიშნა ხადურმა.

„საგადასახადო კოდექსში" ცვლილებები პარლამენტში უკვე ინიცირებულია. კანონპროექტის ინიციატორია ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო და ის საკანონმდებლო ორგანოში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმოწერით არის შესული.

ცნობისთვის, სუბიექტთა წრე, რომელსაც შეიძლება საგადასახადო საიდუმლოებასთან წვდომა ჰქონდეს, დღეს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით, შეზღუდულია. პროექტის მიხედვით, ეს წრე ფართოვდება და საგადასახადო საიდუმლოებასთან დაკავშირებული მუხლი მთლიანად ახალი რედაქციით ყალიბდება. (ინტერპრესნიუსი)

## მეწარმეობის განვითარების სააგენტო იქმნება



ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილის, დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით საქართველოში დაწყებითი ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, მეწარმეობის განვითარების სააგენტო შეიქმნება. მისი განმარტებით, ამის შესახებ ინფორმაცია ბანკების ხელმძღვანელებსაც მიეწოდათ.

„კომერციულ ბანკებთან შეხვედრა ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ეს ის სექტორია, რომელიც რეალურად ჩვენი ეკონომიკის მამოძრავებელია. მივაწოდეთ ინფორმაცია, მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკის რა მასტიმულირებელ ქმედებებს განახორციელებს ეკონომიკური გუნდი. ასევე, მივაწოდეთ ინფორმაცია ახალი სააგენტოს შექმნის შესახებ, რომელსაც ერქმევა მეწარმეობის განვითარების სააგენტო. ეს სააგენტო ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მისი მეშვეობით ხელი უნდა შევუწყოთ დაწყებითი ბიზნესის განვითარებას საქართველოში და შესაბამისად, უნდა შევქმნათ საფუძველი, რომლის შემდეგაც კომერციული ბანკები მოახერხებენ ახლად შექმნილი ბიზნესების დაკრედიტებას", – განაცხადა ქუმსიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)



# ემუქრება თუ არა ლარს დევალვაცია?

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური გვარწმუნებს, ლარის კურსი სტაბილურიაო, ექსპერტები კურსის გამყარებას უახლოეს მომავალში არ ვარაუდობენ. მინისტრი იმასაც გვიმტკიცებს, მიუხედავად 2013 წელს ეკონომიკური ზრდის ტემპის შეფერხებისა, ბიზნესსექტორში გასული წლის დასაწყისიდან მესამე კვარტალის ჩათვლით დაახლოებით 30 000 სამუშაო ადგილი შეიქმნა, ანუ უმუშევრობა შემცირდაო.

საპირისპირო სტატისტიკას აქვეყნებს ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, რომელმაც 2014 წლისთვის უმუშევრობის მაჩვენებელი 17%-ით განსაზღვრა.

**არსებულ სიტუაციასა და მოსალოდნელ შედეგებზე „ალიას" ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე ესაუბრება:**

**— ნოდარ ხადურმა განაცხადა, რომ საქართველოში უმუშევრობა შემცირდა, რადგან ახალმა ხელისუფლებამ 30 000 სამუშაო ადგილი შექმნაო, საპირისპიროს ადასტურებს ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევა. საზოგადოებამ როგორ დაადგინოს სიმართლე?**

– ვფიქრობ, სტატისტიკა უნდა არსებობდეს, სად და რომელ სექტორში დასაქმდნენ ადამიანები და რა სამუშაო ადგილები წარმოიქმნა. კარგია, თუკი სამუშაო ადგილები შეიქმნა, რადგან 30 000 ახალი სამუშაო ადგილი ცოტა ნამდვილად არ არის, თუმცა ამას სჭირდება ოფიციალური სტატისტიკა, რომელიც დაადასტურებდა ამ ინფორმაციის ნამდვილობას.

**— თქვენ იყავით ივანიშვილის ეკონომიკური გუნდის წევრი ჯერ კიდევ არჩევნებამდე, ახლაც ამ სფეროში ხართ და სისტემატურად ეცნობით სტატისტიკას. ჩვენ არ გვსმენია ახალი სამუშაო ადგილის შესახებ და იქნებ რამე გამოგვრჩა. თქვენ რამე ინფორმაცია გაქვთ ამის შესახებ?**

– ჩემთან მოდის ყველანაირი სტატისტიკა, რაც ეკონომიკასა და ფინანსებს ეხება. ჯერ არ მომსვლია ის სტატისტიკა, რომ 30 000 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა, შეიძლება გამომრჩა რამე. ბოლო მონაცემებში ამის შესახებ არაფერი იყო და არ ვიცი, მოვიძიებ კიდევ.

**— ხადურმა ასევე განაცხადა, რომ ეროვნული ვალუტის კურსი დასტაბილურდა, თუმცა, ბოლო მონაცემებით, ლარი დოლართან მიმართებაში 1.74-ზეა ჩამოსული. რას ნიშნავს დასტაბილურება და რა პროგნოზის გაკეთება შეგიძლიათ?**



– ამ კუთხით სერიოზული პრობლემებია, მაგრამ ტრაგიკული ნამდვილად არაფერი ხდება. გაურკვეველი მოლოდინებია, რაც შეშფოთებას იწვევს ბიზნესმენებშიც და მოქალაქეებშიც. ის, რომ ქართული ვალუტა ზედმეტად გადაფასებული იყო და ხელოვნურად მაღალ ნიშნულზე იყო გაჩერებული წლების განმავლობაში, თავისთავად ცხადია. ასეთი ვალუტით და ასეთი მცირე ფულის მასით ქვეყანაში რაიმე ეკონომიკურ წინსვლაზე საუბარი ზედმეტი იყო, ამიტომ ვფიქრობ, ეს პროცესი არ არის საშიში, თუ ეროვნული ბანკისა და მთავრობის ხელში იქნება პროცესები. რას აპირებენ, როგორ აპირებენ და რა ვადებში შეიძლება ვივარაუდოთ ლარის რეალური დევალვაცია, ჯერ უცნობია. ამის გამო ჩვენ შეიძლება ინფლაციური საშიშროება შევქმნას. ჯერჯერობით ინფლაციის საფრთხე ძალიან დაბალია, მაგრამ გაურკვევლობა ნამდვილად ქმნის საფრთხეს.

ეროვნულმა ბანკმა თითქოს რაღაც განმარტებები გააკეთა, თუმცა მისი ორიენტირები და სახელმწიფოს მიერ უკვე დამტკიცებული ბიუჯეტის ორიენტირები არ ემთხვევა ერთმანეთს. რა გამოვიდა? ჩვენ, ფაქტობრივად, მთლიანი შიდა პროდუქტის 2% – 350 მილიონი რეზერვებიდან გავისროლეთ ლარის კურსის სტაბილიზაციისთვის და ის 5%-ით მაინც დაეცა. გამოდის ეს გზა მაინდამაინც შედეგიანი ვერ აღმოჩნდა. რა იქნება შემდეგ? ამას უნდა ველოდოთ, თუმცა მხოლოდ მოლოდინი საკმარისი არ არის, ინფორმაცია კი ძალიან ცოტაა როგორც ეროვნული ბანკიდან, ისე მთავრობიდან.

**— ნოდარ ხადური გასულ წელს მთელი წლის განმავლობაში აცხადებდა, რომ ეკონომიკის 6%-იანი ზრდა გარდაუვალია იყო, მხოლოდ მესამე კვარტალის მეორე ნახევარში აღიარა, რომ 2,5%-იანი ეკონომიკური ზრდა გვექნებოდა. ახლაც ლარის კურსის სტაბილურობაზე საუბრობს ფინანსთა მინისტრი და საზოგადოების დიდი ნაწილი ამ სტაბილურობას ვერ გრძნობს. ისინი გაცილებით დიდ თანხას იხდიან კრედიტებში და ეს პრობლემა ძალიან ბევრ მოქალაქეს აწუხებს. არ აქვს საზოგადოებას უფლება, სიმართლე იცოდეს და ასევე იცოდეს მოსალოდნელი შედეგები, რათა მოსალოდნელი პრობლემებისგან თავი დაიზღვიოს?**

– მე ვფიქრობ, ნოდარ ხადურის დადანაშაულება მიზა-

*გაგრძელება მეათე გვერდზე*

## მთავრობის კანცელარია ადმინისტრაციად გარდაიქმნება



საქართველოს მთავრობის კანცელარია მთავრობის ადმინისტრაციად გარდაიქმნება. განხორციელდება სტრატეგიული მიმართულების სტრუქტურულ-ფუნქციური ცვლილებები. კანცელარიის რეორგანიზაცია დაეფუძნება ღია და საჯარო მმართველობის ევროპულ მოდელს. ადმინისტრაცია მჭიდროდ ითანამშრომლებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან; ჩამოყალიბდება და კიდევ უფრო გაძლიერდება პრემიერ-მინისტრთან არსებული საბჭოები. ადმინისტრაცია ორიენტირებული იქნება სამთავრობო სტრუქტურებს შორის კოორდინაციასა და ეფექტურ მონიტორინგზე.

ერთი მხრივ, კანცელარიის რეფორმირება გამოწვეულია საკონსტიტუციო ცვლილებებით, რომლითაც პრემიერ-მინისტრის უფლება-მოვალეობები მნიშვნელოვნად გაიზარდა. მეორე მხრივ კი, ასეთ სტრუქტურულ რეორგანიზაციას თან ახლავს მეტი ეფექტურობის მოთხოვნა. სწორედ ამიტომ, კანცელარიის რეორგანიზაცია მართვის თანამედროვე ევროპული სტანდარტების დანერგვაზე იქნება ორიენტირებული.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრიორიტეტად რჩება ეფექტიანი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობის დამკვიდრება. აღნიშნული ცვლილები პასუხობს საქართველოს მთავრობის წინაშე მდგარ ამოცანებს, რომელთა განხორციელებასაც პრემიერ-მინისტრი ადმინისტრაციასთან და მთავრობასთან ერთად გეგმავს. უახლოეს მომავალში კანცელარია ახალი სტრუქტურის პრეზენტაციას გამართავს. (ჯი-ეიჩ-ენი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნარმანია ეპიდემიის საფრთხეს გამორიცხავს



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია მიუსაფართა თავშესაფრის გამო, ეპიდემიის საფრთხეს გამორიცხავს.

„ეპიდემიის საფრთხე არ არსებობს, რადგან კვირაში 2-ჯერ იქ ტარდება შესაბამისი დეზინფექცია და პრევენციული სამუშაოები ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ. მიუხედავად ამისა, მიუსაფართა პრობლემებზე მომუშავე კომისიის ბოლო სხდომაზე მივიღეთ კარვების გადატანის გადაწყვეტილება. ტერიტორია, რაც თავშესაფრისთვის არის გამოყოფილი, საკმარისი არ არის იმისთვის, რომ ყველა სახის სერვისით სრულად მოვემსახუროთ 200 ადამიანს, ამიტომ ავიღებთ სხვა, გაცილებით დიდ ტერიტორიას, სადაც გაზაფხულზე დავიწყებთ უფრო სტაციონარული ტიპის თავშესაფრის მშენებლობას", – განაცხადა ნარმანიამ და იქვე განმარტა, რომ ახალი თავშესაფარი თბილისის შემოგარენში განთავსდება.

მინისტრი გამოეხმაურა თავშესაფარში ორი პირის გარდაცვალების საკითხსაც:

„ბოლო ორი თვის განმავლობაში შესაბამისი კომისიის რამდენიმე სხდომა გაიმართა. ყველა სხდომაზე მიუსაფართა პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები გაგვქონდა. შესაბამისად, პირობები გაუმჯობესდა და ცუდი პირობების გამო არ მომხდარა ის, რომ ორი ადამიანი გარდაიცვალა. ეს იყო გამოწვეული მათი ჯანმრთელობის მდგომარეობით, თუმცა საბოლოო დასკვნას ექსპერტიზა დადებს", – აღნიშნა მინისტრმა, რომლის ინფორმაციითაც, ჯანმრთელობის გაუარესებული მდგომარეობის გამო რამდენიმე უსახლკარო საავადმყოფოშიც გადაიყვანეს. (ინტერპრესნიუსი)

## გზებზე შეზღუდვები მოქმედებს



საავტომობილო გზებზე, უამინდობის გამო, გარკვეული ტიპის შეზღუდვები მოქმედებს. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, თოვლისა და ლიპყინულის გამო, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური(ფოსტა)-კობის მონაკვეთზე მისაბმელიანი, ნახევრად მისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. გუდაური(ფოსტა)-კობის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა განხორციელდება ზვავდამცავი გვირაბების გავლით. მისაბმელიანი, ნახევრად მისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა გვირაბებში განხორციელდება ცალმხრივად.

აღნიშნული რეჟიმით მოძრაობა განხორციელდება საპატრულო პოლიციის უშუალო ზედამხედველობითა და კოორდინაციით. გზის დანარჩენ მონაკვეთებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. (ინტერპრესნიუსი)

## მე-5 ბრიგადაში სამუშაო დასრულებულია



საქართველოს შეიარაღებული ძალების V ქვეით ბრიგადაში 2013 წლის გეგმით გათვალისწინებული ყველა სამშენებლო სამუშაო დასრულებულია. სამუშაოების დასათვალიერებლად გორში თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია და გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე იმყოფებოდნენ. პირველად მათ ბრიგადის პოლიგონი მოინახულეს. ადგილზე აშენდა და გარემონტდა სასროლეთის მართვის ცენტრი, საშხაპეებითა და საკლასო ოთახებით.

ბრიგადაში განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების პირველ ეტაპზე აშენდა 51-ე ბატალიონის ერთი სასადილო, რომელიც უახლესი, თანამედროვე ტექნოლოგიებით არის აღჭურვილი. დასრულდა ბატალიონის ტერიტორიაზე მდებარე შენობა-ნაგებობებში კომუნიკაციების – გათბობის, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის გაყვანა. ამჟამად, მათი კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. ბრიგადის შტაბის ტერიტორიაზე რეაბილიტაცია ჩაუტარდა სასადილოს. დასრულდა საკონტროლო გამშვები პუნქტის მშენებლობაც.

„2013 წელს ჩვენ დავიწყეთ პროექტები, რომელიც ყველა ჯარისკაცს, ოფიცერს, სერჟანტს საშუალებას მისცემს, ნორმალურ გარემოში ემსახუროს საკუთარ ქვეყანას. ჩვენ გავაგრძელებთ ინფრასტრუქტურის შენებას – წელსაც ეს არის ჩვენი მთავარი პრიორიტეტი. დარწმუნებული ვარ, რომ ღირსეულ პირობებში ჩვენი ჯარი გააკეთებს ყველაფერს, რომ სამშობლოს დაცვის საკუთარი ამოცანა უმაღლეს დონეზე შეასრულოს". – აღნიშნა მინისტრმა. (ჯი-ეიჩ-ენი)




# ემუქრება თუ არა ლარს დევალვაცია?

ნიმართულ ქმედებებში არ იქნება გამართლებული, ვინაიდან შექმნილი პრობლემების მიზეზები ფინანსთა სამინისტროს სცილდება და სხვა მასშტაბს იძენს. პრობლემები მთლიანად საქართველოს მთავრობას აქვს, ვინაიდან 2014 წელს შედეგი უნდა დადონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან რთული მდგომარეობა იქნება.

**— მხოლოდ ხადურს არავინ ადანაშაულებს, უბრალოდ, აღვნიშნავთ იმას, რომ საზოგადოებას აქვს უფლება, იცოდეს სიმართლე შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ხადურის განცხადებები კი რეალობის არაადეკვატურია, სწორედ ეს რეაქცია მოჰყვა ფინანსთა მინისტრის განცხადებას სოციალურ ქსელებში.**

– მაგაში ნამდვილად სრულად გეთანხმებით. ლარის კურსი ვერანაირად ვერ იქნება სტაბილური და ის წლის განმავლობაში კიდევ დაიწევს. მთავარია, როგორი იქნება დაცემის ტემპი, რადგან 1,75-ის ნიშნულს ძალიან სწრაფად მიაღწია. მე ამას ვვარაუდობდი გაზაფხულის შუა პერიოდისთვის, მაგრამ მოვლენები გაცილებით ჩქარა მოხდა. როდესაც ეკონომიკაში სერიოზული ძვრები არ არის, ეს ყოველთვის საშიშია.

**— თქვენ ახსენეთ ლარის გაუფასურება და თუკი ეს ტენდენცია შენარჩუნდება, რამდენად ემუქრება ეროვნულ ვალუტას დევალვაციის საფრთხე?**



– ჯერჯერობით ლარი არ არის გაუფასურებული, მას არ მიუღწევია თავის რეალურ დონემდე. მოდით, ვაღიაროთ, რომ ჩვენ ძალიან მაღალ კურსზე ხელოვნურად გაჩერებული ლარი გვქონდა. ლარი არ შეიძლება მუდმივად თამაშობდეს. ხელისუფლების მთავარი ფუნქციაა, რომ ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობა უზრუნველყოს. ლარის კურსის ვარდნით ვერავინ მოიგებს, გარდა ვიწრო ჯგუფისა, რომლებიც ძალიან მსხვილი სპეკულანტები არიან. ამიტომ დევალვაცია თუ გაგრძელდა, თან ასეთი სწრაფი ტემპებით, ინფლაცია აუცილებლად მოჰყვება ამ ყველაფერს. იმპორტზე ჩამოკიდებულ ქვეყანაში იმპორტიორები თავისი თავის დაცვის მიზნით ფასებს გაზრდიან და ეს იქნება ძალიან ცუდი შედეგების მომტანი ქვეყნისთვის.

**— თქვენ განაცხადეთ, რომ წლების განმავლობაში ხელოვნურად იყო აწეული ლარის კურსი. შეგიძლიათ გვითხრათ, რეალური ნიშნული რა არის ეროვნული ვალუტის, იქნებ აქეთ მივდივართ?**

– მე არ მინდა დავასახელო კონკრეტული ციფრი, რათა ზედმეტი მღელვარება არ გამოვიწვიო. რა თქმა უნდა, 1.42 და 1.65, რომელიც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში იყო, არაფრით არ შეესაბამება ეკონომიკის ასეთ მდგომარეობას. არ ვფიქრობ, რომ ლარის კურსი ეროვნულ ბანკს, ანდა მთლიანობაში მთავრობას ხელიდან გაექცა, თუმცა ისინი რომ არ იძლევიან ინფორმაციას, ქმნის გაურკვეველ მოლოდინებს საზოგადოებაში.

**— ანუ, არ უნდა ელოდონ მოქალაქეები ლარის პოზიციების გაუმჯობესებას?**

– ჩვენი ეკონომიკის დოლარიზაცია შემცირებული უნდა იყოს, პირველ რიგში, და ლარს რეალური დანიშნულება და ღირებულება უნდა გაუჩინოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა. დღეს ლარი მონაა დოლარისა და რეალურ ფუნქციას ეროვნული ფულისას ვერ ასრულებს. ამიტომ ესეც მთავრობისა და ეროვნული ბანკის ხელშია. მთავარია, რა სტრატეგიას აირჩევენ დოლარიზაციის შესამცირებლად ქვეყანაში და რას გააკეთებენ სამომავლოდ, რომ მოქალაქეცა და ბიზნესმენიც გარკვეული იყოს. თუკი დროული ქმედება არ იქნება, მაშინ ერთსაც შეიწირავს ეს პროცესი და მეორესაც, ვგულისხმობ მთავრობას და ეროვნულ ბანკს.

**შორენა გოგოლაძე**
**599 27 75 27**

## სახელმწიფოს მიდგომა პრინციპული უნდა იყოს

ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია მიიჩნევს, რომ წამების ფაქტების მიმართ სახელმწიფო მიდგომა ძალიან პრინციპული უნდა იყოს.

„ციხეებში, საპატიმროებსა და დაკავების ადგილებში, წამება ვნახეთ, რომ არ იყო ერთჯერადი, ეპიზოდური. ეს იყო სისტემურად. ათასობით ადამიანს შეეხო წამების, არაადამიანური მოპყრობის პოლიტიკა. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს იყო სისტემა, რომელსაც ქმნიდნენ სააკაშვილი, ადეიშვილი, ახალაია, მერაბიშვილი და სხვები. წამება არის ის კატეგორია, რომელიც აკრძალულია, მათ შორის ომის დროსაც. წამების აკრძალვას არ აქვს არანაირი გამონაკლისი. ეს არის ევროპული კონვენციის ძალიან მაღალი სტანდარტი. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ძალიან მკაცრი მიდგომა. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა გამოვლინდეს წამების ჩამდენი ყველა პირი და მის მიმართ დადგეს ადეკვატური, თანაზომადი სასჯელი. სახელმწიფოს მიდგომა უნდა იყოს ძალიან პრინციპული წამების ფაქტების მიმართ", – განაცხადა ბესელიამ პროკურატურის მიერ წამების ფაქტებზე ბაჩო ახალაიასა და მეგის ქარდავას პასუხისგებაში მიცემის გადაწყვეტილების შეფასებისას.

მისივე თქმით, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმაც გასცა დასკვნა, რომ წამების ყველა ფაქტი იქნას გამოძიებული.

„როდესაც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა დასკვნა მოამზადა, რომელიც პარლამენტის ბიურომ დაამტკიცა, ჩვენ პირდაპირ ჩავწერეთ, რომ სისტემურ დანაშაულთან გვქონდა საქმე, მივუთითეთ კონკრეტული ფაქტების შესახებ და მივეცით რეკომენდაცია, რომ წამების ყველა ფაქტი უნდა იყოს გამოძიებული. სწორად მიმაჩნია პროკურატურა რასაც აკეთებს, რომ წამების ყველა ფაქტი უნდა იყოს გამოვლენილი და როგორი თანამდებობის პირიც არ უნდა იყოს, მისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, თუ ბრალი მიუძღვის. ჩვენ არ უნდა ვიყოთ ლოიალური და კომპრომისული, როდესაც საქმე ეხება ადამიანების წამებას", – აღნიშნა ბესელიამ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბიუჯეტის ჩაგდებას შეუშფოთებია



თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ზაზა გაბუნია, საკრებულოს უმცირესობის წევრების შეშფოთებას საკრებულოს თავმჯდომარის სამივლინებო ხარჯებთან დაკავშირებით ბიუჯეტის პროექტის ჩაგდებას უკავშირებს.

„მე მესმის, რომ მათთვის პრობლემას წარმოადგენს და შეშფოთებულნი არიან იმით, რომ თბილისის საკრებულომ უკანასკნელ სხდომაზე უნდობლობა გამოუცხადა თბილისის მერიის მიერ შემოთავაზებულ 2014 წლის ბიუჯეტის პროექტს, რამდენადაც ამ პროექტში არის ძალიან მაღალი რისკები პოლიტიკური კორუფციის თუ თანხის პარტიული ამოცანებისთვის ფლანგვისა. ეს იყო მთავარი მოტივაცია და სწორედ ეს რჩება მთავარ მიზეზად იმისა, რომ თბილისის საკრებულოს უმრავლესობა მხარს არ უჭერს და არ იღებს თბილისის მერიის მიერ შემოთავაზებულ ბიუჯეტის პროექტს. შესაბამისად, ეს არგუმენტაცია და მოტივაცია რჩება ჩვენი მხრიდან ძალაში. ჩვენ მათ შევთავაზეთ, შეეცვალათ ის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები, სადაც ჩვენ გაგვაჩნია პრეტენზიები, თუმცა, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა", – განაცხადა ზაზა გაბუნიამ.

საკრებულოს უმცირესობის წევრმა, თემურ გრიგალაშვილმა საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე, ირაკლი შიხიაშვილი და უმრავლესობის ლიდერები თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში დაადანაშაულა. როგორც გრიგალაშვილმა განაცხადა, საკრებულომ პლენარულ სხდომაზე დედაქალაქის 2014 წლის ბიუჯეტი ჩააგდო და კოლეგებთან ერთად გრძელვადიან მივლინებაში გაემგზავრა, რომელიც ბიუჯეტს ათეულობით ათასი ლარი უჯდება. (ინტერპრესნიუსი)

## გიგი უგულავას ქვისლთან კავშირს უარყოფენ



კომპანია „ტიფლის დეველოპმენტში", რომელიც ვაკის პარკის მიმდებარედ სასტუმროს აშენებს, გიგი უგულავას ქვისლთან რაიმე სახით კავშირს უარყოფენ.

„ტიფლის დეველოპმენტი", რომელიც რესტორან „ბუდაპეშტის" ადგილას 22-მილიონიანი ინვესტიციით სასტუმროს მშენებლობას ახორციელებს, ბოლო დღეებში გავრცელებულ მცდარ ინფორმაციაზე შეშფოთებას გამოთქვამს. კომპანიის მესაკუთრეები უარვყოფთ გიგი უგულავას ქვისლის, გიორგი ღონიაშვილის რაიმე სახით კავშირს ქართულ-ყაზახურ ფირმასთან. მიგვაჩნია, რომ ბოლო დროს გაჟღერებული ცრუ ბრალდებები, პოლიტიკურ ელფერს იძენს და საფრთხეს უქმნის, როგორც მსხვილი ინვესტიციის განხორციელებას, ასევე მოქალაქეებისთვის დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას". – აცხადებენ კომპანიაში. (ჯი-ეიჩ-ენი)


რატი კვანტრიშვილი

# მარკეტებში ტყვიის, ვერცხლისწყლისა და დარიშხანის შემცველი მარილი აღმოაჩინეს

**„ალია“ ორი კვირის წინ ირანულ მარილზე წერდა, რასაც ჩვენს ტელეფონზე ამ პროდუქტის, სავარაუდოდ, შემომტანის მუქარის ზარი მოჰყვა. მეორე დღესვე ირანული მარილის ფაქტს უკვე ტელევიზიები გამოეხმაურნენ, სადაც მარილს მარილი მოეყარა და უკვე დადასტურებულად ითქვა, რომ საქართველოში ნამდვილად შემოდის საკვებად გამოუსადეგარი მარილი, რომელიც უნდა გაკონტროლდეს. რა ხდება დღეს ამ მხრივ, კონტროლდება კი სიტუაცია?**

**„ალიას“ უკრაინული მარილის შემომტანი ფირმის წარმომადგენელი, რატი კვანტრიშვილი დაუკავშირდა:**

– ამ შემთხვევაში მე ვარ მხარე, უკრაინული მარილის შემომტანი, რასაც ახლა გეტყვით, ჩაითვლება დაინტერესებული მხარის მოსაზრებად, მაგრამ, სიმართლე რომ გაირკვეს, ამისთვის საჭიროა მიუკერძოებელი მხარის აზრი და ესაა სურსათის უვნებლობის სახელმწიფო სამსახური, რომელსაც აქამდე ისედაც უკვე უნდა ეთქვა თავისი სიტყვა ამ პროდუქტთან დაკავშირებით. ახლა უკვე ვაცხადებთ, რომ ჩვენი ინტერესები ილახება. მე ვარ კომპანია „ესერჯი გრუპ“-ის მენეჯერი, რომელიც უკრაინული მარილის იმპორტიორია. ჩვენ რომ შემოგვაქვს მარილი, ამას ახლავს სრული სერტიფიკაცია და საერთაშორისო დასკვნები, რომ ეს არის ვარგისი და ორგანიზმისთვის საჭირო პროდუქტი.

**— ცნობილია, რომ სტატიის დაბეჭდვის შემდეგ პირველი არხი გამოეხმაურა ამ საკითხს და იქ თქვენც მიიღეთ მონაწილეობა.**

– არც ვიყავი საქმის კურსში და შემთხვევით ვნახე ეკრანზე, როცა ირანულ მარილზე დაიწყო გადაცემა, რადგან, მოგეხსენებათ, პირველადი მოხმარების საგანია. ირანული მარილის შემომტანებს ნამდვილად ძალიან იაფი უჯდებათ მისი შემოტანა, რადგანაც ესაა ტექნიკური მარილი და რამდენად აისახება ის ადამიანის ორგანიზმზე, არ ფიქრობენ. ვიმეორებ, იაფია და შემოაქვთ, აქ აფასოებენ და მერე ყიდიან უკრაინულ „პაჩკებზე“ მიმსგავსებული ყუთებით. ამას ჩვეულებრივი მომხმარებელი ნამდვილად ვერ ხვდება, მაგრამ მანამდე სულ მესმოდა ხალხში ლაპარაკი, რომ გაგვიფუჭდა პროდუქტი, დაგველპო პროდუქტიო და მერე ჩვენც დავიწყეთ ამაზე დაკვირვება. აიღეთ ირანული მარილი და გახსენით თუნდაც მდუღარეში, მარილი არ იხსნება: დაახლოებით 40% რჩება გაუხსნელი და კრისტალები ფსკერზეა, რასაც ორგანიზმი ვერ ინელებს. ეს არის მავნე ორგანიზმისთვის და როგორც გავარკვიე, ეს პროდუქტი შეიცავს დარიშხანს.

**— დარიშხანს? დარწმუნებული ხართ ამაში?**

– მე ხელთ მაქვს საერთაშორისო ექსპერტიზის დოკუმენტი, რაც იმ გადაცემაზე ვაჩვენე სურსათის უვნებლობის სამსახურს და ისინი გამოშტერდნენ. საერთოდ, მსოფლიოში მარილის ექსპერტიზა ტარდება ორ ქვეყანაში: გერმანიასა და უკრაინაში. სწორედ უკრაინას აქვს ჩატარებული ირანული მარილის ექსპერტიზა და მათ აქვთ დასკვნა, სადაც წერია ამის შესახებ.



СЧЕТ - ФАКТУРА № 461713

ОТГРУЖЕНО ______ 25.10.13

КОНТРАКТ N 57 ОТ 27.05.13

N ЕПМД. 700030001/2013/003457

| ГРУЗООТПРАВИТЕЛЬ | ПРОДАВЕЦ |
|---|---|
| ГП АРТЕМСОЛЬ, УКРАИНА, 84545, ДОНЕЦКАЯ ОБЛ. Г.АРТЕМОВСК, Г.СОЛЕДАР, УЛ.ЧКАЛОВА 1-А<br>Рудник 1,3 | ГП АРТЕМСОЛЬ, УКРАИНА, 84545, ДОНЕЦКАЯ ОБЛ. Г.АРТЕМОВСК, Г.СОЛЕДАР, УЛ.ЧКАЛОВА 1-А<br>ПАО КБ "АКТИВ-БАНК" г. Киев<br>Р/СЧ. 26002302030095*840 МФО 300852 |

| ГРУЗОПОЛУЧАТЕЛЬ | ПОКУПАТЕЛЬ |
|---|---|
| ООО "SLG SALT LINE GEORGIA"<br>0179, Республика Грузия, г.Тбилиси,<br>ул.Кекелидзе, 62/64 | ООО "SLG SALT LINE GEORGIA"<br>Тбилиси Глдани-Надзаладевский р-н<br>Мухиани, 4"Б" мкрн., корп.23, кв.32<br>Р/СЧ GE37VT7000011799993602 |

Условия поставки: FCA - станция Соль - Ильичевск-Паром(эксп.на Батуми). НДС ПО СТАВКЕ 0%
Валюта расчетов: Дол.США
Через ЖД станцию: 402207 ИЛЬИЧЕВСК-ПАРОМ(ЭКСП.НА БАТУМИ)/ 579708 БАТУМИ(ПАРОМ, ЭКСП.)

| Наименование | Ед.Из. | Кол-во | Цена | Сумма |
|---|---|---|---|---|
| Соль поваренная пищевая йодированная ДСТУ 3583-97(ГОСТ 13830-97), ГОСТ Р 51574-2000 каменная, сорт 1, помол 1, упакованная в пачки из картона массой 1,0кг с групповой упаковкой в 2 слоя бумаги массой по 20кг | т | 66,200 | 77,00 | 5097,40 |
| ИТОГО: | | | | 5097,40 |

Сумма прописью: ПЯТЬ ТЫСЯЧ ДЕВЯНОСТО СЕМЬ Дол США 40 цент

Дополнительные сведения:
N ВАГОНА: 24435927
В цену продукции входят стоимость тары, упаковки
Продукция произведена в Украине
Страна происхождения: Украина

ПРОДАВЕЦ Ляшенко Л.А.

**— და ეს არის საქართველოში შემოტანილი ირანული მარილის დასკვნა?**

– დიახ, დიახ. მე ამის შემდეგ დავინტერესდი, პურის ქარხნები მოვინახულე და მათ რომ გაიგეს ეს ამბავი, ყველამ დაანება თავი ირანულ მარილს.

**— თქვენ საუბარი დაიწყეთ იქიდან, რომ მხარე ხართ და ახლაც რომ მელაპარაკებით, აქ თქვენი კომპანიის ინტერესიდან არ გამოდიხართ?**

– რეკლამა რომ არ გამომივიდეს ჩემი კომპანიის, შეუძლიათ, ნებისმიერ ქვეყანაში, აქ ჩვენთან, სამხარაულშიც გადაამოწმონ ჩვენი პროდუქტი, ყოველ პარტიაზე, ყოველ მანქანასა და ვაგონზე ჩვენ პასუხისმგებლები ვართ, რადგანაც ამას მოჰყვება თავისი

*გაგრძელება მეთორმეტე გვერდზე*

## საქართველოს დროშით მცურავი სეინერი დააჯარიმეს



შსს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის ოპერაციების მართვის მთავარი სამმართველოს I სამმართველოს (ფოთი) კანონაღსრულებისა და საზღვაო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა, სუფსის საზღვაო რაიონში, სასაზღვრო რეჟიმის (სარეგისტრაციო ნომრისა და სახელწოდების თვალსაჩინო ადგილზე აღნიშვნის გარეშე ზღვაში გასვლა) დარღვევის ფაქტზე საქართველოს დროშით მცურავი სეინერი „KARDESLER BALIKCILIK-B“ დააჯარიმეს.

სეინერის კაპიტანს, თურქეთის მოქალაქეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114 (პრიმა ორი) მუხლის VI ნაწილის შესაბამისად დაეკისრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით. (ჯი-ეიჩ-ენი)

## მერაბიშვილის კადრები სუბარის მონაწილეობით წაიშალა?

სათვალთვალო ვიდეოკამერებით გადაღებული კადრები, რომელიც ყოფილი პრემიერ-მინისტრის საკნიდან გამოყვანას ასახავდა, განადგურებულია. ამის შესახებ, „ნაცმოძრაობის“ დეპუტატმა დავით საყვარელიძემ განაცხადა.

„კადრები, რომელიც გამოძიების მსვლელობის დროს აუცილებელი დოკუმენტი გახდებოდა, რათა დამტკიცებულიყო ვანო მერაბიშვილის ციხიდან გამოყვანისა და ზეწოლის ფაქტი, განადგურებულია. განადგურებაში მონაწილეობდა სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი“, – განაცხადა საყვარელიძემ (ჯი-ეიჩ-ენი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თუ მაპ-ი არ მოგვცეს, საფრთხეები გამოიკვეთებაო




საქართველოს კონკრეტული შედეგის – მაპ-ის მოლოდინი აქვს და იმ შემთხვევაში, თუ ეს შედეგი არ დაიდო, მაშინ შესაძლოა, გარკვეული საფრთხეები ევროინტეგრაციის კუთხითაც გამოიკვეთოს, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ტალინში, ესტონელ კოლეგა ენე ერგმასთან შეხვედრის შემდეგ.

უსუფაშვილის განცხადებით, „საქართველო ბუქარესტის სამიტის დანაპირებს არ ივიწყებს და მიუხედავად იმისა, რომ დაკისრებულ მოვალეობებს ქვეყანა პირნათლად ასრულებს, კონკრეტული შედეგი ამ დრომდე არ ჩანს... ესტონელი მეგობრები დარწმუნდნენ, რომ საქართველოს შესწევს უნარი, დემოკრატიული არჩევნების გზით შეცვალოს ხელისუფლება და ეს არის ევროპული სტანდარტების მნიშვნელოვანი დემონსტრირება. ჩვენ შევთანხმდით იმაზე, რომ საქართველოს ესტონეთის მხრიდან ექნება მხარდაჭერა საგარეო ურთიერთობებში. უახლოეს თვეებში ჩვენ ხელი უნდა მოვაწეროთ ასოცირების ხელშეკრულებას და არავის უნდა მივცეთ საშუალება, ეს პროცესი შეაფერხოს – არც გარე და არც შიდა ძალებს. ასევე ნატოს სამიტზე გვინდა მნიშვნელოვან წინსვლას მივაღწიოთ და ამით განვამტკიცოთ ქვეყნის უსაფრთხოება“, – აღნიშნა უსუფაშვილმა. (ჯი-ეიჩ-ენი)

## „მაკდონალდსი“ ჩემი ნებართვის გარეშე ვერ აშენდებაო




საქართველოში „მაკდონალდსის“ წარმომადგენელი თემურ ჭყონია აცხადებს, რომ აფხაზეთში „მაკდონალდსის“ შესვლის სურვილის შესახებ განცხადება საიტზე აღარ იდება. ჭყონიას განცხადებით, ის უკვე ესაუბრა ამერიკაში კომპანიის იურისტს. „მე ახლა ამერიკაში დავრეკე, ველაპარაკე ჩვენს იურისტს. შეწუხდნენ ძალიან, რომ არასწორად მოხდა ამის ინტერპრეტაცია და თქვეს, რომ გადასცემენ საიტის მენეჯერს და ამოღებული იქნება ეს ყველაფერი საიტიდან“, – აცხადებს თემურ ჭყონია.

მისივე თქმით, „მე მაქვს კომპანიასთან ყველაზე უნიკალური და სტაბილური განვითარების ხელშეკრულება. ჩემი ხელშეკრულება არის განვითარების ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე „მაკდონალდსის“ განვითარება ჩემს გარეშე არ მოხდება. რომ არსებობდეს რუკა, სადაც აფხაზეთი დამოუკიდებელიც რომ გახდეს, იქ მაინც მე უნდა ავაშენო „მაკდონალდსი“, ჩემი ნებართვით უნდა აშენდეს“, – განაცხადა ბიზნესმენმა. (ინტერპრესნიუსი)

## ნარმანიას შავ პიარს უგორებენ?

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის დავით ნარმანიას განცხადებით, გარკვეული ორგანიზაციები მიუსაფართა თავშესაფართან დაკავშირებით ჭიანჭველის სპილოდ გადაქცევას ცდილობენ.

„პრეტენზიებთან დაკავშირებით ძალიან მკაცრად მინდა ვთქვა, რომ ის, ვინც მოტივირებულია და ის, ვინც აკეთებს იმას, რომ ელემენტარული ხარვეზი წარმოაჩინოს ყველაზე დიდ პრობლემად, არასაქვეყნო საქმეებს აკეთებს. ჩვენ მზად ვართ, რომ ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც დაინტერესებულია, ადგილზე ვანახოთ, რას ვაკეთებთ. უბრალოდ, გარკვეული ორგანიზაციები 15 წუთით მოდიან, ნახულობენ ადამიანებს, რომლებიც პრობლემატურები არიან და შესაძლოა, ისინი დეზინფორმაციებს იღებენ და შემდეგ, ჭიანჭველას აქცევენ სპილოდ. ჩვენ ყოველკვირეულად ვაუმჯობესებთ ამ ადამიანების მდგომარეობას. არიან ორგანიზაციები, რომლებიც სხვადასხვა ძალის მხრიდან სპეციალურად არიან მოგზავნილი, რომ ეს ყველაფერი წარმოაჩინონ სხვანაირად. მოვუწოდებ, რომ მოვიდნენ ყოველდღიურად, 24 საათით, ჩვენთან ერთად დააკვირდნენ ყველაფერს და თავად დარწმუნდნენ, რა კეთდება აქ“, – განაცხადა ნარმანიამ.

ინფრასტრუქტურის მინისტრთან ერთად, მოსკოვის პროსპექტზე მდებარე თავშესაფარი სახალხო დამცველმა, უჩა ნანუაშვილმა დაათვალიერა.

„მე დღეიდან თავშესაფრის მონიტორინგს ვიწყებ. გვინდა შევამოწმოთ აბსოლუტურად ყველაფერი; საუბარია როგორც კვებაზე, ასევე იმაზე, რამდენად არის უზრუნველყოფილი გათბობა, სანიტარიული და ჰიგიენური წესები დაცული. ერთი შეხედვით შეიძლება ითქვას, რომ კეთდება მაქსიმუმი, პირობები არის საკმაოდ კარგი შექმნილი, მაგრამ ეს არის მაინც დროებითი. ჩვენი რეკომენდაცია იქნება, რომ ქვეყანაში გაცილებით უკეთესი დროებითი თავშესაფარი არსებობდეს, სადაც მოსახლეობას საშუალება ექნება, მიიღოს ყველა ის სერვისი, რომელიც არის გათვალისწინებული. დროებითის კვალობაზე ეს თავშესაფარი არის დამაკმაყოფილებელი“, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)


მადონა კოიძე

დღეა, ისევ შემოიტანეს მარილი. ხალხი უკვე გაფრთხილდა, მაგრამ რახან ისევ შემოვიდა ირანული მარილი, ეტყობა, უვნებლობამ სისუსტე გამოიჩინა, ან ისევ ძველი ლობი ადევს და ნახეთ, რა ხდება... მოკლედ, სამი დღის წინ კახოვკაზე ვიყავი და უცებ რას ვხედავ? გადავაწყდი დამფასოებელს, რომელიც სარდაფშია განთავსებული და ამბობს, რომ ნაყიდი აქვს უკრაინული მარილი და ყრის „პაჩკებში“. ვნახე უზარმაზარი ქვაბები, სადაც ყრია ეს მარილი და ხალხს ეუბნებიან: აი, ნახეთ, ჩვენ უკრაინულ მარილს ვყრითო. მართალია, „პაჩკა“ ირანულია, მაგრამ სინამდვილეში მარილია უკრაინულიო. ამ დროს ესეც დარღვევაა, უკრაინა არ მისცემს უფლებას, მისი პროდუქტი რომ სხვა ქვეყნის პარკში ჩაი-

**თუ გაარკვიეთ?**

– ეს ჩვენი გასარკვევი არაა, ამას სხვა სამსახური უნდა. ისე, დიდ ფულზეა ლაპარაკი და მუქარა გასაგებია.

**კახოვკიდან მოტანილი მარილის ყუთს ზედ აწერია ტელეფონის ნომრები, რაზეც ვრეკავ და არავინ მპასუხობს. ამის შემდეგ უკვე მივდივარ დასახელებულ ქუჩაზე და სარდაფს ვპოულობ. მას კლიტე ადევს. იქვე მდგარმა მოვაჭრეებმა მითხრეს, ორი დღეა, რაც სარდაფი დაიკეტაო. მარილის მყიდველის სახით ვდგავარ და ველოდები, ეგება ვინმე გამოჩნდეს. კაცი მოდის მანქანით და მისგან ვიგებ, რომ ეს ფირმა ადრე „ნახალოვკაში“ იყო და ახლა აქ გადმოვიდა, მან სხვა არაფერი იცის, ან არ ამბობს.**

**ადგილზე სხვას ვერაფერს**

ლის შერევა, რათა მოხდეს მათი გაზავება და ხელოვნურად მოხდეს ტყვიის შემცველობის დაწევა, მაგრამ ესეც დაუშვებელია, ვინაიდან ესეც მომხმარებლის მოტყუებაა.

გვაქვს ინფორმაცია, რომ უკანასკნელ პერიოდში ისევ განახლდა ირანიდან პროდუქტის შემოტანა და ჩვენ ვეცდებით, გავაკონტროლოთ სამომხმარებლო ბაზარი და დავიცვათ მომხმარებელი ამ უბედურებისგან. რაც შეეხება თქვენს პირველ პუბლიკაციას, ინფორმაციაზე რეაგირება მოახდინა სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, მაგრამ კანონში არსებული ხარვეზების გამო, ვინაიდან ბიზნესოპერატორად არ იყო დარეგისტრირებული ნახსენები კომპანია, მას მხოლოდ 300-ლარიანი დაჯარიმება გამოეწერა. მაგრამ ნიმუშების

# მარკეტებში ტყვიის, ვერცხლისწყლისა და დარიშხანის შემცველი მარილი აღმოაჩინეს

სერტიფიკატი, საბაჟოზე ამ პროდუქტს უტარდება სერტიფიცირება. ამისთვის მარილი ჩერდება ერთი კვირის მანძილზე, თუ უვარგისია, იმას არავინ შემოგვატანინებს.

**— და თუ თქვენი პროდუქტი გადის ასეთ ძირეულ შემოწმებას, მაშ ირანული რა, არ მოწმდება?**

– არანაირად და ეს უვნებლობის სამსახურმაც დამიდასტურა. ირანულ მარილზე დასკვნა არ არსებობს.

**— როგორ ფიქრობთ, რა ხდება, რატომ არ მოწმდება ირანული მარილი?**

– არ ვიცი. როცა გადაცემა დამთავრდა, მადონა კოიძე მოვიდა ჩემთან, მას თან ჰქონდა რამდენიმე სინჯი და მანაც დაადასტურა, რომ უკრაინული მარილი ვარგისია საკვებად. ჩვენ ვაცხადებთ, რომ უკრაინული მარილის მიმსგავსება და ფალსიფიკაცია უკვე ყველამ დაიწყო, ვისაც არ ეზარება. აღარ არსებობს ხარისხის ინსტიტუტები, რომელიც გააუქმა სააკაშვილმა და აღარავინ არაფერს აკონტროლებს. აქვე უნდა ვთქვა, რომ ირანული არამარტო მარილი, სხვა არანაირი პროდუქცია არ გადის ევროპაში და ჩვენ თუ პრეტენზია გვაქვს ევროკავშირში განევრიანების, რა პროდუქტს ვიღებთ, არ უნდა ვიცოდეთ? ირანული, რომელიც დარიშხანსა და ვერცხლისწყალს შეიცავს, არ უნდა შემოწმდეს? გადაცემაზე მთელი უვნებლობის სამსახური იყო წარმოდგენილი და გადასულები იყვნენ თავის მართლების რეჟიმზე. იმ ჩემს მიწოდებულ დოკუმენტს როგორც კი დახედეს, იმწამსვე იცნეს საერთაშორისო დამღა და თქვეს, ამას მივხედავთ, ირანში გავგზავნით ხალხს და ადგილზე მოხდება ამის შემოწმებაო. ასევე, განაცხადეს, რომ საქართველოში მოხდებოდა ამ პროდუქტის ამოღება.

ახლა გეტყვით, რაც ამის შემდეგ მოხდა: თქვენი სტატიისა და ამ გადაცემის შემდეგ 10 დღის მანძილზე საზღვარზე შეჩერდა ირანული მარილის შემოტანა და, როგორც გავიგე, რამდენიმე ყაროს, იმას თავის „შტამპოვკა“ და შტრიხკოდი აქვს და ბევრი რამითაა დაცული.

**— და ამის გამკეთებლებს აქვთ ამის უფლება?**

– არავის, არანაირი, რომ უკრაინული მარილი დააფასოონ. მე რომ ვიკითხე, ვისგან ჰქონდათ მათ ამის უფლება, უკრაინამ უფლება დაგვრთოო. ამ დროს ჩვენ ოფიციალური დილერები ვართ საქართველოში და მსგავსი არაფერი ხდება, არც მოხდება. გაოცებულია უკრაინა, გვითხრეს, ამის ვიდეომასალა გადმოგვიგზავნეთო. იქ მარილის წარმოება სახელმწიფოს დაქვემდებარებაშია და არა კერძო კომპანიის, სახელმწიფო კი თავის პროდუქტს ძალიან უფრთხილდება. კახოვკაზე დაფიქსირებული მაქვს, როგორ დგანან ქალები და ირანულ პარკებში უკრაინულ მარილს როგორ ყრიან. პარკს მწარმოებელი არ აწერია, არც ირანი და არც უკრაინა და რით უნდა გაარკვიოს ადამიანმა?

**— რომელ კომპანიებს შემოაქვთ ირანული მარილი, ეს**




**ვარკვევ და უკვე საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციის ხელმძღვანელს მადონა კოიძეს ვუკავშირდები:**

– ნოემბრის თვეში შპს „ეკო ჯორჯიას“ მიერ შემოტანილია 48 ტონა ირანული მარილი და ლაბორატორიული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ მასში არის ტყვიის ჭარბი რაოდენობა. მოგეხსენებათ, ტყვია არის ტოქსიკური ელემენტი და მარტივად ორგანიზმიდან არ გამოიდევნება, ის ილექება ძირითადად, ნერვიული სისტემის უჯრედებში, ასევე ქსოვილში და მისი სამიზნე პირდაპირ ნერვული სისტემაა. სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ უკვე დაწყებულია ქსელიდან აქტიურად ამ პროდუქტის ამოღება. გარდა ამისა, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ხდება უკრაინული მარილისა და ირანული მარი-

აღების შემდეგ, როცა მარილში ჭარბი რაოდენობის ტყვია დადგინდა, უკვე აქტიურად ხდება სააგენტოს მიერ პროდუქტის ქსელიდან ამოღება და განადგურება.

**თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნდობის ჯგუფი“ ახალი წესით დაკომპლექტდება



საგაზაფხულო სესიის დასაწყისში პარლამენტი „ნდობის ჯგუფს“ დააკომპლექტებს. ჯგუფის ფორმირება კი ახალი წესით მოხდება. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ირაკლი სესიაშვილის განცხადებით:

„ნდობის ჯგუფი“ არის ორგანო, რომელიც ზედამხედველობას უწევს საიდუმლო შესყიდვებს. შესაბამისად, ნდობის დელეგირება ყველა საპარლამენტო ჯგუფის მიერ ხდება, რათა პარლამენტის სრულ დეპუტაციას საკუთარი წარმომადგენლის, მის მიერ ნდობით აღჭურვილი პირის მეშვეობით საშუალება ჰქონდეს, თვალყური ადევნოს საიდუმლო შესყიდვებს. ეს არის დემოკრატიული პრინციპი. ნდობით წარმოდგენილი პირი უნდა ჰყავდეს ყველა ჯგუფს და უმრავლესობას არ უნდა შეეძლოს იმის გადაწყვეტა, უმცირესობის რომელი კანდიდატი მიიღოს და რომელი – არა“, – აცხადებს ირაკლი სესიაშვილი.

პარლამენტში ინიცირებული პროექტის გათვალისწინებით, რომელიც პირველი მოსმენით მიღებულია, „ნდობის ჯგუფი“ პარლამენტის მიერ დასამტკიცებელი სუბიექტი აღარ იქნება და აღნიშნულ ჯგუფში წარდგენილ კანდიდატებზე პერსონალური კენჭისყრები აღარ ჩატარდება. პროექტის თანახმად, „ნდობის ჯგუფის“ შემადგენლობას პარლამენტი ცნობად მიიღებს, რაც საოქმო ჩანაწერით გაფორმდება.

„ნდობის ჯგუფის“ ფორმირების წესის შეცვლის გადაწყვეტილება უმცირესობის წევრის გივი თარგამაძის ფაქტორს უკავშირდება. უმცირესობამ საკუთარი კვოტით პარლამენტს გივი თარგამაძის კანდიდატურა შესთავაზა. მმართველ გუნდს არ სურს „ნდობის ჯგუფში“ მხარი თარგამაძეს დაუჭიროს და არც ისეთ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას იღებს, რომ „ნდობის ჯგუფი“ უმცირესობის წარმომადგენლის გარეშე შეიქმნას. თავის მხრივ, უმცირესობაც პრინციპულ პოზიციას იჭერს და უარს აცხადებს გივი თარგამაძის კანდიდატურის მათი რიგებიდან სხვა დეპუტატით შეცვლაზე.

სესიაშვილის მიერ მომზადებული კანონპროექტი პრაქტიკაში იმას ნიშნავს, რომ „ნდობის ჯგუფის“ წევრები პარლამენტის დასამტკიცებელი აღარ იქნება და შესაბამისად, უმცირესობის მიერ თარგამაძის წარდგენაც ცნობად იქნება მიღებული. (ინტერპრესნიუსი)

## საქართველო და „ნასა“ მზეს ერთობლივად შეისწავლიან



ამერიკის კოსმოსური სააგენტო „ნასას“ სამეცნიერო კომიტეტი და საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია ერთობლივი პროექტის რეალიზაციას იწყებენ. პროექტი „ვარსიტი“ ითვალისწინებს მზეზე მიმდინარე პროცესებისა და მისი დედამიწაზე ზემოქმედების პროგნოზირებას.

პროექტის ხანგრძლივობა შეადგენს ხუთ წელს და მასში მონაწილეობას მსოფლიოს 50 ცენტრი მიიღებს.

მზეზე დაკვირვება თანამგზავრების მეშვეობით მოხდება, რაც მეცნიერებს გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას მისცემს. პროექტს „ნასას“ წარმომადგენლები უხელმძღვანელებენ. (ჯი-ეიჩ-ენი)



დღის ალიაქოთი

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დავით ნარმანიას წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაწყებული აქვს. „ქართული ოცნების" მერობის კანდიდატი (ჯერ არაოფიციალური, მაგრამ მაინც კანდიდატი) 13 იანვარს მიუსაფართათვის მოწყობილ თავშესაფარში იმყოფებოდა და სწორედ იქ გაქვთ დაკეტილი, ეგ არის, ქალაქგარეთაც არის და რაც მთავარია, სახალხო დამცველის წარმომადგენლებმაც გზა და კვალი კარგად იციან. მაინც ციხედ იყო მთელი საქართველო ქცეული და არა მგონია, ვინმეს გაუკვირდეს.

ციხე ვახსენეთ და ციხის სინონიმად ქცეულ ბაჩანა ახალაიაზეც უნდა ვთქვათ. თავდაცვის, შინაგან საქმეთა მინისტრად და კიდევ არაერთ თანამდებობაზე ნამუშევარ ახალაიას ახალი ბრალი წაუყენეს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ბაჩოსთან ახალი საბრალდებო დასკვნა ბალანდასთან ერთად შეაქვთ, ბალანდა დღეში

ახლა მეტყვით, დონაძე რა შუაშიაო და მე თუ მკითხავთ, თავშია. „დონ გურამი" ძალიან ბევრ საქმეში იყო გარეული, თუმცა უკვე დაცინვაზე გადავიდა, დამიმტკიცეთ, რასაც მედავებით, ან საერთოდ გაჩუმდითო. დონაძე რომ გეტყვის, გაჩუმდიო, უნიათოზე ცოტა მეტიც ხარ, ალბათ. ისე, ახალაიამ თქვა, ციხეში ჯდომაც ჩემი ბრძოლის ხერხიაო და არ უნდა, თავის ძმასაც გაუზიაროს გამოცდილება, ეს ხერხი დათამაც გამოიყენოს და ხეხონ ცოტა ხნით... ციხე.

ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა კი, როგორც იქნა, საზოგადოებაში დამუტრუკი ბავშვი როდიდან გახდაო? ნამთავარპროკურორალმა კი აღნიშნა, 24 წლის ვიყავიო და დაგვეთანხმებით, რომ ერთი წელი ცოტა არ არის. აბა, შარშან ამ დროს ვინ იყო საქართველოს პრეზიდენტი? ხედავთ, რამხელა სხვაობაა და...



გიორგი მარგველაშვილს დუშეთის პრეზიდენტი დაარქვეს, რადგან ბიძინა ივანიშვილის მითითებით ქართველი ხალხის რჩეული ძირითად დროს სწორედ დ უ შ ე თ შ ი ატარებს. იმას კი არ უნდა იცოდეს მსოფლიომ?! თუ მერე, როცა სააკაშვილი რომელიმე ამერიკული შტატის გუბერნატორი გახდება (ამბობენ, გულით და სულით უნდაო), იქაურებს აქაურ დღეში რომ ჩააგდებს და მერე რომ იტყვიან, ეს ყოფილა ლამას ნაწინასწარმეტყველები უცხოპლანეტელიო, მერე ავტეხთ ერთ ამბავს, ჩვენ თქვენამდე ვიყავით მაგ დღეშიო... ზუსტად ისე, როგორც ახლა ვუმტკიცებთ ევროპელებს, თქვენ რომ ტყეში დარ-

# უცხოპლანეტელები ქართულ პოლიტიკაში



გადააწყდა ერთ-ერთ ადამიანს, რომელიც რაღაცას ჯიუტად უმტკიცებდა. ნარმანიამ ჯერ უსმინა, მერე ცხვირი მიუტანა ახლოს და აღმოხდა: „მთვრალია ეს"! მოქალაქემ დაუდასტურა, მთვრალი ვარ, აბა, ფხიზლად როგორ ვიყო აქო და... ნარმანიაც აქო და ადიდა! დიდი ალბათობით მომავალმა მერმა ბოლოს ძალა მოიკრიბა და საზეიმოდ გამოაცხადა, ქალაქგარეთ ახალი თავშესაფარი უნდა ავაშენოთ, ოღონდ უფრო მყარი, უფრო დიდი, რადგან ეს საკმარისი არ არის და სახალხო დამცველის წარმომადგენლებსაც შეუძლიათ ნებისმიერ დროს მოვიდნენ და შეამოწმონო. ბატონო დავით, უფრო დიდი და უფრო მყარი რუსთავში რომ მე-16 ზონა სამჯერ არის, თუმცა ახალაია აცხადებს, არც ბალანდას ვჭამ და არც ამ ბრალდებებსო. რეალურად, ახალაიას მიერ ჩადენილი საქმეების მოძიება მართლა რომ დაიწყოს, დღეში სამჯერ კი არა, საათში ერთხელ უნდა აწვდიდნენ (თუნდაც ბალანდის გარეშე), მაგრამ ცოტა არ იყოს, მოიკოჭლებს დღევანდელი პროკურატურა და ამას ხან გენერალური პროკურორის არყოფნას თუ არარსებობას აბრალებენ, ხანაც იმას, რომ ახალი ხელისუფლება უნიათოა. მე ეს უკანასკნელი უფრო მგონია და თუ ასე გააგრძელეს, ახალაია ამათ ბოდიშსაც მოახდევინებთ, ციხიდანაც გამოვა და მერე ისე დასცინებთ, გურამ დონაძე რომ იცინოდა გუშინ.

გროვილ კითხვებს უპასუხა (ლაპარაკი სცოდნია). შეიძლება თამამად ითქვას, რომ ოთარ ფარცხალაძემ გიგი უგულავა ამხილა. თუ გახსოვთ, გიგილომ ბოლო ხმაზე დასჭექა, ფარცხალაძე ამბობს, ბავშვი ვიყავი, როცა გერმანიაში პოლიციასთან ინციდენტი შემემთხვა და 25 წლის



არ ვამბობ, ყოფილი პრეზიდენტივით დილა ჩვენთან ერთად დაიწყოს და ღამე ჩვენთან ერთად დაიძინოს-მეთქი, მაგრამ კვირაში ერთხელ მაინც რომ დაგვენახოს და გვითხრას, რა უჭირს, რა ულხინს, არ იქნება ურიგო. თორემ რა გამოდის, ვიცით, რომ არჩეული პრეზიდენტი გვყავს, მაგრამ ვერ ვხედავთ. რაღაც, ოცნებასავითაა, რომ გინდა და არ არის...

„ბოლოს და ბოლოს, გავიცნობთ სხვა გალაქტიკის წარმომადგენლებს. ისინიც ადამიანები არიან. იქნებ გარეგნულად ცოტა განსხვავებული, თუმცა მაინც ადამიანები. უნდა გვესმოდეს, რომ ისინიც ჩვენსავით აღიქვამენ საგნებს. ამით ხაზი გაუსვა, რომ ფიზიკური განსხვავების მიუხედავად, მათაც ჩვენნაირი შეგრძნებები აქვთ, აქვე გაფრთხილებაც იყო, რომ მიუხედავად განსხვავებული გარეგნობისა, მათთან ურთიერთობაში სითბო და სიკეთე არ უნდა დავიშუროთ. ბევრისთვის შეხვედრის მომენტი მძიმე იქნება, ამ გონიერი არსებების გარეგნობის გამო", – გაგიკვირდებათ და, ეს განცხადება ვილაცამ კი არა, ტიბეტელ ბერთა წინამძღოლმა, დალაი ლამამ გააკეთა. როგორ არ უნდა გაბრაზდეს კაცი (ქალიც)! თავად განსაჯეთ, დალაი ლამა, რომელსაც მსოფლიოში ყველა იცნობს, აცხადებს, რომ სხვა გალაქტიკის წარმომადგენლები უნდა გავიცნოთ და ამ დროს ჩვენ ეს სხვა გალაქტიკის წარმომადგენლები მთელი 9 წლის განმავლობაში გვმართავდნენ. აბა, დაუკვირდით, მათაც ადამიანები ერქვათ, ჩვენსავით აღიქვამდნენ საგნებს და ბევრისთვის მათთან შეხვედრის მომენტი მძიმე იყო მათი გარეგნობის (და არამარტო) გამო.

ახლა არ დამიწყოთ, ვის გულისხმობო, თორემ თეა თუთბერიძით რომ დავიწყებ, გურამ დონაძით გავაგრძელებ, ძმები კუბლაშვილებით დავაგრძელებ და ჩიორათი მოვრჩები. ჰოდა, რასაც დალაი ლამა წინასწარმეტყველებს, ჩვენ უკვე გავლილი გვაქვს და ეს ბოდით, მაშინ ჩვენთან ოქროს ხანა იდგაო, მაგრამ გვიჯერებენ? ისე არ დაგვიჯერებენ მიშას ამბავსაც, გამოკეტავენ მერე რომელიმე ლაბორატორიაში, მის ნახვაში ფულს გადაგვახდევინებენ და რაც მთავარია, ამ ფულით მას საკვებს შეუძენენ. მე თქვენ გეტყვით, არ არის სააკაშვილი ჩვენი ფულის ჭამას მიჩვეული თუ მოერიდება?!

შალვა ნათელაშვილმა კი ხმამაღლა და გარკვევით თქვა, ჩემი ბავშვობის ოცნება ამაზონის ჯუნგლებში მოგზაურობა და ზოოპარკებისთვის ეგზოტიკური ცხოველებისა და ფრინველების შეგროვება იყო, თუმცა ამის ნაცვლად პოლიტიკურ ზოოპარკში მოვხვდიო. თუ ლეიბორისტთა ლიდერის სიტყვებს გავიხსენებთ, ჩვენს ზოოპარკში ვირი (თან დაღლილი) ვინ არის, ვიცით, პინგვინიც ვიცით, ზებრაც ვიცით და იმის გათვალისწინებით, რომ ბატონ შალვას გამოსვლებისას თითქოს სულ ცეცხლი უკიდია, თავად ცივეტა ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ქართველმა ბავშვებმა ცეცხლი ჩვენს ზოოპარკში სწორედ ცივეტას წაუკიდეს და სხვა ცეცხლწაკიდებული ცხოველი არ მახსენდება.

»» ლევან ღვინიაშვილი

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ჟორდანიასთვის მთავარი თეატრის მომავალი ყოფილა



თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი ჟორდანია თეატრის დასის წევრების გაფიცვას ეხმაურება:

„ჩემთვის ყველაზე მთავარი არის ის, რომ მე არ ვუპასუხო იმ ბრალდებებს და იმ პიროვნულ შეურაცხყოფას, რასაც ორი დღის განმავლობაში მაყენებდნენ, ჩემთვის მთავარია თეატრი და თეატრის მომავალი. ჩემი აზრით, თეატრის მართვისთვის ყველაზე უპრიანი იქნება ყველაზე დემოკრატიული მეთოდით მართვა, რაც მდგომარეობს სამხატვრო საბჭოში", – აცხადებს ჟორდანია.

მისივე თქმით, ნებისმიერი სამხატვრო შემოქმედებითი წინადადების, რომელიც შეიძლება გაუჩნდეს სამხატვრო ხელმძღვანელს, მთავარ დირიჟორს, ან ოპერის თანამშრომელს, განხილვა უნდა მოხდეს სამხატვრო საბჭოზე და სამხატვრო საბჭომ თავისი დასკვნა უნდა დადოს ამასთან დაკავშირებით.

„ჩემ მიმართ წაყენებული არც ერთი ბრალდება სინამდვილეს არ შეეფერება. რაც შეეხება არაკომპეტენტურობას, რა მორალურ მხარეზე შეიძლება საუბარი, როდესაც ამ ხალხში ყველაზე ღვაწლმოსილი და სახელოვანი ტენორი, რომელიც დღეს ჩემს არაკომპეტენტურობაზე ლაპარაკობს, სულ რაღაც რამდენიმე კვირის წინ თავისი სოლო კონცერტის სადირიჟოროდ მინსკში მეპატიჟებოდა", – აცხადებს ჟორდანია.

ცნობისთვის, ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრის შემოქმედებითი დასის უმრავლესობა 12 იანვარს აცხადებდა, რომ სამხატვრო ხელმძღვანელის, გიორგი ჟორდანიას თანამდებობიდან გადადგომამდე რეპეტიციებში მონაწილეობას არ აპირებდა. (ინტერპრესნიუსი)

## მიუსაფარი ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელს დაუპირისპირდა



მიუსაფართა თავშესაფარში მყოფი ზვიად კვირტია ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, გია კაკაჩიას დაუპირისპირდა. როგორც ზვიად კვირტიამ მოსკოვის გამზირზე რეგიონული განვითარების მინისტრ დავით ნარმანიასთან საუბრის დროს განაცხადა, კაკაჩიამ მას და თავშესაფარში მყოფებს შეურაცხყოფა მიაყენა.

„მოვიდა ეს ადამიანი. როდესაც ვსაუბრობდით, მე ჩემი უკმაყოფილება დავაფიქსირე. მან კი გვითხრა, თუ არ მოგწონთ აქაურობა, ქუჩაში ცხოვრობდით და ქუჩაში წადითო. ეს არის ჩვენთვის შეურაცხყოფა და ეს თქვენ აუცილებლად უნდა გცოდნოდათ", – განაცხადა კვირტიამ.

მანვე ეს ინფორმაცია სახალხო დამცველს მიაწოდა.

რეგიონული განვითარების მინისტრის, დავით ნარმანიას თქმით, მათი წარმომადგენლები ადგილზე იმყოფებიან და მსგავსი რამ არ მოხდებოდა.

რაც შეეხება კაკაჩიას პოზიციას, განაცხადა ეს ბრალდებები სასაცილოა: „მე დღეს მოვედი აქ. ყველა კარავი შევამოწმე, ერთის გარდა, ყველამ დამაკმაყოფილებელი პასუხი გამცა. იმ ერთ კარავში იმყოფებოდა ორი პირი, რომლებმაც მითხრეს, რომ აქ უფრო გაუსაძლისი პირობებია, ვიდრე ქუჩაში. მე მათ ვუთხარი, რომ ეს არ არის დახურული ტიპის დაწესებულება და მათ შეუძლიათ დატოვონ თავშესაფარი. შესაბამისად, არანაირ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია", – განაცხადა კაკაჩიამ. (ინტერპრესნიუსი)

## ტირილს ადამიანის ჯანმრთელობის გაძლიერება შეუძლია?



ისე, რაღა ტირილით უნდა გავიძლიეროთ ჯანმრთელობა, არ ჯობია, სიცილით ვიზრუნოთ ამ კეთილშობილური მიზნისთვის?!

ასეა თუ ისე, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ცრემლებიც ისევე მნიშვნელოვანია ადამიანის ორგანიზმისთვის, როგორც სიცილ-ხარხარი.

ჩატარდა ექსპერიმენტიც, რომელმაც აჩვენა, რომ ტირილის შემდეგ ადამიანის განწყობა და მდგომარეობა მნიშვნელოვნად უმჯობესდება. ექიმები ამას იმით ხსნიან, რომ ტირილის დროს მარილიან ცრემლებთან ერთად ორგანიზმიდან ისეთი ნივთიერებების გამოდევნა ხდება, რომელთაც გულ-სისხლძარღვთა პრობლემების გამოწვევა შეუძლიათ.

სპეციალისტები აქვე იმასაც ამბობენ, რომ ზემოთქმულის მიუხედავად, არ ღირს ტირილთან დამეგობრება, რეგულარულად ისტერიკაში ჩავარდნა.

– ტირილი სასარგებლო მხოლოდ კვირაში ერთხელ შეიძლება იყოს, – ასეთია მათი რჩევა.

*myjane.ru*

## ფეხმძიმობა და მობილური ტელეფონი შეუთავსებელიაო



ძალიან კარგადაა ცნობილი სპეციალისტების უმრავლესობის დამოკიდებულება მობილური ტელეფონის მიმართ და ალბათ, გასაკვირი არც იელის ინსტიტუტის კვლევის შედეგი უნდა იყოს.

როგორც კვლევის ავტორები ამბობენ, უმჯობესია, მორალური მხარდაჭერა ფეხმძიმე ქალმა არა ტელეფონით, არამედ პირადი შეხვედრებიდან მიიღოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუკი მოგენატრათ მეგობარი, დედა ან მამიდაშვილი, სტუმრად ეწვიოთ ჯობია, ვიდრე ტელეფონს „ჩამოეკიდოთ“.

დოქტორი ჰიუ ტეილორი მიიჩნევს, რომ არსებობს სერიოზული რისკები, მობილურმა ტელეფონმა ნაყოფზე ნეგატიური გავლენა მოახდინოს. კერძოდ, მომავალში ბავშვის ჰიპერაქტიურობა გამოიწვიოს.

როგორც ხდება ხოლმე, ექსპერიმენტი თაგვებზე ჩატარდა: მღრღნელების შთამომავლები, რომლებიც მობილური ტელეფონის დასხივების არეში ხშირად ხვდებოდნენ, მართლაც ბევრად აქტიურები აღმოჩნდნენ.

– უმჯობესია, ფეხმძიმე ქალებმა მობილური ტელეფონი მაქსიმალურად იშვიათად გამოიყენონ, – ასეთია იელის უნივერსიტეტის გამოცდილი სპეციალისტების რეკომენდაცია.

*myjane.ru*

## დაავადებებს სხვადასხვა სუნი აქვს?



რომ დავფიქრდეთ, რთული მართლაც არ არის იმის დადგენა, რომ ადამიანი გრიპითაა დაავადებული, როცა მის ოთახში შევალთ და ოფლის, ხველების საწინააღმდეგო წამლებისა და სხვა საშუალებების სუნს შევიგრძნობთ. მაგრამ მოხერხდება თუ არა სხვადასხვა დაავადების დადგენა მხოლოდ სუნით, რომელიც უშუალოდ ადამიანს აქვს? მეცნიერები ამტკიცებენ, რომ დიახ, ეს შესაძლებელია და ბევრი დაავადების სუნი უკვე აღწერილიცაა.

ასე მაგალითად, თავისი დამახასიათებელი სუნი აქვს შიზოფრენიას, რაც ნივთიერებათა ცვლის დარღვევას უკავშირდება. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია შიზოფრენიის დასადგენად თაგვების გაწვრთნა. სუნს პაციენტებში გექსენის მჟავა ტრანს-3-მეთილ-2 გამოყოფს, რომელიც ოფლთან ერთად გამოდის. მას სპეციალისტები ასე აღწერენ: „გადამწიფებული ტკბილი ხილის სუნი“.

მუკოვისციდოზის (კუჭქვეშა ჯირკვლის ცისტოზური ფიბროზი) დროს, რომელიც მძიმე მემკვიდრეობით დაავადებათა ნუსხაში შედის, სუნს გამოსცემს არა ოფლი, არამედ სუნთქვა და ის ხასიათდება, როგორც მომჟავო.

საკუთარი „არომატები“ აქვს ღვიძლის, თირკმლებისა და საკვების მომნელებელ ორგანოებს, რადგან ისინი პასუხს აგებენ სისხლის წმენდაზეც და მათი დაზიანების შემთხვევაში, სისხლში ჩნდება კომპონენტები, რომლებიც იქ არ უნდა იყოს. ზოგიერთ მათგანს საგრძნობი სუნიც აქვს, მაგალითად, თევზის, როცა ორგანიზმი ვერ ითვისებს ქოლინს (ბე ჯგუფის ვიტამინი), რომელიც შედის საკვებში და აგროვებს ნივთიერებას, სახელწოდებით ტრიმეტილამინი.

ზოგიერთი დაავადების სუნის აღწერა საავადმყოფოებში მომუშავე ადამიანებსაც შეუძლიათ. მაგალითად, დიფტერიას ტკბილი სუნი აქვს, მუცლის ღურს დაავადებას – ახლად გამომცხვარი პურის, ტუბერკულოზის ერთ-ერთ ფორმას – ლუდისა და ასე შემდეგ.

ნივთიერებათა ცვლის დარღვევისას, პატარა ბავშვებს იმდენად ძლიერად ასდით ნეკერჩხლის სიროფის სუნი, რომ ამ მდგომარეობამ ამერიკაში საკუთარი სახელიც კი მიიღო: „ნეკერჩხლის სიროფის დაავადება“.

სპეციალისტები ამბობენ, რომ, რა თქმა უნდა, ადამიანებს არ შეუძლიათ, სრულყოფილად გაარჩიონ დაავადებების სუნები, მაგრამ შესაძლებელია, ეს ცხოველებს შეასწავლონ, მაგალითად, ძაღლებს...

*factroom.ru*

## მათემატიკა შეიძლება... ტკივილის მიზეზი იყოს?



ჰო, მათემატიკა ტკენს, ფიზიკა თავბრუს ხვევს, აი, ზოოლოგია კი ფაღარათის მიზეზი შეიძლება გახდეს...

რა მაგარი უცნაურები არიან ეს მეცნიერები, ყველაფერში იქექებიან და ისეთ დასკვნას დადებენ ხოლმე, გული გაგისკდება ხან სიცილით, ხან კი – შიშით.

– თუკი მათემატიკური ამოცანის ამოხსნისას ადამიანი ძალიან ნერვიულობს, აქტიურდება თავის ტვინის ზონა, რომელიც ფიზიკურ ტკივილზეა პასუხისმგებელი, – ასეთია ჩიკაგოს უნივერსიტეტის სწავლულების მოსაზრება. მათივე თქმით, ეს იმას ნიშნავს, რომ ტვინზე მოსალოდნელი დასაანგარიშებელი ქმედებების მოლოდინი ახდენს უარყოფით გავლენას.

ზოგჯერ, ანალოგიური რეაქციები ფიქსირდება ფსიქოლოგიური სტრესის სხვა ფორმებზე – სოციალურ უგულებელყოფასა და ურთიერთობების გაწყვეტაზე. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ამერიკელებს სწორედ შიშის მომგვრელი მოვლენის მოლოდინს მოყოლილი მტკივნეული რეაქციები აინტერესებდათ.

კვლევის ავტორები განმარტავენ, რომ სწორედ მათი მიგნებით აიხსნება, რატომ ვერ უმკლავდება ადამიანების ნაწილი მათემატიკურ დავალებებს და არჩევანს ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე აკეთებს.

მოკლედ, მოსწავლეებისთვის გადასარევი მიზეზია, მათემატიკის გაკვეთილები გააცდინონ და თქვან: „ამოცანებს რომ ვხსნით, მარტო თავი კი არა, ხელებიც გვტკივა, ფეხებიც, თვალებიც, ენაც, ცხვირიც, ყელიც, ღვიძლიც, ელენთაც“ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

*uralweb.ru*

## შექმნილია პრინტერი, რომელიც ქაღალდზე ყველაფერს... შლის



ისა და – პრინტერი ხომ იმისთვისაა, რომ ტექსტი ამობეჭდო? კი, ასეა! ყოველ შემთხვევაში, აქამდე მართლაც ასე იყო, მაგრამ იაპონურმა „ტოშიბამ“ ყველაფერი თავდაყირა დააყენა, როცა გამოუშვა პრინტერი, რომელიც ქაღალდიდან მასზე წარსულში დაბეჭდილ ტექსტს შლის.

სიახლის ავტორები განმარტავენ, რომ პრინტერში გამოიყენება ტექნოლოგია, რომლის მსგავსსაც ვხვდებით სპეციალური გელით სავსე საწერ კალმებში, ოღონდაც, ამ შემთხვევაში, საუბარია ტონერზე.

პრინტერი ავტომატურ რეჟიმში ახდენს დაზიანებული ქაღალდის შერჩევას, რომლის ხელმეორედ გამოყენება აღარ შეიძლება და მხოლოდ დაუზიანებელს ასუფთავებს. შემდეგ დაუზიანებელი ქაღალდიდან ხდება ტექსტის სკანირება სერვერში შესანახად, ბოლოს კი ტექსტი ქრება.

„ტოშიბაში“ იმასაც ამბობენ, რომ ერთი და იგივე ქაღალდის გამოყენება დაახლოებით 5-ჯერ შეიძლება.

ამავე დროს, კომპანიაში განმარტავენ, რომ არ არის რეკომენდებული პრინტერის გამოყენება იმ ქაღალდებთან მუშაობისას, რომლებზეც ფასეული ან საიდუმლო გრიფის მქონე ინფორმაციაა დატანილი. საქმე ისაა, რომ ტექსტი სამუდამოდ არ იშლება და საჭიროების შემთხვევაში, მისი აღდგენა სპეციალური ტექნიკის გამოყენებით, რთული საქმე სულაც არ არის.

ცნობილია, რომ „ტოშიბას“ პრინტერების გაყიდვები მომდევნო წლის თებერვლიდან დაიწყება და მისი ფასი დაახლოებით 17,5 ათასი აშშ დოლარი იქნება.

*it-news.by*

## ბავშვების ცემას შესაძლოა... სიმსივნე მოჰყვეს?



ზოგჯერ კი ძალიან რთულია, მშობელმა ნერვები მოთოკოს და შვილს გემოზე არ შემოუწყრეს, მაგრამ იმდენად საშიში შეიძლება გახდეს ამ ყველაფრის მიზეზი, მხოლოდ გაფიქრებაც კი შემზარავია!..

პლიმუტის უნივერსიტეტის სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ონკოლოგიის ერთ-ერთი მიზეზი ბავშვობაში გადატანილი ფსიქოლოგიური ტრავმებიც შეიძლება იყოს. უფრო ზუსტად, საუბარი ეხება ფიზიკურ დასჯას და უხეშ მოპყრობას.

შესაბამისი კვლევის ჩატარების შედეგად, სპეციალისტებმა სიმსივნით დაავადებასა და რთულ ბავშვობას შორის კავშირს მიაგნეს. კერძოდ, ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტების 70 პროცენტს ბავშვობის წლებში მშობლები ფიზიკურად სჯიდნენ.

გარდა ამისა, დადგინდა ისიც, რომ გულის დაავადებების მქონე პაციენტებში ეს მაჩვენებელი 90 პროცენტია, ხოლო ასთმის შემთხვევაში – 60 პროცენტი.

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ბავშვობაში გადატანილი სტრესი და ნერვიულობა ძალიან მისაღებ საფუძველს უმზადებს უამრავ უსიამოვნებას, მათ შორის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასთმას, სიმსივნეს, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებსა და ასე შემდეგ. ამდენად, შვილების აღზრდისთვის მართლაც უმჯობესია, მშობლებმა სხვა მეთოდები გამოიყენონ.

*mamin-dom.ru*

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# პიკანტური მეცნიერული ფაქტები



– საათის მანძილზე, ვირთხას 122 სექსუალური აქტის ჩატარება შეუძლია.

– ლომები დღე-ღამეში ერთმანეთს დაახლოებით 50-ჯერ ერწყმიან.

– ენოტი და ლომვეშაპი ის გამონაკლისი ცხოველები არიან, რომლებსაც სასქესო ორგანოში ძვალი აქვთ.

– მსოფლიოს ოკეანის წყლებში იმაზე ბევრად მეტი ოქროა, ვიდრე კაცობრიობას მთელი ისტორიის მანძილზე მოუპოვებია.

– ქალები, რომლებიც ტუჩებს ღია წითელი ფერის პომადით ილებავენ, სხვებზე გაცილებით ხშირად ილიმებიან.

– პოპულარული ლუდის „გინესის“ ბუშტულები, სხვა ყველა სახეობის ლუდისგან განსხვავებით, სასმელის ზედაპირზე ამოსვლის ნაცვლად, ფსკერისკენ ჩადის. რა ხდება ამ მოვლენის მიზეზი, მეცნიერებამ ახსნა ჯერჯერობით ვერ გამოუძებნა.

– მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ჰობი – მებაღეობაა. საერთო ჯამში, კაცობრიობა მასზე გაცილებით მეტ ფულს ხარჯავს, ვიდრე იახტებისა და ანტიკვარიატის კოლექციების შეგროვებაზე.

– ფანჯრებზე შეჯახების შედეგად, წლის მანძილზე ათასობით ფრინველი კვდება.

– ადამიანის ენის ანაბეჭდი ისეთივე უნიკალურია, როგორიც – თითების.

– ძილის დროს, დელფინებს მხოლოდ ერთი თვალი აქვთ დახუჭული.

– ზვიგენმა სისხლი რომ იგრძნოს, საკმარისია წყალში მისი ერთი ასმემილიონედი ნაწილი.

– ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც 1983 წელს შობადობის მაჩვენებელი ნულის ტოლი იყო, ვატიკანი გახლდათ.

– ვთქვათ, სხვა საქმე არ გაქვთ და მოინდომეთ, ჩვენს გალაქტიკაში არსებული ყველა ვარსკვლავი დაითვალოთ სიჩქარით – წამში 1 ვარსკვლავი, ამ საქმიანობას 3 ათასი წლის შემდეგ დაასრულებთ.

– სქესის შეცვლის ოპერაცია ირლანდიაში არც ერთხელ არ ჩატარებულა.

– ინდოეთში ყოველწლიურად იმაზე მეტი ადამიანი იბადება, ვიდრე ავსტრალიაში ცხოვრობს.

– ჰოლივუდის ვარსკვლავისა და უამრავი ქალის გულთა მპყრობელის კიანუ რივზის სახელი ჰავაურიდან ითარგმნება, როგორც „მთების ქვეშ დაბერილი ცივი ნიავი“.

– ადამიანის სხეულის ძვლების მეოთხედი ფეხებში მდებარეობს.

– ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობა ტაილანდში – საჰაერო გველების გაშვება.

– ყველაზე საშიშ პროფესიებად მიიჩნევა: მეხანძრეობა, კოსმონავტობა, ავტომრბოლელობა, პოლიციელობა, ფეხბურთელობა და მეთევზეობა.

– ჯონ გეტის, მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანს სახლში ფასიანი ტელეფონის ავტომატი ედგა.

***hozna.ru***





– უკრაინამ გამოაცხადა, რომ ტურისტებისთვის ჩერნობილს გახსნის. ამბობენ, დისნეილენდივით იქნებაო, უბრალოდ, ორმეტრიანი თაგვი, ორ ფეხზე მოსიარულე ძაღლი, ცხრათავიანი ხვლიკი და ასე შემდეგ, ნამდვილები იქნებიან...

*****



– ძალიან მაგარია, იყო მტრედი: მოგინდება პარიზში – ჩაფრინდები, ვინმე გაგაბრაზებს – დაასკლინტავ...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ,*
*დავით ახობაძის ნახატები*



## სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. მთიდან გადმოშვებული წყალი
2. სიმინდის ტაროს ფოთლები
3. თურქეთის დედაქალაქი
4. ევროპელ ებრაელთა ენა
5. რას დებს ქათამი
6. მდინარე პარიზში
7. მსახიობი ... მერფი
8. აქლემების მწკრივი უდაბნოში
9. მდინარე ინდოეთში
10. ნახ. კულძული კანადაში
11. მსახ. აიშვარია ...
12. სასამართლოს გადაწყვეტილება
13. ოცკაპიკიანი ძველად
14. კუნძული ატლანტის ოკეანეში
15. „ჩემი ცოლის ...“
16. აღმოსავლური საჭმელი
17. რომელ ... შეხვიდე, იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეო
18. პროვინცია ესპანეთში
19. არამუსლიმანური სამარხი
20. სისხლნაკლებობა
21. ჯანყი
22. ავგაროზი
23. წყრომა
24. შარმი, ეშხი
25. მხატვარი ალბრეხტ ...
26. უმაღლესი ხარისხის ცხვრის მატყლი
27. მსახიობი ... დალტონი
28. დროშა
29. გამოსახდელი ჭურჭელი
30. რეჟისორი რობერტო ...
31. ინგლისური ლუდი
32. დამხმარე პედაგოგი
33. ფიზიკოსი ერნესტ ...
34. თირკმლების ექიმი
35. მსახ. ... სმოქტუნოვსკი
36. რეჟისორი პიერ პაოლო ...
37. ქალაქი იაპონიაში
38. თვლემა
39. მესერი
40. მდინარე კახეთში
41. პირის ნაცვალსახელი
42. კომპოზიტორი ... ნემსაძე
43. მომღერალი ... მარლი
44. „შავყურა თეთრი ...“
45. ხორბლის შესანახი შენობა
46. გადახრა ნორმიდან (მოვლენა)
47. დოკუმენტების საცავი
48. მწერალი ... ტვენი
49. მგალობელი ფრინველი
50. რეჟისორი ... იოსელიანი
51. მომღერალი ... მორისეტი
52. თვალის ბუდე
53. კუნძული ინდონეზიაში
54. ვიოლინოს წინაპარი
55. ნაცია
56. მომღერალი ... სუმაკი
57. ქალაქი მდინარე იორდანეზე
58. ძვ. თბილისური მიმართვა
59. მანეთის მეასედი
60. დაბალი რბილი სკამი
61. ოდრი ტოტუ ფილმში
62. ელექტრომოწყობილობა
63. მხატვარი ... გრეკო
64. ციხესიმაგრე, იქვდა აბათი ფარია
65. მსახიობი ... როკი
66. მუზეუმი მადრიდში
67. გამხმარი სილი
68. მსახიობი ... ტომპსონი
69. ბუდისტი მღვდელი
70. მსახიობი ... დელონი
71. ცეცხლსასროლი იარაღი
72. მსახიობი ... ტომასი
73. ყაიმი

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ცივი ამინდი გაციების ალბათობას სულაც არ ზრდის



– ქუდი დაიხურე, ცივა გარეთ და არ გაცივდე! – ალბათ, რამდენჯერ მოგისმენიათ დედისგან ან ბებიისგან ასეთი დარიგება, თანაც, არა მხოლოდ ბავშვობის წლებში. ჰოდა, ძვირფასო დედიკოებო და ბებიკოებო, იცით, რომ სიცივესა და გაცივებას შორის კავშირი მხოლოდ მითი და ფოლკლორია?

სპეციალისტები განმარტავენ, რომ ჰაერის დაბალი ტემპერატურა სულაც არ ზრდის იმის ალბათობას, რომ ადამიანს ინფექციური გაციების დაავადებათა გამჩენი 200 ვირუსიდან ერთ-ერთი შეხვდეს.

როგორც წესი, ვირუსები აირ-წვეთოვანი გზით ხველებისა და დაცემინების დროს ვრცელდება. მიუხედავად იმისა, რომ გაციების რისკი სუსტი იმუნიტეტის დროს მაღალია, დიდი ხნის წინათ ისიც დამტკიცდა, რომ ცივი ამინდი იმუნურ სისტემაზე სულაც არ მოქმედებს.

კვლავაც სპეციალისტებს თუ დავესესხებით, გაციება ზამთრის პერიოდში უფრო მეტად გავრცელებული იმიტომაა, რომ ადამიანი გაცილებით ცოტა დროს ატარებს ქუჩაში, ანუ ჰაერზე და ძირითადად, შენობებშია გამოკეტილი.

*dr20.ru*

## მაცივრებში ძალიან საშიში ბაქტერიები ბუდობენ



ევროპელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ მაცივრებში ბინადრობენ ბაქტერიები, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქმნიან.

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მეტ-ნაკლებად საშიში უამრავი ბაქტერიის გარდა, მაცივრებში ასევე შეიძლება იმალებოდნენ ნაწლავის ჩხირები, სალმონელა, ლისტერია და ასე შემდეგ.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ხილ-ბოსტნეულის შესანახ განყოფილებებში ზოგ შემთხვევაში, ბაქტერიების რაოდენობა დასაშვებ ნორმას 750-ჯერ აღემატებოდა.

იმისთვის, რათა საკმაოდ სერიოზული საფრთხეების აცილება შევძლოთ, სპეციალისტები დიასახლისებს ურჩევენ, მაცივრის ყველა განყოფილება ხშირად და გულდასმით გაწმინდონ.

*myjane.ru*

## პარსვა თმის ზრდაზე, სისქესა და ფერზე სულაც არ მოქმედებსო



როცა იპარსავთ სახეს, ფეხებს, იღლიებსა თუ რა ვიცით, სხეულის ნებისმიერ ადგილს, შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ თმა უფრო სქელი და უხეში იზრდება.

სიმართლე გითხრათ, თავადაც ასე ვფიქრობდით, თუმცა აღმოჩნდა, რომ სულ ტყუილად.

როცა სხეულზე სამართებელს ვისვამთ, ვჭრით მხოლოდ თმის თხელ ნაწილს, სქელი კი გაზრდას კვლავ აგრძელებს.

გარდა ამისა, თმა ხელის გადასმისას უხეში იმიტომ გვეჩვენება, რომ პარსვის შედეგად დამოკლდა. საგრძნობლად გამუქებული თმაც კი ილუზიააო, ასე ამბობენ. რატომ და უფრო მუქად იმიტომ ჩანს, რომ ახლა წერტილებს უშუალოდ თქვენი ნორმალური კანის ფერის ფონზე ხედავთ.

აღნიშნულ საკითხზე მეცნიერებმა კვლევაც კი ჩაატარეს, რომლის ფარგლებშიც შეეცადნენ დაედგინათ, მოქმედებს თუ არა პარსვა თმის ზრდაზე.

ჰოდა, აღმოჩნდა, რომ პარსვის შედეგად არ იცვლება არც თმის ზრდის სიჩქარე, არც ფერი, არც სტრუქტურა და არც ტექსტურა.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*myjane.ru*

გაზეთები ალია და ქრონიკა

**სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს**

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**14 იანვარი:** მაქსიმალურად შეეცადეთ, აღებულ კურსს არ ასცდეთ, რადგან ამ გზაზე დაბრუნება იმაზე მეტად გაგიჭირდებათ, ვიდრე გგონიათ.

**კურო 22.04-21.05**
**14 იანვარი:** შეიძლება დღეს წარსული გაგახსენდეთ და ნაღველი მოგეძალოთ. სადარდებელი არაფერია, უმჯობესია, მომავალზე იფიქროთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**14 იანვარი:** შეიძლება მოხდეს რაღაცა, რაც ძალიან აგრესიულს გაგხდით. ჭკუას მოუხმეთ და ისეთი არაფერი ჩაიდინოთ, რაც სანანებელი გაგიხდებათ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**14 იანვარი:** შეიძლება იმ სიტუაციის გამარტივება მოგინდეთ, რომელშიც იმყოფებით. ტყუილად არ იწვალოთ, ვერ შეძლებთ.

**ლომი 23.07-22.08**
**14 იანვარი:** რაც არ უნდა აკეთოთ, გარშემომყოფნი თქვენს მიმართ ლოიალურად იქნებიან განწყობილი. თქვენც თავაზიანად მოექეცით.

**ქალწული 23.08-22.09**
**14 იანვარი:** უახლოეს დღეებში ბევრი რამე იქნება დამოკიდებული იმაზე, როგორ ადამიანებთან გექნებათ ურთიერთობა და რაზე ესაუბრებით. ეს ადამიანები საგულდაგულოდ შეარჩიეთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**14 იანვარი:** გონს მოუხმეთ. სულ არაფრის გამო შეიძლება აგრესიული და აუტანელი გახდეთ. არ ღირს სიტუაციის დამძიმება, დამშვიდდით.

**მორიელი 23.10-21.11**
**14 იანვარი:** დღეს სადარდებელი, წესით, არაფერი გექნებათ. შეგიძლიათ, საკუთარ გრძნობებს მიენდოთ და ის აკეთოთ, რასაც გული გიკარნახებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**14 იანვარი:** შეიძლება ეს დღე თქვენს ცხოვრებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი აღმოჩნდეს. რაღაც შანსი მოგეცემათ, რომლის ხელიდან გაშვებაც არ ღირს, მერე სანანებელი გაგიხდებათ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**14 იანვარი:** რაოდენ ბრწყინვალედაც არ უნდა იმოქმედოთ, მუდმივად რაღაც შეგიშლით ხელს. საერთოდაც, ამ დღეს წარმატებულს ვერ უწოდებთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**14 იანვარი:** გაიხსენეთ მეგობრები. შეიძლება ყოველდღიურმა რუტინამ ისინი სულ დაგავიწყათ. შეეხმიანეთ, მათი მონაყოლი ძალიან გაგახარებთ.

**თევზები 19.02-20.03**
**14 იანვარი:** ვიღაცის მიმართ გადაჭარბებული სიმპათიის გამო, ამ ადამიანს იმაზე მეტს მისცემთ, ვიდრე იმსახურებს. გონიერებას მოუხმეთ.

## 10 უცნაური ფაქტი ორშაბათის შესახებ



ძალიან ბევრი საინტერესო, უცნაური და ამოუხსნელი მოვლენა უკავშირდება კვირის ყველაზე მძიმე დღედ წოდებულ ორშაბათს. ბრიტანელმა მეცნიერებმა ორშაბათის შესახებ 10 ყველაზე გამორჩეული ფაქტი გამოყვეს, რომლებსაც ჩვენც გაგაცნობთ:

1. ორშაბათობით ადამიანების უმრავლესობა დაახლოებით დილის 11 საათამდე ერთხელაც არ იღიმება.

2. არსებობს რამდენიმე შესანიშნავი ხერხი, შეებრძოლოთ უსიამოვნო დამოკიდებულებას ორშაბათის მიმართ. მაგალითად, სექსი, შოკოლადისა და კოსმეტიკის შეძენა, ტელევიზორის ყურება და შვებულების დაგეგმვა.

3. სხვადასხვა კერძო თუ სახელმწიფო კომპანიაში მომუშავე თანამშრომლების 50 პროცენტი ორშაბათობით სამსახურში აუცილებლად იგვიანებს.

4. 12 წუთი – სწორედ ამდენი დრო ჰყოფნით ადამიანებს, რომ ორშაბათზე იწუწუნონ.

5. ყველაზე მეტად „ორშაბათის სინდრომი" დამახასიათებელია ადამიანებისთვის, რომელთა ასაკიც 45-დან 54 წლის ფარგლებში მერყეობს.

6. ორშაბათობით, სხვადასხვა კომპანიის თანამშრომელთა პროდუქტიულობა მხოლოდ 3,5 საათის მანძილზე ნარჩუნდება.

7. დაუდგენელია მიზეზი, თუმცა სტატისტიკა იმაზე მეტყველებს, რომ სწორედ ორშაბათობით ხდება თვითმკვლელობების უმრავლესობა.

8. ორშაბათს მიოკარდის ინფარქტის რაოდენობა 20 პროცენტით მატულობს.

9. ყველაზე იშვიათად, წვიმა ორშაბათს მოდის ხოლმე.

10. ამ ყველაფერი ნეგატიურის ფონზე, ორშაბათზე ერთ დადებითსაც გეტყვით: სწორედ კვირის პირველი დღე სახელდება ავტომობილის შეძენის საუკეთესო დროდ. მიზეზად ის სახელდება, რომ შაბათ-კვირის შემდეგ, გამყიდველებს იმედი არ აქვთ, რომ ორშაბათს სარფიან გარიგებას მიაღწევენ და ამიტომ, ავტომობილს ფასს ბევრად ადვილად აკლებენ.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*mainfun.ru*



ცოლი: მოულოდნელად რომ მოვკვდე, სხვას შეირთავ?

ქმარი: რა თქმა უნდა, არა...

ცოლი: არა? და რატომ? არ მოგწონს, ცოლიანი რომ ხარ?

ქმარი: ეგ რა შუაშია...

ცოლი: შუაში კი არა, თავშია – ამიხსენი, რატომ არ მოიყვან კიდევ ცოლს, თუ ქორწინებას აფასებ?

ქმარი: ჰო, კარგი, შევირთავ, თუ შენ ასე ძალიან გინდა..

ცოლი (გაბრაზებული): აჰა, ესე იგი შეირთავ, არა?!

ქმარი: ჰო, რა ვიცი, ამას არ მეკითხებოდი და მოითხოვდი?

ცოლი: და მასთან ერთად ჩვენს საწოლში დაწვები?

ქმარი: აბა, სად უნდა დავწვე, ხომ ვერ მეტყვი?

ცოლი: და ჩემი ფოტოების ნაცვლად, ყველგან მის ფოტოებს გამოფენ?!

ქმარი: ჰო, ალბათ, ასე იქნებოდა...

ცოლი: და უფლებას მისცემდი, ჩემი მანქანით ესარგებლა?

ქმარი: არა, მას ხომ მართვის მოწმობა არ აქვს...

ცოლი: (სიჩუმე)...

ქმარი: დამერხა!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

„ალია-ჰოლდინგი"

ალია

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ბადრი ქევანიშვილი

რედაქციის მისამართია:
აკადემქალაქი, I კვარტალი
მე-4 კორპ.
I სართული
(ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 00.30

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.





**ირმა ჯოხაძეს**
ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბევრ სიხარულს და ღვთის წყალობას საყვარელ ადამიანებთან ერთად.
*„ალია ჰოლდინგი“*



შობისა და ახალი წლის მობრძანებას ვულოცავთ საგვარეულო კავშირი „წაქაძეების“ დამფუძნებლის, ბეჟან წაქაძის ოჯახს.

სადღესასწაულო განწყობას კიდევ უფრო ამაღლებს შვილიშვილის შეძენა, მარიამის დაბადებას ვულოცავთ მშობლებს, ბიძინასა და ქეთევანს, ვუსურვებთ, გაეზარდოთ ქვეყნისა და ოჯახის საამაყო შვილი, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი.




უფალი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახის შემწე და მფარველი.
*ელგუჯა წაქაძის ოჯახი*

## ამინდი

თბილისი

19 ნოემბერი

დღე +9
ღამე +2

რეგიონები

19 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +19 | ღამე | +12 |
| ქუთაისი | +17 | ღამე | +11 |
| თელავი | +9 | ღამე | +2 |
| ფოთი | +20 | ღამე | +14 |
| გორი | +11 | ღამე | +1 |
| ზუგდიდი | +19 | ღამე | +13 |

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას



გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

მომზადა მიხეილ სახვაძემ

## ამინდი

თბილისი

22 ნოემბერი

დღე +12
ღამე +1

23 ნოემბერი

დღე +14
ღამე +2

24 ნოემბერი

დღე +15
ღამე +2

რეგიონები

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +18 | ღამე | +12 |
| ქუთაისი | +20 | ღამე | +10 |
| თელავი | +12 | ღამე | -1 |
| ფოთი | +20 | ღამე | +13 |
| გორი | +14 | ღამე | +1 |
| ზუგდიდი | +20 | ღამე | +9 |

23 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +17 | ღამე | +11 |
| ქუთაისი | +20 | ღამე | +11 |
| თელავი | +13 | ღამე | -1 |
| ფოთი | +18 | ღამე | +12 |
| გორი | +15 | ღამე | -1 |
| ზუგდიდი | +19 | ღამე | +10 |

24 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +20 | ღამე | +8 |
| ქუთაისი | +23 | ღამე | +11 |
| თელავი | +14 | ღამე | +2 |
| ფოთი | +20 | ღამე | +13 |
| გორი | +16 | ღამე | +1 |
| ზუგდიდი | +21 | ღამე | +11 |

მომზადა მიხეილ სახვაძემ

## ამინდი

თბილისი

15 ნოემბერი

დღე +17
ღამე +4

16 ნოემბერი

დღე +13
ღამე +4

17 ნოემბერი

დღე +14
ღამე +1

რეგიონები

15 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +17 | ღამე | +8 |
| ქუთაისი | +15 | ღამე | +7 |
| თელავი | +17 | ღამე | +4 |
| ფოთი | +16 | ღამე | +10 |
| გორი | +14 | ღამე | +2 |
| ზუგდიდი | +15 | ღამე | +7 |

16 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +17 | ღამე | +6 |
| ქუთაისი | +18 | ღამე | +7 |
| თელავი | +13 | ღამე | +3 |
| ფოთი | +18 | ღამე | +9 |
| გორი | +15 | ღამე | +5 |
| ზუგდიდი | +17 | ღამე | +7 |

17 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +17 | ღამე | +6 |
| ქუთაისი | +18 | ღამე | +3 |
| თელავი | +12 | ღამე | +1 |
| ფოთი | +17 | ღამე | +8 |
| გორი | +15 | ღამე | +5 |
| ზუგდიდი | +16 | ღამე | +7 |

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101).



# ვაკანსია

**„ალია ჰოლდინგი“** მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტე-ბისთვის აცხადებს კონკურსს „ალიასა“ და „კვირის ქრონიკის“ საინ-ფორმაციო განყოფილების რედაქტორის თანამდებობაზე.

**ხელფასი 800 ლარიდან.**

ასევე სამუშაოდ იწვევს კრიმინალის, საზოგადოების, ეკონომიკის და სოციალურ საკითხებზე მომუშავე გამოცდილ ჟუ-რნალისტებს. **ხელფასი 600 ლარიდან.**

ტელეფონი:
577 74 99 89 თამაზ ბესტავაშვილი (15 საათის შემდეგ)
221 21 80 (106) მანანა გიორგაძე




საპროტესტო აქციის მონაწილეები მაზოხისტები იყვნენ, დამრბევი პოლიციელები – სადისტები. ყველამ უდიდესი სიამოვნება მიიღო...

მოამზადა მიხეილ სახვაძემ დავით ახობაძის ნახატი

მე-14 გვერდის სკანვორდის პასუხები

1. ჯავახიშვილი; 2. მაჭავარიანი; 3. სირაჯი; 4. კუპრი; 5. ბილიკი; 6. ხბო; 7. ბუ; 8. ბუმბერაზი; 9. მამაცი; 10. აფსუს; 11. მორისეტი; 12. ლამაზისეული; 13. რა; 14. სასადილო; 15. ლომონოსოვი; 16. სარდალი; 17. ანანური; 18. ვირთაგვა; 19. „გალათასარაი“; 20. ლიმა; 21. ჯარისკაცის; 22. „სანტე“; 23. კირილ; 24. ლინო; 25. სირენა; 26. დონი; 27. პირამიდა; 28. მარტინა; 29. ბაგრატიონი; 30. ტოგა; 31. გოია; 32. შარა; 33. ტენერიფე; 34. სმირნიტსკი; 35. იმა; 36. ცენტნერი; 37. ოსტატი; 38. არწივი; 39. წინანდალი; 40. მინელი; 41. ანცი; 42. ციალი; 43. მინინი; 44. არა; 45. ეტნა; 46. გონიო; 47. აყალმაყალი; 48. უდაბნო; 49. სინდიყი; 50. დონიცეტი; 51. „ქაჯანა“; 52. ანძა; 53. ფიჭა; 54. ფიონა; 55. ესტაფეტა; 56. საფანტი; 57. ქრონომეტრი; 58. ამირანი; 59. ლიდერი; 60. ბალონი; 61. ლომვეშაპი; 62. აბელ; 63. რონა; 64. დალმატინელი; 65. ბია; 66. კორსიკა; 67. დრონი; 68. ძაფი; 69. ფრესკა; 70. „ნირვანა“; 71. ოყა; 72. „ავატარი“; 73. ანდანტე; 74. ნეფერტიტი; 75. ჰორნი; 76. ტიარა; 77. ბარბეკიუ; 78. მელომანი; 79. კაფია; 80. სამოა; 81. პომადა; 82. კონ; 83. ვუ; 84. ლვოვი; 85. ტორტი; 86. ნერპა; 87. კვებეკი; 88. ტერ; 89. ნისლი; 90. ზარბაზანი; 91. ლიტრი; 92. მაკარ; 93. რამაზანი; 94. მონტე; 95. ანტი; 96. ასპიტი; 97. ნიკე; 98. ნოსტე; 99. კონიაკი; 100. მეი; 101. კარლოს; 102. კიკუ; 103. ირიდა; 104. ირისი; 105. პონი; 106. ბონდი; 107. კალორია; 108. ოქრო; 109. როტარუ; 110. ნიუტონი; 111. ლისტი; 112. მიდია; 113. ხაში; 114. ნიაგარა; 115. კიტონი; 116. ოპერა; 117. ოზონი; 118. იანკი; 119. კუბერტენი; 120. ბროლი; 121. მარტო; 122. აგვისტო; 123. ლამა; 124. ოაზისი; 125. ნისკარტი; 126. ლილუ; 127. რაუტი; 128. იან; 129. ოტო; 130. სვია; 131. ორბიტა; 132. მო; 133. ტიმ; 134. ოცი; 135. აგნია; 136. უმი; 137. ტვინი; 138. კიი; 139. რაც; 140. ოსტაპ; 141. ცილა; 142. ტუტი. იკითხება: ჯეკ ნიკოლსონი.

## ამინდი

**თბილისი**

**28 მაისი**

| | | |
|---|---|---|
| ღამე | | +13 |
| დღე | | +24 |

**რეგიონები**

**28 მაისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +23 | ღამე | +13 |
| ქუთაისი | +24 | ღამე | +13 |
| თელავი | +25 | ღამე | +12 |
| ფოთი | +20 | ღამე | +15 |
| გორი | +22 | ღამე | +11 |
| ზუგდიდი | +23 | ღამე | +13 |

# ჰოროსკოპი

### ვერძი 21.03-21.04
**28 მაისი:** შეიძლება დღეს რაღაც არნახულ შედეგს მიაღწიოთ. ყურადღებით იყავით, რომ რამე მნიშვნელოვანი არ გამოგრჩეთ.

### კურო 22.04-21.05
**28 მაისი:** შეეცადეთ, ეს დღე საკუთარ თავს დაუთმოთ. დაისვენეთ, გაერთეთ და ხვალისთვის ფორმაში იყავით.

### ტყუპები 22.05-21.06
**28 მაისი:** როგორც ჩანს, ვიღაცამ თვალი დაგადგათ და ალბათ, გამოგეცნაურებათ კიდეც. შეიძლება დღეიდან თქვენს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალოს.

### კირჩხიბი 22.06-22.07
**28 მაისი:** შეიძლება სალამოსკ-ენ სასაცილო გახდეთ. ამაში ცუდი არაფერია, მთავარია, ღრმად არ შეტოპოთ.

### ლომი 23.07-22.08
**28 მაისი:** ფრთხილად იყავით, შეიძლება სულელურმა აზრებმა შემოგიტიოთ. ახლა თქვენზეა დამოკიდებული, რამდენად მოუფრთხილდებით საკუთარ რეპუტაციას.

### ქალწული 23.08-22.09
**28 მაისი:** მოგეჩვენებათ, რომ თქვენი დიდი ხნის ოცნებები აუხდენელია. გული არ გაიტეხოთ ცხოვრება წინაა და ბევრად მეტის მიღწევაც შეიძლება.

### სასწორი 23.09-22.10
**28 მაისი:** რაღაცების შეცვლა მოგიწევთ. ურიგო არ იქნება, თუ ალტერნატივას მოუძებნით ყველაფერს, რაც არ მოგწონთ.

### მორიელი 23.10-21.11
**28 მაისი:** პრობლემამ, რომელიც დიდი ხნის მოგვარებული გეგონათ, შეიძლება კვლავ იჩინოს თავი. ასე რომ, მზად იყავით მოულოდნელობებისთვის.

### მშვილდოსანი 22.11-21.12
**28 მაისი:** დღეს რამე მარტივი გასართობის მოძიება მოგიწევთ, ისეთის, რაც ძალისხმევას არ მოითხოვს.



### თხის რქა 22.12-19.01
**28 მაისი:** დღეს თანამოსაუბრეებს თვალებში ჩახედეთ. ასე უფრო დარწმუნდებით, რამდენად გულწრფელი არიან ისინი.

### მერწყული 20.01-18.02
**28 მაისი:** არ არის გამორიცხული, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწიოთ. ამიტომ ყველაფერი კარგად აწონდაწონეთ.

### თევზები 19.02-20.03
**28 მაისი:** ფულთან მიმართებაში აკურატულობა გმართებთ. დიდია ალბათობა, რომ საკმაო თანხა უაზრობაში დახარჯოთ.






„ალია-ჰოლდინგი“

დამფუძნებელი
**გიორგი ბრეგვაძე**



**რედაქტორი:**
**თამაზ ბესტავაშვილი**
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)
alia@alia.ge

საინფორმაციო სამსახურის რედაქტორი
**თემურ ჟუმბურიძე**
(595 26 83 83) 221 21 80 პირადი (110)

**მედიაჯგუფი:**
1. ვარდიაშვილი ნელი 599 65-81-95, 221 21 80 ან 233 20 06 (226), 790 658 195
2. ზედელაშვილი გელა 555 48-48-61, 221 21 80 ან 233 20 06 (128), 790 333 803
3. ოქრუაშვილი თამარ 599 10-93-50, 221 21 80 ან 233 20 06 (129), 790 433 395
4. სამხარაძე ნინო 599 71-14-22, 221 21 80 ან 233 20 06 (130), 790 411 422
5. სახვაძე მიხეილ 599 93-28-03, 21 21 80 ან 233 20 06 (108)
6. თვალაბეიშვილი ნანა (ქუთაისი) 595 73 73 90
7. ქანთარია მამუკა (ლანჩხუთი) 597 09 98 98

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
**ილია ჟაჟვაძე** (599 55-45-22)

ტექნიკური რედაქტორი
**ბადრი ქევანიშვილი**

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
**ლევან ბანეთიშვილი**



**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
2-212-099
592-555-552
577-732-000
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.





რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.46

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49



„ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანამშრომლის, მედიცინის დოქტორის, ნინო ადამიას მეუღლე, ცნობილი ქართველი კალათბურთელი

**გელა დარსაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ჟინვერი, შვილები დოდო და კახა, რძალი მარინა, დედმამიშვილები ემზარი, ბორისი, აზო და ელიკო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზაურბეგ გრიგოლის ძე ონიანი**

**გასვენება:** შაბათს, 18 მაისს, 15:00 საათზე;
**მისამართი:** ლენტეხის რაიონი, სოფელი ჟახუნდერი.

„ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას

## ამინდი

**თბილისი**

**24 მაისი**
ღამე +15
დღე +29

**25 მაისი**
ღამე +14
დღე +28

**26 მაისი**
ღამე +14
დღე +26

**რეგიონები**

**24 მაისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +34 | ღამე | +18 |
| ქუთაისი | +38 | ღამე | +20 |
| თელავი | +28 | ღამე | +14 |
| ფოთი | +35 | ღამე | +19 |
| გორი | +30 | ღამე | +13 |
| ზუგდიდი | +37 | ღამე | +17 |

**25 მაისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +25 | ღამე | +14 |
| ქუთაისი | +28 | ღამე | +16 |
| თელავი | +29 | ღამე | +15 |
| ფოთი | +25 | ღამე | +16 |
| გორი | +28 | ღამე | +13 |
| ზუგდიდი | +26 | ღამე | +15 |

**26 მაისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +22 | ღამე | +16 |
| ქუთაისი | +24 | ღამე | +16 |
| თელავი | +26 | ღამე | +15 |
| ფოთი | +20 | ღამე | +17 |
| გორი | +24 | ღამე | +12 |
| ზუგდიდი | +22 | ღამე | +17 |

**„ალია ჰოლდინგი“ სამუშაოდ იწვევს PageMaker-ში მომუშავე გამოცდილ დამკაბადონებელს. ანაზღაურება შეთანხმებით. ტ. 577 777 436.**





## იუმორი

მოამზადა მიხეილ სხვაძემ



მოამზადა მიხეილ სხვაძემ დავით ახობაძის ნახატი

**ს.ს. თელასიაცხადებს №66/41 ფასთა ღია გამოკითხვას ავტომანქანების საბურავების შესყიდვაზე**

ორგანიზაციებს დეტალური ჩამონათვალის მიღება შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს "თელასის" შესყიდვების განყოფილებას ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

შემოთავაზებები დატოვეთ სს "თელასის" კანცელარიაში. მისამართი: თბილისი, ვანის ქუჩა №3, 1 სართული.

***წინადადების მიღების ბოლო ვადაა 2012 წლის 07 მაისი 17სთ.***

**ს.ს. „თელასი“ აცხადებს №17/45 ფასთა ღია გამოკითხვას 0,4კვ - ს შემყვანი გამანაწილებელი მოწყობილობების შესყიდვაზე**

ორგანიზაციებს დეტალური ჩამონათვალის მიღება შეუძლიათ განცხადების გ დატოვეთ სს "თელასის" კანცელარიაში. მისამართი: თბილისი, ვანის ქუჩა №3, 1 სართული.

***წინადადების მიღების ბოლო ვადაა 2012 წლის 07 მაისი 17სთ.***



მამუკა ქანთარია
„ალიასთვის“ ოზურგეთიდან
597 09-98-98



ნანა თვალაბეიშვილი
„ალიასთვის“ ქუთაისიდან
595 73-73-90



მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



გიორგი საკარული
555 42-42-90



თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50



ნელი ვარდიაშვილი
599 65-81-95



მირანდა ნაბახტეველი
555-62-13-63



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



თემურ ჭუმბურიძე
595 26-83-83



ნინო სამხარაძე
599 71-14-22



მარი გულორდავა
555 59-47-76



მარიკა ჩხიკვაძე
597 40-09-93



შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ხათუნა ელბაქიძე
591 41-27-97



თამარ ბატიაშვილი
597 56 09 88

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს № CONST 27-13/1 ღია კონკურსს შპს „მტკვარი ენერგეტიკა“-ს კუთვნილი და მის კანონიერ მფლობელობაში არსებული ქონების დაზღვევის შესყიდვაზე**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის“ კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლოს ვადაა 2014 წლის 27 იანვარი 15 საათი*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს № CONST 27-13/2 ღია კონკურსს შპს „მტკვარი ენერგეტიკა“-ს თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევის შესყიდვაზე**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის“ კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლოს ვადაა 2014 წლის 27 იანვარი 15 საათი.*

**სს „ხრამჰესი 2“ აცხადებს № X1-03-2013 ღია კონკურსს სს „ხრამჰესი 2“ -ის კუთვნილი და მის კანონიერ მფლობელობაში არსებული ქონების დაზღვევის შესყიდვაზე**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : 0322 330954, 551 461949

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2“-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, ა. აფაქიძის ქ. №7

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 27 იანვარი 15 სთ.*

**სს „ხრამჰესი 2“ აცხადებს № X1-04-2013 ღია კონკურსს სს „ხრამჰესი 2“ -ის თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევის შესყიდვაზე**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : 0322 330954, 551 461949

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2“-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, ა. აფაქიძის ქ. №7

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 27 იანვარი 15 სთ.*